


# ევროპის საბჭოს 2024-2027 წლების სამოქმედო გეგმა საქართველოსთვის

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

# ევროპის საბჭოს 2024-2027 წლების სამოქმედო გეგმა საქართველოსთვის

**CM(2023)168-final**

**2023 წლის 3 ოქტომბერი**

*დოკუმენტი მოამზადა ევროპის საბჭოს პროგრამების კოორდინაციის დირექტორატმა*

*დოკუმენტი დაამტკიცა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 2023 წლის 18 ოქტომბერს (CM/Del/Dec(2023)1478/2.6)*

**რეზიუმე**

„ევროპის საბჭოს 2024-2027 წლების სამოქმედო გეგმა საქართველოსთვის“ არის სტრატეგიულ-პროგრამული ინსტრუმენტი, რომლის მიზანია, საქართველოს კანონმდებლობა, ინსტიტუტები და პრაქტიკა კიდევ უფრო შეესაბამებოდეს ევროპულ სტანდარტებს ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის სფეროებში. სამოქმედო გეგმა მხარს დაუჭერს ქვეყნის ძალისხმევას მისი, როგორც ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოს ვალდებულებათა შესრულებაში და განხორციელდება რეიკიავიკის დემოკრატიის პრინციპების ფარგლებში, რომელთა თანახმადაც, წევრი სახელმწიფოები კიდევ ერთხელ იღებენ ვალდებულებას, რომ „ერთად იმუშავებენ სამი ფუნდამენტური, ურთიერთდამოკიდებული და ხელშეუვალი პრინციპის - დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დასაცავად და ხელშესაწყობად, როგორც გათვალისწინებულია ევროპის საბჭოს წესდებით და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით“.[1]

სამოქმედო გეგმის პრიორიტეტები ითვალისწინებს ისეთი ინსტიტუტების გადაწყვეტილებებს, რეზოლუციებს, რეკომენდაციებს, მიგნებებს, ანგარიშების დასკვნებსა და მოსაზრებებს, როგორიცაა: ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი (შემდგომში „კონგრესი“), ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი (შემდგომში „კომისარი“), ევროპული კომისია „დემოკრატია სამართლის მეშვეობით“ (შემდგომში „ვენეციის კომისია“), ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში „ევროპული სასამართლო“) გადაწყვეტილებები საქართველოსთან მიმართებით. პრიორიტეტები ასევე ასახავს რეკომენდაციებს ევროკომისიის მოსაზრებიდან, რომელიც შეეხება საქართველოს განაცხადს ევროკავშირში გაწევრიანებაზე და სახელმწიფო რეფორმათა დღის წესრიგს.

ამ სამოქმედო გეგმის თანახმად, ევროპის საბჭო და საქართველოს ხელისუფლება შეთანხმდნენ, რომ თანამშრომლობითი პროგრამების საშუალებით, ერთობლივად განახორციელებენ რეფორმებს, რომელთა მიზანია: გაფართოვდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა (შემდგომში „კონვენცია“) და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის განხორციელება ეროვნულ დონეზე; ეროვნული კანონმდებლობა და ანტიდისკრიმინაციული პრაქტიკა შეესაბამებოდეს ევროპულ სტანდარტებს; ხელი შეეწყოს გენდერულ თანასწორობას; გაძლიერდეს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და ანგარიშვალდებულება; გაუმჯობესდეს საარჩევნო კანონმდებლობა და პრაქტიკა; დამატებითი რეფორმები ჩატარდეს პენიტენციურ, პრობაციისა და დანაშაულის პრევენციის სისტემებში; ეროვნული პრაქტიკა მედიისა და ინტერნეტის სფეროებში შეესაბამებოდეს ევროპულ სტანდარტებს; გაუმჯობესდეს ადგილობრივი დემოკრატიის ხარისხი; გაძლიერდეს ეკონომიკურ და სოციალურ უფლებათა დაცვა; განვითარდეს ახალგაზრდული პოლიტიკა; ხელი შეეწყოს იურიდიული პროფესიის ახალგაზრდა წარმომადგენელთა დასაქმებას და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილებათა მიღებაში ყველა დონეზე.

სამოქმედო გეგმა ეფუძნება წინა სამოქმედო გეგმის შედეგებსაც, როგორიცაა: პროკურორთა, მოსამართლეთა და ადვოკატთა შესაძლებლობების გაძლიერება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებათა გამოსაყენებლად; საქართველოს შესაბამის დაწესებულებათა ცოდნისა და კომპეტენტურობის გაზრდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე სამუშაოდ; დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და თანასწორობის ეფექტიანი ხელშეწყობა და დაცვა შესაბამის დაინტერესებულ პირთა მხრიდან; ეროვნული ანგარიშგების შესაძლებლობათა გაუმჯობესება ევროპის სოციალური ქარტიის შესაბამისად; ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება სასამართლო საქმიანობის სფეროში; უფასო იურიდიული დახმარების სერვისებზე მიმართვიანობის გაზრდა და მათი ხარისხის გაუმჯობესება; ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის გაძლიერება სამართალდამცველ

1. რეიკიავიკის პრინციპებს შეიცავს *რეიკიავიკის დეკლარაცია – გაერთიანებული ჩვენი ღირებულებების ირგვლივ*, რომელიც წევრმა სახელმწიფოებმა მიიღეს ევროპის საბჭოს სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მე-4 სამიტზე, რეიკიავიკში, 2023 წლის 16-17 მაისს.

ორგანოთა თანამშრომლების მიერ; ჯანდაცვის მომსახურებათა ხარისხის გაუმჯობესება პენიტენციურ დაწესებულებებში; ძირითად დაინტერესებულ მხარეთა ცნობიერების ამაღლება მედიის სფეროში არსებულ ევროპულ სტანდარტებზე; შესაბამის უწყებათა შესაძლებლობების გაძლიერება ისეთი შემთხვევების მართვაში, რომლებიც უკავშირდება კორუფციას, ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებას; კიბერდანაშაულთან დაკავშირებული სტრატეგიების განახლება; დაინტერესებულ მხარეთა შესაძლებლობების გაძლიერება არჩევნების კონტექსტში სიძულვილის ენის, სიძულვილის გაღვივებისა და დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში; საჯარო მოხელეთა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა შესაძლებლობებისა და კომპეტენტურობის გაძლიერება სამოქალაქო ჩართულობის მეთოდოლოგიებში; ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებათა ძირითად ცნებებზე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებსა და მათ ეროვნულ გაერთიანებებს შორის; და მთავარ დაინტერესებულ მხარეთა მხარდაჭერის გაძლიერება სკოლის დემოკრატიული მმართველობის გასაუმჯობესებლად.

სამოქმედო გეგმის მიზანია საქართველოს მხარდაჭერა *გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის მდგრადი განვითარების მიზნების*, კერძოდ, 3, 4, 5, 8, 10, 11 და 16 მიზნების განხორციელებაში.

ამ სამოქმედო გეგმის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს, დაახლოებით, 19,92 მლნ. ევროს. მიუხედავად იმისა, რომ უკვე გამოყოფილია 3,31 მლნ. ევრო, აუცილებელია დამატებითი დაფინანსება 2024-2027 წლებისთვის განსაზღვრულ პრიორიტეტულ ღონისძიებათა სრულად განსახორციელებლად.

ევროპის საბჭო და საქართველო გააგრძელებენ თანამშრომლობას, რათა გაუმჯობესდეს არსებული საკანონმდებლო ჩარჩო და მისი ეფექტიანი განხორციელება, გაძლიერდეს ეროვნულ ინსტიტუტთა შესაძლებლობები ქვეყნის კანონმდებლობისა და პრაქტიკის კიდევ უფრო დასაახლოებლად ევროპულ სტანდარტებთან, ასევე, ხელი შეეწყოს ადამიანის უფლებათა დაცვას, კანონის უზენაესობის გაძლიერებასა და დემოკრატიული მმართველობის პრინციპების დამკვიდრებას.

სარჩევი

რეზიუმე ........ 2

აბრევიატურების ჩამონათვალი ........ 5

ნაწილი I – შესავალი........ 6

1.1 ზოგადი მიმოხილვა ........ 6

1.1.1 საქართველო და ევროპის საბჭო ........ 6

1.1.2 ევროპის საბჭოს ტექნიკური დახმარების პროგრამათა დამატებითი ღირებულება........ 7

1.1.3 წინა სამოქმედო გეგმ(ებ)ის ძირითადი შედეგები ........ 9

1.1.4 კონსულტაციის პროცესი ........11

1.2 სამოქმედო გეგმის მიზნები ........11

ნაწილი II – შემოთავაზებული მოქმედებები 2024-2027 წლებისთვის ........ 13

2.1 ადამიანის უფლებები........ 13

2.1.1 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ეფექტიანად განხორციელება ........ 15

2.1.2 ადამიანის უფლებებისა და ღირსების ხელშეწყობა ........26

2.1.3 დისკრიმინაციის დაუშვებლობა, მრავალფეროვნება და ინკლუზია ........30

2.1.4სოციალური უფლებების უზრუნველყოფა........33

2.2 კანონის უზენაესობა........36

2.2.1 კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული ინსტიტუტები........ 37

2.2.2 დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, მოქალაქეთა უსაფრთხოება და დაცვა ........ 41

2.3 დემოკრატია ........49

2.3.1დემოკრატიული მმართველობა ........ 51

2.3.2 დემოკრატიული მონაწილეობა ........ 57

ნაწილი III – განხორციელება........ 61

3.1 მეთოდოლოგია ........ 61

3.2 ხელშეწყობა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად........65

3.3 კოორდინაცია ........ 67

3.4 დაფინანსება........68

3.5 მმართველობა........69

დანართი I: ლოგიკური ჩარჩო ........70

დანართი II: რისკების რეესტრი ........84

დანართი III: ფინანსური ცხრილი ........ 87

დანართი IV: წყაროები/შესაბამისი დოკუმენტები ........88

ᲐᲑᲠᲔᲕᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲜᲐᲗᲕᲐᲚᲘ

| | |
|---|---|
| სამოქმედო გეგმა | ევროპის საბჭოს 2024-2027 წლების სამოქმედო გეგმა საქართველოსთვის |
| AI | ხელოვნური ინტელექტი |
| AML/CFT | ბრძოლა ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ |
| CBM | ნდობის აღდგენის ღონისძიებები |
| CDC | დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები |
| CEC | ცენტრალური საარჩევნო კომისია |
| CEPEJ | მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია |
| ECSR | სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი |
| CM | ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი |
| კომისარი | ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი |
| კონგრესი | ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი |
| CPT | წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი |
| DPC | პროგრამების კოორდინაციის დირექტორატი |
| CSOs | სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები |
| კონვენცია | ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია |
| ევროპული სასამართლო | ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო |
| EDC/HRE | დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების სწავლება |
| ქარტია | ევროპის სოციალური ქარტია |
| EU | ევროკავშირი |
| FCNM | ჩარჩო კონვენცი ა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ |
| GR-DEM | დემოკრატიის საკითხებზე მომხსენებელი ჯგუფი – ევროპის საბჭო |
| GRECO | კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფი |
| GRETA | ევროპის საბჭოს ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფი |
| GREVIO | ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი |
| HELP | პროგრამა „ადამიანის უფლებების სწავლება იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისთვის“ |
| სტამბოლის კონვენცია | ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია |
| ლანსროტის კონვენცია | ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ |
| ლგბტი | ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი ადამიანები |
| MONEYVAL | ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელი რჩეულ ექსპერტთა კომიტეტი |
| NGO | არასამთავრობო ორგანიზაცია |
| OB | რეგულარული ბიუჯეტი |
| ეუთო | ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია |

| | |
|---|---|
| ოვიედოს კონვენცია | კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ |
| PACE | ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა |
| PMM | ევროპის საბჭოს პროექტთა მართვის მეთოდოლოგია |
| პომპიდუს ჯგუფი | ევროპის საბჭოს საერთაშორისო თანამშრომლობის ჯგუფი ნარკოტიკებისა და ადიქციებისსაკითხებში |
| SDGs | გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები |
| SIS | სპეციალური საგამოძიებო სამსახური |
| გაერო | გაერთიანებული ერების ორგანიზაცია |
| UNDP | გაეროს განვითარების პროგრამა |
| VC | ნებაყოფლობითი წვლილი |
| ვენეციის კომისია | ევროპული კომისია „დემოკრატია სამართლის მეშვეობით“ |

# ნაწილი I – **შესავალი**

## 1.1 ზოგადი მიმოხილვა

### 1.1.1 საქართველო და ევროპის საბჭო

1999 წლის 27 აპრილს საქართველო გახდა ევროპის საბჭოს 41-ე წევრი ქვეყანა. შესაბამისად, მან იკისრა გარკვეული ვალდებულებები, რომლებიც ჩამოთვლილია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის *209(1999)* *მოსაზრებაში* და თანხმობა განაცხადა მათ შესრულებაზე.

საქართველომ აიღო ვალდებულებები, რომლებიც ყველა წევრ *ქვეყანას* ეკისრება წესდების მე-3 მუხლის მიხედვით:[2] პლურალისტური დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპების დაცვა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა.

დღემდე ქვეყანას ხელმოწერილი და რატიფიცირებული აქვს ევროპის საბჭოს 89[3] საერთაშორისო ხელშეკრულება და ოქმი. მასზე ვრცელდება ევროპის საბჭოს არაერთი მექანიზმი, მათ შორის, შექმნილი შემდეგი ორგანოების მიერ: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (შემდგომში „ევროპული სასამართლო“), ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი (შემდგომში „კონგრესი“), ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი (შემდგომში „კომისარი“), ევროპული კომისია „დემოკრატია სამართლის მეშვეობით“ (შემდგომში „ვენეციის კომისია“), ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI), წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი, კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფი (GRECO), ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელი რჩეულ ექსპერტთა კომიტეტი (MONEYVAL), სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი, ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ (FCNM), ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფი (GREVIO), სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის ევროპული კონვენციის მხარე სახელმწიფოთა კომიტეტი (ლანსაროტის

2. ევროპის საბჭოს კონსტიტუციური დოკუმენტი, https://rm.coe.int/1680935bd0

3. ევროპის საბჭოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამსახური, *საერთაშორისო ხელშეკრულებების სია საქართველოსთვის: ხელმოწერა რატიფიკაციასთან ერთად* და *საერთაშორისო ხელშეკრულებების სია საქართველოსთვის: ხელმოწერა რატიფიკაციის გარეშე*.

კომიტეტი) და ევროპის საბჭოს ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფი (GRETA).

2006 წლიდან საქართველო სარგებლობს ევროპის საბჭოს თანამშრომლობითი პროგრამებითაც. მას შემდეგ, სამოქმედო გეგმები, რომლებიც შემუშავდა დემოკრატიული რეფორმების მხარდასაჭერად საქართველოში 2013-2015, 2016-2019 და 2020-2023 წლებში, უფრო სტრატეგიულ ჩარჩოს ქმნის ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობისთვის.

2007 წლიდან საქართველო გახდა ევროპის საბჭოს განვითარების ბანკის (CEB) წევრი. ამ ბანკმა აქტიური როლი შეასრულა საქართველოში, განსაკუთრებით, იმ პროექტთა დაფინანსებით, რომელთა მიზანიც არის კრედიტზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რეალიზებადი სამუშაო ადგილების შესაქმნელად და შესანარჩუნებლად.[4]

2020 წლის 1 მაისს საქართველო გაწევრიანდა პომპიდუ ჯგუფში (ევროპის საბჭოს საერთაშორისო თანამშრომლობის ჯგუფი ნარკოტიკებისა და ადიქციების საკითხებში)).[5]

### 1.1.2 ევროპის საბჭოს ტექნიკური დახმარების პროგრამათა დამატებითი ღირებულება

ევროპის საბჭოს ტექნიკური დახმარების პროგრამები იმ უნიკალური სტრატეგიული სამკუთხედის განუყოფელი ნაწილია, რომელიც შედგება სტანდარტთა დადგენის, მონიტორინგისა და თანამშრომლობისგან: კერძოდ, სამართლებრივად მბოჭველ სტანდარტთა შემუშავება უკავშირდება მათ მონიტორინგს დამოუკიდებელი მექანიზმების მხრიდან, რასაც ემატება ტექნიკური თანამშრომლობა მათი განხორციელების ხელშესაწყობად. ორგანიზაცია ღონისძიებებს შეიმუშავებს და ახორციელებს იმ სფეროებში, რომლებშიც ევროპის საბჭოს აქვს მაღალი ექსპერტული ცოდნა და დამატებითი ღირებულება.




**_გამოსახულება 1: ევროპის საბჭოს სტრატეგიული სამკუთხედი_**

ეს სამოქმედო გეგმა დიდწილად ეფუძნება ევროპის საბჭოს მონიტორინგის ორგანოებისა და ექსპერტთა საკონსულტაციო ორგანოების უახლეს გადაწყვეტილებებს, რეზოლუციებს, რეკომენდაციებს, მიგნებებს, ანგარიშების დასკვნებსა და მოსაზრებებს საქართველოსთან დაკავშირებით, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში „ევროპული სასამართლო“) გადაწყვეტილებებს საქართველოს მიმართ. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს გამოწვევებს, რომლებიც იდენტიფიცირებულია გენერალური მდივნის ყოველწლიურ ანგარიშებში „დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის მდგომარეობა ევროპაში“, ასევე, ევროკომისიის მოსაზრებას საქართველოს განაცხადზე ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ, და იძლევა რეკომენდაციას, რომ ქვეყანას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიენიჭოს იმ რეფორმათა ძირითადი პრიორიტეტების დაკმაყოფილების შემდეგ[6], რომელთა უმეტესობაც მიეკუთვნება ევროპის საბჭოს კომპეტენციას. გარდა ამისა, სამოქმედო გეგმა შემუშავდა ევროპის

4. ევროპის საბჭოს განვითარების ბანკზე დამატებითი ინფორმაციისთვის, იხ: www.coebank.org
5. https://www.coe.int/en/web/pompidou/-/georgia-becomes-the-41th-member-state-of-the-pompidou-group
6. https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800

საბჭოს წინა სამოქმედო გეგმის შედეგების საფუძველზე და ასახავს ქვეყნის რეფორმების პრიორიტეტებს.

წინამდებარე სამოქმედო გეგმის შემუშავებისას, ასევე, ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში რეფორმათა მხარდაჭერის დაგეგმვისას, გათვალისწინებული იქნა ევროპის საბჭოს ინსტიტუტების, მონიტორინგის მექანიზმებისა და ექსპერტთა საკონსულტაციო ორგანოების მიერ გამოვლენილი ხარვეზები (შესაბამისი წყარო დოკუმენტები მითითებულია IV დანართში).

ამ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული თანამშრომლობითი ღონისძიებებისთვის, საცნობარო მასალად გამოყენებულია ევროპის საბჭოს შესაბამისი კონვენციები და სხვა ინსტრუმენტები.

### 1.1.3 წინა სამოქმედო გეგმ(ებ)ის ძირითადი შედეგები

წინამდებარე სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია *ევროპის საბჭოს 2020-2023 წლების სამოქმედო გეგმის (საქართველოსთვის)* შედეგები, როგორიცაა:

<u>ადამიანის უფლებები:</u>

- საქართველოს პროკურორების, მოსამართლეებისა და ადვოკატების გაძლიერებული შესაძლებლობები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტებისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოსაყენებლად, რომლებიც უკავშირდება წინასასამართლო ზომების მიღებას, არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლასა და საერთაშორისო თანამშრომლობას სისხლის სამართლის საკითხებში;
- იმ სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებათა გაძლიერებული ინსტიტუციური შესაძლებლობები, რომლებიც ამზადებენ მომავალ იურისტებს ადამიანის უფლებათა სფეროში;
- სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის უკეთეს პრევენციას, აძლიერებს ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და მხარდაჭერას და ამარტივებს წვდომას მხარდაჭერის სერვისებზე;
- მოსამართლეების, პროკურორების, გამომძიებლების, სამართალდამცავ ორგანოთა თანამშრომლების, სოციალური მუშაკებისა და ტრენერების გაძლიერებული შესაძლებლობები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე სამუშაოდ, განსაკუთრებული ფოკუსით სექსუალური ძალადობის საკითხებზე; ასევე, ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა კომპენსაციის განსაზღვრისა და გადახდის წესების შესაბამისობა სტამბოლის კონვენციის დებულებებთან;
- სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის გაუმჯობესება და მათთან დაკავშირებული მონაცემების უფრო გამართულად და ეფექტიანად შეგროვება;
- სახელმწიფოს დაინტერესებული მხარეების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, ადგილობრივი საზოგადოებრივი აქტივისტების, სოციალური მუშაკების, მანდატურებისა[7] და თანასწორობის ელჩების[8] უფრო აქტიური და ეფექტიანი როლი მათ ფუნქციებში თანასწორობისა და მრავალფეროვნების ხელშესაწყობად.

<u>კანონის უზენაესობა:</u>

- საქართველოს პროკურატურის ახალი, 2022-2027 წლების სტრატეგია, რომელიც დამატებით აძლიერებს ამ უწყების ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას და ადგენს პროკურატურის გაუმჯობესებული თვითმმართველობის პროცედურებს;
- დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის გაძლიერებული ინსტიტუციური დამოუკიდებლობა და პერსონალის შესაძლებლობები მოსამართლეთა საქმიანობის შეფასებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სფეროებში;
- იურიდიული დახმარების სერვისების გაუმჯობესებული მართვა და ოპერატიული შესაძლებლობები, ასევე, ამ სერვისებით მოსარგებლე მოქალაქეთა გაზრდილი რაოდენობა;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებათა მიმღები პირების, მენეჯერების, მაღალი რანგის პოლიციელებისა და გამომძიებლების გაუმჯობესებული ცოდნა და

7. მანდატურები მიეკუთვნებიან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს. როგორც წესი, ისინი არიან პედაგოგები, მენტორ-მასწავლებლები და პედაგოგიური პროფესიის სხვა წარმომადგენლები, რომლებიც სკოლებში ასრულებენ ტრენერებისა და მრჩევლების ფუნქციას.

8. თანასწორობის ელჩები არიან აქტიური ახალგაზრდები, შერჩეულნი ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში - „თანასწორობის დაცვისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის ეფექტიანი მექანიზმების ხელშეწყობა საქართველოში" - რათა წვლილი შეიტანონ ცნობიერების ასამაღლებელ ღონისძიებებში ადამიანის უფლებების, შემწყნარებლობის, მრავალფეროვნებისა და თანასწორობის შესახებ.

უნარები ისეთი კუთხით, როგორიცაა საპოლიციო ზედამხედველობა მშვიდობიანი დემონსტრაციების დროს, მედიასთან კომუნიკაცია და, ზოგადად, არასათანადო მოპყრობის პრევენცია;

- დროებითი მოთავსების იზოლატორთა სამედიცინო და არასამედიცინო პერსონალის გაუმჯობესებული ცოდნა და უნარები ყველაზე მოწყვლად ჯგუფებთან სამუშაოდ, როგორებიც არიან: არასრულწლოვანი დამნაშავეები და დაზარალებული პირები; პირები, რომლებმაც გადაიტანეს სექსუალური ძალადობა; და დაკავებულები ნარკოტიკებსა ან/და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებით;
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის მენეჯერების, ასევე, ოპერატიული და სამედიცინო პერსონალის გაუმჯობესებული უნარები ისეთი კუთხით, როგორიცაა თვითმკვლელობის პრევენცია, ფსიქიკური ჯანმრთელობის მწვავე კრიზისის მართვა და პირველადი სამედიცინო დახმარება თვითმკვლელობის ან თვითდაზიანების მცდელობის შემთხვევებში;
- გაუმჯობესებული სამართლებრივი ჩარჩო აუდიოვიზუალური მედიამომსახურების სფეროში, ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის სტანდარტთა შესაბამისად;
- დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და კრიტიკული მედიასაშუალებების გაზრდილი ცოდნა ევროპულ სტანდარტებზე აუდიოვიზუალური მედიამომსახურების სფეროში, საკანონმდებლო პროცესში მათი ჩართულობის გათვალისწინებით;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა უკეთესი კოორდინაცია და ვალდებულებები საზოგადოების მონაწილეობის წინააღმდეგ აღძრული სტრატეგიული სარჩელების (SLAPPs) განხილვაში, საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობებისა და ერთობლივი მოქმედებების დაგეგმვით;
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტზე ზედამხედველობის სამსახურის და საქართველოს ეროვნული ბანკის გაძლიერებული შესაძლებლობები თავიანთი ფუნქციების შესრულებაში, როგორიცაა დაწესებულებებზე ზედამხედველობა და საზედამხედველო სუბიექტების მხარდაჭერა, რათა ეფექტიანად შეასრულონ ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის ვალდებულებები;
- სასამართლოს, პროკურატურის, საგამოძიებო ორგანოებისა და ფინანსური მონიტორინგის ორგანოების გაზრდილი შესაძლებლობები კორუფციის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საქმეთა გამოძიებაში, სისხლისსამართლებრივ დევნასა და გადაწყვეტაში, ბენეფიციარ დაწესებულებებთან ერთად ორგანიზებული ღონისძიებებით;
- საჯარო სექტორის გაზრდილი ინფორმირებულობა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: კორუფცია, მისი უარყოფითი ზემოქმედება საზოგადოებაზე და კორუფციის რისკების მართვის ალტერნატიული მეთოდები პოლიტიკის შემუშავებისა და ოპერაციულ დონეებზე;
- გაზრდილი ინფორმირებულობა გამოწვევებზე, რომლებიც უკავშირდება სახელმწიფო თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციის სისტემის ფუნქციონირებას.

დემოკრატია:

- ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციის დაცულობის ცენტრის უფრო პროაქტიული რეაგირება დეზინფორმაციის შემთხვევებზე;
- ადგილობრივი ექსპერტების, სახელმწიფო თანამდებობის პირების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ცალკეული მოქალაქეების გაზრდილი ცოდნა და კომპეტენტურობა სამოქალაქო მონაწილეობის მეთოდოლოგიებში, ასევე, შერჩეულ მუნიციპალიტეტთა მარეგულირებელი ჩარჩოების ცვლილება სამოქალაქო მონაწილეობის მექანიზმთა გასაძლიერებლად;

- საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის, როგორც სრულფასოვანი შუამავლის გაძლიერება საჭიროებებისა და ცენტრალური ხელისუფლების წინაშე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებაში ადგილობრივ დონეზე, რათა ქმედითად და ეფექტიანად დაინერგოს ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპები და გაიზარდოს მოქალაქეებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

### 1.1.4 კონსულტაციის პროცესი

ეს სამოქმედო გეგმა მომზადდა საქართველოს ხელისუფლებასთან კონსულტაციებით. სამუშაო ჯგუფმა გადახედა იმ ეროვნულ სტრატეგიულ დოკუმენტებსაც, რომლებიც განსაზღვრავს პრიორიტეტებს ან/და მოქმედების ძირითად მიმართულებებს, რათა ევროპის საბჭოს მხარდაჭერა შეესაბამებოდეს ქვეყნის საჭიროებებსა და პრიორიტეტებს, ასევე, სხვა ეროვნულ ინიციატივებს. წინამდებარე სამოქმედო გეგმაში ნებისმიერი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე, სტრატეგიებზე, პოლიტიკაზე, სამოქმედო გეგმებსა თუ სხვა ეროვნულ დოკუმენტზე, არ ნიშნავს, რომ ევროპის საბჭო იწონებს მათ.

ამ დოკუმენტის მომზადების პროცესში კონსულტაციები ჩატარდა საერთაშორისო პარტნიორებთანაც, მათ შორის, ევროკავშირთან, საკოორდინაციო და პროექტების მმართველი კომიტეტების მეშვეობით.

2022 წლის 13 ივნისს გამართულ შეხვედრაზე, დემოკრატიის საკითხებზე მომხსენებელი ჯგუფის (GR-DEM) საშუალებით, მინისტრთა კომიტეტმა განიხილა ანგარიში, რომელიც შეეხება ევროპის საბჭოს 2020-2023 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელებას საქართველოში (მოიცავს 2020 წლის იანვრიდან 2022 წლის მარტამდე პერიოდს). იგი მიესალმა ამ მიმართულებით მიღწეულ პროგრესს ქვეყანაში და წაახალისა გეგმით დასახული ყველა ამოცანის მიღწევა.

2020-2023 წლების სამოქმედო გეგმის გარე შეფასება დასრულდა 2023 წლის ივნისში. შეფასების ანგარიშის თანახმად, გეგმის ფარგლებში მიღებული ყველა ზომა უაღრესად შეესაბამებოდა საქართველოს კონტექსტს, მათ შორის, მოქმედ საერთაშორისო სტანდარტებს, ეროვნულ პოლიტიკას და რეფორმების კუთხით იდენტიფიცირებულ საჭიროებებს. ეფექტიანობა განპირობებულია წინა სამოქმედო გეგმებიდან მიღებული გამოცდილებით, ასევე, პერსონალის მაღალი ერთგულებით, ექსპერტული ცოდნითა და გამოცდილებით.

2023 წლის 14 მარტს ევროპის საბჭოს სამდივნოსა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა თბილისში გამართეს მმართველი კომიტეტის შეხვედრა, რათა შეეფასებინათ 2020-2023 წლების სამოქმედო გეგმა და დაეწყოთ მომდევნო სამოქმედო გეგმის პრიორიტეტთა განსაზღვრა. 2023 წლის 24 მარტს ეროვნული ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ევროპის საბჭოს სამდივნოს წარმომადგენლებთან გაიმართა თემატური კონსულტაციები, რომლებიც შეეხებოდა პრიორიტეტებს ტექნიკურ დონეზე თანამშრომლობის კონკრეტულ სფეროებში.

## 1.2 სამოქმედო გეგმის მიზნები

წინამდებარე სამოქმედო გეგმა არის 2024-2027 წლების სტრატეგიულ-პროგრამული ინსტრუმენტი. მისი მიზანია, მხარი დაუჭიროს შემდგომ რეფორმებს საქართველოში, რის შედეგადაც ქვეყნის კანონმდებლობა, ინსტიტუტები და პრაქტიკა კიდევ უფრო მიუახლოვდება ევროპულ სტანდარტებს ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა თუ დემოკრატიის სფეროებში და, აქედან გამომდინარე, ხელი შეეწყობა ქვეყნის ძალისხმევას მისი, როგორც ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოს ვალდებულებათა შესრულებაში. დოკუმენტს წვლილი შეაქვს ქვეყნის ევროპულ პერსპექტივაშიც.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული თანამშრომლობის სფეროები:

- ევროპის საბჭო გააგრძელებს საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერას სტრატეგიულ სფეროებში დაწყებულ რეფორმათა განსახორციელებლად (და, სადაც შესაძლებელია, დასასრულებლადაც), როგორიცაა:
    - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) განხორციელება ეროვნულ დონეზე;
    - გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაციის, მედიისა და მონაცემების დაცვა;
    - გენდერული თანასწორობა, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა;
    - ბავშვთა უფლებები;
    - დისკრიმინაციის დაუშვებლობა და უმცირესობები;
    - სოციალური უფლებები;
    - მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა და ეფექტიანობა;
    - კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა;
    - ბრძოლა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა;
    - კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა;
    - რეფორმები სასჯელაღსრულების, პრობაციის, დანაშაულის პრევენციისა და პოლიციის სფეროებში;
    - მონაწილეობითი დემოკრატია ადგილობრივ დონეზე;
    - არჩევნები;
    - განათლება დემოკრატიისთვის.
- ევროპის საბჭომ და საქართველოს ხელისუფლებამ ერთობლივად განსაზღვრეს თანამშრომლობის ახალი სფეროები, იმ სამუშაოზე დაყრდნობით, რომელიც ბოლო პერიოდში ჩაატარეს ევროპის საბჭოს ინსტიტუტებმა, მონიტორინგის მექანიზმებმა და ექსპერტთა საკონსულტაციო ორგანოებმა. კერძოდ, ეს სფეროებია:
    - გარემოს დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის კონტექსტში;
    - ბიზნესი და ადამიანის უფლებები;
    - ადამიანის უფლებები ბიომედიცინის სფეროში;
    - ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარება და ნარკოდამოკიდებულება;
    - საპარლამენტო თანამშრომლობა;
    - ახალგაზრდები დემოკრატიისთვის.

ამ სფეროებში ჩატარებული სამუშაოები დაეფუძნება ევროპის საბჭოს კონვენციებს ან/და შესაბამის საკონსულტაციო და მონიტორინგის ორგანოთა რეკომენდაციებს.

სამოქმედო გეგმა საექსპერტო და ტექნიკურ დახმარებას გაუწევს საქართველოს, რათა ევროპის საბჭოს სტანდარტები პრაქტიკულად დაინერგოს პრიორიტეტულ სფეროებში და გაიზარდოს შესაბამის ინსტიტუტთა ეფექტიანად ფუნქციონირების შესაძლებლობები. ეს ასევე მოიცავს ზომებს დაინტერესებულ მხარეთა კოორდინირებული მოქმედების ხელშესაწყობად, რაც მმართველობასთან დაკავშირებული კომპლექსური გამოწვევების დაძლევისა და სამოქალაქო საზოგადოებასთან დიალოგის ხელშეწყობის წინაპირობაა.

ევროპის საბჭო ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას იყენებს თავისი საქმიანობის ყველა დონესა და ეტაპზე. ეს მიდგომა ადამიანის უფლებათა დაცვის ნორმებსა და პროცესებს რთავს პროექტთა მართვაში. ამავდროულად, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის მიზანია, აიცილოს ადამიანის უფლებათა უნებლიე შელახვა, დისბალანსი, ან უარყოფითი გავლენა. აღნიშნული მიდგომა სამოქმედო გეგმის ჯვარედინი პრიორიტეტია. როგორც ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ნაწილი, გენდერული თანასწორობისა და, შესაბამისად, გენდერული მეინსტრიმინგის ხელშეწყობა რჩება წინამდებარე სამოქმედო გეგმის საკვანძო კომპონენტად. გენდერული მეინსტრიმინგის დახმარებით, საქართველოში მცხოვრებ ადამიანთა

საჭიროებები უფრო ეფექტიანად დაკმაყოფილდება დისკრიმინაციის გარეშე და ამაღლდება სამოქმედო გეგმის განხორციელების ხარისხი და ეფექტიანობა.

დასახული მიზნების მიღწევის პროცესში, ეს სამოქმედო გეგმა ხელს შეუწყობს საქართველოს *გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის* განხორციელებას.

## ნაწილი II – **შემოთავაზებული მოქმედებები 2024-2027 წლებისთვის**

### 2.1 ადამიანის უფლებები

საქართველოს რატიფიცირებული აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტები, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია და მისი ფაკულტატიური ოქმები, კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ (სტამბოლის კონვენცია), ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ (ლანსაროტის კონვენცია) და კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ (ოვიედოს კონვენცია).

მიიჩნევა, რომ, უმთავრესად, არსებობს ძირითადი უფლებების მარეგულირებელი სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო, ასევე, ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კანონები, თუმცა რიგ სფეროებში საჭიროა ზომების მიღება. სახალხო დამცველის აპარატი კარგად ფუნქციონირებს, მას პატივს სცემენ და უნდა მიენიჭოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობა. საერთო ჯამში, ადამიანის უფლებათა დაცვასა და აღსრულებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტების, მათ შორის, სასამართლოსა და პოლიციის შესაძლებლობები საჭიროებს მეტ გაუმჯობესებას. ბოლო პერიოდში (2022 წლის მარტში) შეიქმნა სპეციალური საგამოძიებო სამსახური, რომელსაც დაევალა ადამიანის უფლებათა დარღვევების გამოძიება, ასევე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, რომელმაც ჩაანაცვლა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და საჭიროებს აღჭურვას მანდატის შესაბამისი რესურსებით.[9]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებსაც მინისტრთა კომიტეტი განიხილავს გაძლიერებული ზედამხედველობის პროცედურის ფარგლებში, ეხება რამდენიმე სფეროს, მათ შორისაა:[10]

- სიცოცხლის უფლების დარღვევისა და არასათანადო მოპყრობის ბრალდებათა არასაკმარისად ეფექტიანი გამოძიება, ძირითადად, სახელმწიფო წარმომადგენელთა მიერ;
- უკანონო დაკავება და უფლებათა შეზღუდვის უკანონო მიზნებით გამოყენება;
- სახელმწიფო მექანიზმების არარსებობა რელიგიური თემის წევრთა დასაცავად თავდასხმებისგან და ასეთი ფაქტების არაეფექტიანი გამოძიება;
- არასათანადო დაცვა ჰომოფობიური წინასწარგანწყობით მოტივირებული თავდასხმებისგან და ამგვარი ფაქტების არაეფექტიანი გამოძიება; წარუმატებლობა ლგბტი აქტივისტთა შეკრების თავისუფლებით უზრუნველყოფაში;
- წარუმატებლობა ისეთი კუთხით, როგორიცაა პრევენციული ზომების მიღება მსხვერპლთა დასაცავად ოჯახში ძალადობისგან და სამართალდამცველ ორგანოთა უმოქმედობის გამოძიება ასეთ საჩივრებთან მიმართებით;
- წარუმატებლობა გენდერის სამართლებრივად აღიარების ადეკვატური პროცედურების უზრუნველყოფაში.

9. წყარო: ევროკომისიის მოსაზრება საქართველოს განაცხადზე ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ (*https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/opinion-georgias-application-membership-european-union_en).*

10. წყარო: ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების დეპარტამენტის საინფორმაციო ბიულეტენი საქართველოს შესახებ (*https://rm.coe.int/mi-georgia-eng/1680a23c8f).*

სხვა საკითხები, რომლებიც ევროკომისიამ საქართველოსთვის განსაზღვრა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პრიორიტეტების ნაწილად ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად, მოიცავს შემდეგ ასპექტებს: გარანტირებული იყოს თავისუფალი, პროფესიონალური, პლურალისტური და დამოუკიდებელი მედია გარემო; გაერთიანდეს ძალისხმევა გენდერული თანასწორობის განსამტკიცებლად და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის და გაძლიერდეს მოწყვლადი ჯგუფების ადამიანის უფლებათა დაცვა.

2023 წლის მარტში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის. ეს არის ადამიანის უფლებათა დაცვის მეორე სტრატეგია საქართველოსთვის, რომლის მიზანია ადამიანის უფლებათა მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწა, შესაფერისი პირობების შექმნა მისი განხორციელებისთვის, და განხორციელება.

ევროპის საბჭო გააგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას ეროვნულ შესაძლებლობათა გაძლიერებაში, რათა დაიწყოს და განახორციელოს რეფორმები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროებში, მათ შორისაა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) უკეთესად განხორციელება ეროვნულ დონეზე, გარემოს დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის კონტექსტში, ბიზნესი და ადამიანის უფლებები, ადამიანის უფლებები ბიომედიცინის სფეროში, გამოხატვის თავისუფლებისა და მედიის თავისუფლების ხელშეწყობა, გენდერული თანასწორობა, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, ბავშვთა უფლებები, დისკრიმინაციის დაუშვებლობა და უმცირესობები, სოციალურ უფლებათა დაცვა.

ეს მოქმედებები ხელს შეუწყობს საქართველოს გაეროს მდგრადი განვითარების შემდეგი მიზნების შესრულებაში: მიზანი 3 – კარგი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა (ამოცანა d)[11], 5 – გენდერული თანასწორობა (უფრო კონკრეტულად, ამოცანები 1, 2 და c)[12], 8 – ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდა (ამოცანები 3, 5 და 8)[13], 10 – შემცირებული უთანასწორობა

11. მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისთვის. ამოცანა 3.d: ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით, განვითარებად ქვეყნებში, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ეროვნული და გლობალური რისკების ადრეული გაფრთხილების, რისკების შემცირების და მათი მართვის შესაძლებლობების გაძლიერება.

12. მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება. ამოცანა 5.1: ყველა ადგილას ქალებისა და გოგონების მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა; ამოცანა 5.2: ყველა ქალისა და გოგონას მიმართ საჯარო და კერძო სფეროებში ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის, ტრეფიკინგისა და სექსუალური და სხვა ტიპის ექსპლუატაციის აღმოფხვრა. ამოცანა 5.c: გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესების სწორი პოლიტიკისა და აღსრულებადი კანონმდებლობის მიღება და გაძლიერება.

13. მიზანი 8: სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასთვის. ამოცანა 8.3: განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკის წახალისება, რომელიც ხელს შეუწყობს პროდუქტიულ საქმიანობას, ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნას, მეწარმეობას, კრეატიულობასა და ინოვაციას, ასევე, მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა ჩამოყალიბებისა და ზრდის წახალისებას, მათ შორის, ფინანსურ მომსახურებაზე მათი წვდომის უზრუნველყოფის მეშვეობით. ამოცანა 8.5: 2030 წლისთვის ყველა ქალისა და მამაკაცისთვის, მათ შორის, ახალგაზრდებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, სრული და პროდუქტიული დასაქმების და ღირსეული სამუშაოს, ასევე თანასწორი ღირებულების სამუშაოსთვის თანასწორი ანაზღაურების მიღწევა. შრომითი უფლებების დაცვა და უსაფრთხო და დაცული შრომითი გარემოს შექმნა ყველა მომუშავე პირისთვის, მათ შორის, შრომითი მიგრანტებისთვის, განსაკუთრებით კი - მიგრანტი ქალებისა და არასაიმედოდ დასაქმებულებისთვის.

(ამოცანები 2 და 3)[14] და 16 – მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები (ამოცანები 1, 2, 3, 6, 7, a და b).[15]

გარდა ამისა, ამ სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსახორციელებელი მოქმედებები უკავშირდება გაეროს მდგრადი განვითარების შემდეგ მიზნებს: 11 – მდგრადი ქალაქები და დასახლებები[16], 13 – კლიმატის ცვლილების შედეგების დაძლევა (ამოცანა 3)[17] და 15 – დედამიწის ეკოსისტემები (განსაკუთრებით, ამოცანა 9).[18]

### 2.1.1 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ეფექტიანად განხორციელება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში „ევროპული სასამართლო“) გადაწყვეტილებები, რომელთა აღსრულებას ზედამხედველობას უწევს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, მიანიშნებს მნიშვნელოვან პრობლემებზე, რომლებიც საჭიროებს მუდმივ ძალისხმევას. გაძლიერებული ზედამხედველობის ქვეშ არსებული საქმეები ეხება არასათანადო მოპყრობას, სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულებს, ოჯახში ძალადობას, კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა შეზღუდვის ბოროტად გამოყენებას და გენდერის სამართლებრივად აღიარებას:

- არასათანადო მოპყრობა – სიცოცხლის უფლებასთან და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საქმეების არასაკმარისად ეფექტიანი გამოძიება; სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ძალის გადამეტებული გამოყენება დაკავების ან/და დაპატიმრების დროს;[19]
- კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა შეზღუდვის ბოროტად გამოყენება – წინასწარი პატიმრობის გახანგრძლივება საკმარისად დასაბუთებული გადაწყვეტილების არარსებობისას და წინასწარი პატიმრობის ბოროტად გამოყენება ზეწოლის საშუალებად, ისეთ საკითხებზე ინფორმაციის მოპოვებისათვის, რომლებიც არ უკავშირდება სისხლის სამართლის საქმეს;[20]
- სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაული და დისკრიმინაცია რელიგიური და ლგბტი ნიშნით – არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა სახელმწიფო

14. მიზანი 10: უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის. ამოცანა 10.2: 2030 წლისთვის ყველა ადამიანის გაძლიერება და სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ჩართულობის ხელშეწყობა, მიუხედავად ასაკის, სქესის, შეზღუდული შესაძლებლობის, რასის, ეთნიკური კუთვნილების, წარმომავლობის, რელიგიის ან ეკონომიკური თუ სხვა სტატუსისა. ამოცანა 10.3: თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფა და შედეგების მხრივ უთანასწორობის შემცირება, მათ შორის, დისკრიმინაციული კანონების, პოლიტიკისა და პრაქტიკის აღმოფხვრით და ამ თვალსაზრისით სათანადო კანონმდებლობის, პოლიტიკისა და ქმედების ხელშეწყობით.

15. მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასთვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე; ამოცანა 16.1: ძალადობის ყველა ფორმის და მასთან დაკავშირებული სიკვდილიანობის შემთხვევათა რაოდენობის შემცირება ყველგან; ამოცანა 16.2: ბავშვთა მიმართ სასტიკი მოპყრობის, ექსპლუატაციის, ტრეფიკინგისა და ძალადობის ყველა ფორმისა და წამების აღმოფხვრა; ამოცანა 16.3: ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე კანონის უზენაესობის ხელშეწყობა და თითოეული ადამიანისთვის მართლმსაჯულებაზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა; ამოცანა 16.6: ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე ინსტიტუტების შექმნა ყველა დონეზე; ამოცანა 16.7: ყველა დონეზე სწრაფი რეაგირების უნარის მქონე, ინკლუზიური, მონაწილეობაზე დაფუძნებული და წარმომადგენლობითი გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის უზრუნველყოფა; ამოცანა 16.a: შესაბამისი ეროვნული ინსტიტუტების გაძლიერება, მათ შორის, საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით, ყველა დონეზე ძალადობის პრევენციისა და ტერორიზმთან და დანაშაულთან ბრძოლის შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში; ამოცანა 16.b: მდგრადი განვითარებისთვის არადისკრიმინაციული კანონებისა და პოლიტიკის შემოღების ხელშეწყობა და განხორციელება.

16. მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო, მოქნილი და მდგრადი განვითარება.

17. მიზანი 13: კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება. ამოცანა 13.2: კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული ზომების ინტეგრირება ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტებში, სტრატეგიებსა და გეგმებში.

18. მიზანი 15: ხმელეთის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და მდგრადი გამოყენების ხელშეწყობა, ტყის მდგრადი მართვა, გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების დანაკარგების შეჩერება. ამოცანა 15.9: 2020 წლისთვის ეკოსისტემისა და ბიომრავალფეროვნების ღირებულებათა ინტეგრირება ეროვნულ და ადგილობრივ დაგეგმარებაში, განვითარების პროცესებში, სიღარიბის შემცირების სტრატეგიებსა და ანგარიშებში.

19. *ცინცაბაძის ჯგუფი* – 18.03.2011-ის საბოლოო გადაწყვეტილება.

20. *მეხაბიშვილის* საქმე – 28.11.2017-ის საბოლოო გადაწყვეტილება.

მოხელეთა მხრიდან, არასათანადო დაცვა კერძო პირთა ამგვარი მოპყრობისგან და მსგავსი ფაქტების არაეფექტიანი გამოძიება.[21]
- ოჯახში ძალადობა – არასათანადო დაცვა ოჯახში ძალადობისგან, რაც, უკიდურეს შემთხვევაში, სრულდება მსხვერპლის სიკვდილით; სამართალდამცავი ორგანოთა უმოქმედობის არაეფექტიანი გამოძიება.[22]
- გენდერის სამართლებრივი აღიარება – სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურების არარსებობა.[23]

ამ საკითხების გადასაჭრელად, ხელისუფლებამ მიიღო მნიშვნელოვანი ზომები, ზოგ შემთხვევაში - ევროპის საბჭოს დახმარებით. თუმცა, საჭიროა ხელისუფლების მეტი მხარდაჭერა იმ რეფორმათა გატარებაში, რომლებიც აუცილებელია ეროვნულ დონეზე კონვენციის გამოყენების გასაუმჯობესებლად.

- **ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ეფექტიანობის გაძლიერება ეროვნულ დონეზე**

## ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის განხორციელება ეროვნულ დონეზე

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა (შემდგომში „კონვენცია“) და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში „ევროპული სასამართლო“) პრეცედენტული სამართლის ეფექტიანი იმპლემენტაცია ეროვნულ დონეზე ის ძირითადი პასუხისმგებლობაა, რომელიც ეკისრება ყველა წევრ სახელმწიფოს. ამისათვის საჭიროა, შემდგომშიც გაუმჯობესდეს ისეთ სუბიექტთა წვდომა და ცოდნა კონვენციის წამყვან პრინციპებსა და სტანდარტებზე, როგორებიც არიან მართლმსაჯულების სისტემის დაინტერესებული მხარეები, შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებები (იურისტთა მოსამზადებელი დაწესებულებების ჩათვლით) და სამოქალაქო საზოგადოება, რათა შეძლონ კონვენციისა და ადამიანის უფლებათა სხვა სტანდარტების პრაქტიკაში გამოყენება და მონიტორინგი, ასევე, მათ დაეყრდნონ ეროვნულ დონეზე.

მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ევროკომისიის ანგარიში საქართველოს განაცხადზე ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ, რომელიც ქვეყანას მოუწოდებდა, „მიეღო კანონი, რომლის თანახმადაც საქართველოს სასამართლოები პროაქტიულად გაითვალისწინებდნენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს“, ევროპის საბჭომ მხარი დაუჭირა ხელისუფლებას, რომ ცვლილებები შეეტანა თერთმეტ ეროვნულ საკანონმდებლო აქტში.

ამ ცვლილებათა მიღების შედეგად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი დაინერგა სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში (იუსტიციის უმაღლესი სკოლა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია და ა. შ.), როგორც სასამართლოს მოხელეთა მომზადების სავალდებულო და განუყოფელი ნაწილი. ეს მოიცავდა ცვლილებებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომელთა თანახმადაც, დასაშვები გახდა საქმეების ხელახალი გახსნა შიდა დონეზე, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა/განჩინებათა საფუძველზე.

კონვენციის იმპლემენტაცია ეროვნულ დონეზე სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია და ასახულია მის ყველა ნაწილში. სხვადასხვა მხარესთან კონსტრუქციული თანამშრომლობის დამყარებით (სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებები, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური დეპარტამენტი, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, საქართველოს პროკურორები, მოსამართლეები და ადვოკატები, ასევე, სხვა დაინტერესებული პირები), ევროპის საბჭო გააგრძელებს მათი შესაძლებლობების გაძლიერებას კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ეროვნულ დონეზე გამოყენებისას. ამისათვის საბჭო გამოიყენებს ტექნიკურ დახმარებას,

21. *ჯგუფი იდენტობა და სხვები* – 12.08.2015-ის საბოლოო გადაწყვეტილება.
22. *თხელიძის ჯგუფი* – 08.10.2021-ის საბოლოო გადაწყვეტილება.
23. *ა.დ.-სა და სხვების საქმე* – 01.03.2023-ის საბოლოო გადაწყვეტილება.

სამუშაო შეხვედრებს, სემინარებს/ტრენინგებს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესახებ და შესაბამის სასწავლო ვიზიტებს, რათა ამ მხარეებმა შეძლონ საკუთარი ფუნქციების ეფექტიანად შესრულება საქართველოს მიერ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებისას, ამასთანავე, უფრო ჰარმონიზებულად გამოიყენონ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ეროვნულ დონეზე. დიაგნოსტიკური ინსტრუმენტების, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოებისა და გზამკვლევების შემუშავება ხელს შეუწყობს პრობლემათა გამოვლენას და გადაწყვეტის გზების შემოთავაზებას დაინტერესებულ მხარეთა შესაძლებლობების განვითარებისთვის. საბჭო მხარს დაუჭერს მართლმსაჯულების გაციფრულებასაც, ასევე, სასამართლო აქტების აღსრულებას იუსტიციის სამინისტროს აღსრულების სამსახურის მიერ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა იმ ზოგადი და ინდივიდუალური ღონისძიებების სწორად იდენტიფიცირებას, რომლებიც მომდინარეობს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან. პარლამენტის როლი ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებასა ევროპული სტანდარტების დანერგვაში ზოგადად ეროვნულ დონეზე, უნდა გაძლიერდეს ურთიერთქმედებითა და ანგარიშგებით, ასევე, პარლამენტის წევრთა და თანამშრომელთა შესაძლებლობების გაუმჯობესებით. კიდევ უფრო გაძლიერდება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესაძლებლობები, რათა მან შეძლოს ახლად დაკისრებული ფუნქციების ეფექტიანად შესრულება და უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა დაცვა სასამართლოში; ასევე განვითარდება სისხლის სამართლის გამოძიება, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების შესაბამისად.

მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა კონვენციის N 15 დამატებითი ოქმი და კონვენციის პრეამბულას დაემატა მითითება სუბსიდიარობის პრინციპზე, ევროპის საბჭო ახორციელებს თანამშრომლობით ინიციატივებს, რომლებიც ითვალისწინებს ფართო სპექტრის მხარდაჭერას, მათ შორისაა: ტრენინგები, მეთოდოლოგიური და ექსპერტული კონსულტაციები და ციფრულ ინსტრუმენტთა დანერგვა სასამართლო პროცესებში, რათა ეს პრინციპი უფრო მძლავრად განხორციელდეს ეროვნულ დონეზე. სასამართლოს „ცოდნის გაზიარების პლატფორმა“ (ECHR-KS) საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა 2022 წლის 18 ოქტომბერს, კონვენციასთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართლის ბაზის გასაზიარებლად, რომელიც დაემატა არსებულ საინფორმაციო ინსტრუმენტებს, როგორიცაა HUDOC. აღნიშნული პლატფორმა თემატურად და კონტექსტურად წარმოგვიდგენს პრეცედენტული სამართლის სფეროში განვითარებულ მოვლენათა უახლეს ანალიზს, კონვენციის ცალკეული მუხლებისა და ურთიერთგადამკვეთი თემების მიხედვით. ამით იგი ხელს უწყობს ეროვნული სასამართლო ხელისუფლების შესაძლებლობათა განვითარებას, რათა უკეთ გაიაზროს და გამოიყენოს კონვენციით გათვალისწინებული სტანდარტები ყოველდღიურ პრაქტიკაში. პლატფორმა რამდენიმე ენაზე იძლევა წვდომას კარგად სტრუქტურირებულ და განახლებულ ცოდნის ბაზაზე კონვენციის შესახებ, რათა მოხერხდეს კონვენციის გამოყენების ჰარმონიზება, გაიზარდოს კონვენციასთან დაკავშირებულ საქმეთა გადაწყვეტა ეროვნულ დონეზე და უფრო ეფექტიანად გამოიყენებოდეს სასამართლო დრო. სამოქმედო გეგმის თანახმად, ევროპის საბჭო გააფართოებს ამ ღონისძიებათა ფარგლებს და მოიცავს საქართველოსაც; იგი სასამართლოს „ცოდნის გაზიარების პლატფორმას“ მოარგებს ქართულ კონტექსტს და იმუშავებს ხელისუფლების ორგანოებთან, რათა შეიმუშაოს „ძირითადი უფლებების გამოყენებისა და ნავიგაციის ინსტრუმენტები“ (BRANT). მისი მიზანია, ხელი შეუწყოს „ცოდნის გაზიარების პლატფორმისა“ და კონვენციის სხვა ინსტრუმენტების გამოყენებას სასამართლო ხელისუფლების მიერ; კონსულტაციები ჩატარდეს არსებულ პროცესებზე, კონვენციასთან დაკავშირებულ საკითხთა უკეთ გამოვლენის, ცნობისა და გადაწყვეტისათვის; გააუმჯობესოს არსებული ინსტრუმენტები, ან შექმნას ახალი საშუალებები, რათა ეროვნული სისტემები დააკავშიროს და გააერთიანოს კონვენციის პრეცედენტულ სამართალთან, ასევე, „ცოდნის გაზიარების პლატფორმასთან“.

ამ კონტექსტში, *პროგრამა „ადამიანის უფლებების სწავლება იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისთვის“ (HELP)* კვლავაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოს შესაძლებლობათა მხარდაჭერაში, რომ განახორციელოს კონვენციისა და ევროპის საბჭოს სხვა სტანდარტები, ასევე, ევროპის საბჭოს სტრუქტურებისა და მონიტორინგის მექანიზმების რეკომენდაციები, ადგილობრივ ინსტიტუტებთან პარტნიორობითა და იმ ცოდნაზე/

გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომელიც დაგროვდა ორგანიზაციის სხვადასხვა სექტორში. შესაბამისი აქტუალური HELP-ის ონლაინ კურსები ინტეგრირდება შესაძლებლობათა ზრდის ღონისძიებებში, როგორც ამ თემის ფარგლებში, ისე ქვემოთ წარმოდგენილ სხვა ნაწილებში.

## გარემოს დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის კონტექსტში

გარემოს დეგრადაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების ხარისხზე და უარყოფითად მოქმედებს ძირითადი უფლებებით სარგებლობაზე. ევროპის საბჭომ შეიმუშავა რამდენიმე კონვენცია[24], რომლებიც აღიარებს უფლებას ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოზე. მიუხედავად იმისა, რომ ის ცალსახად არ არის გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და ევროპის სოციალური ქარტიით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში „ევროპული სასამართლო“) პრაქტიკა და სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი დასკვნები ადასტურებს უდავო ურთიერთკავშირს გარემოსა და ადამიანის უფლებებს შორის. ევროპულ სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებული აქვს „დაახლოებით 300 საქმეზე გარემოსდაცვით რისკებსა და სხვადასხვა ფორმის ზიანთან დაკავშირებით“, რომლებიც გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით. მათ შორისაა სამრეწველო ხმაური, ჰაერის დაბინძურება, ნიადაგისა და მიწისქვეშა თუ ზედაპირული წყლების დაბინძურება, ემისიები ნარჩენების განთავსების ადგილებიდან, მტვრით დაბინძურება, სანაპირო რაიონების დაბინძურება ნავთობით, ტყეების განადგურება, ურბანული განვითარება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების პრობლემები, სტიქიური უბედურებები და ნადირობა, ასევე, პასიური მოწევა. 2022 წლის ნოემბერში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა დაამტკიცა კომპეტენციები ექსპერტთა ახალი კომიტეტისთვის - „სისხლის სამართლის მეშვეობით გარემოს დაცვის შესახებ“ (PC-ENV). ახლადშექმნილ კომიტეტს მინისტრთა კომიტეტისა და დანაშაულის პრობლემათა ევროპული კომიტეტის (CDPC) უფლებამოსილების ქვეშ დაევალა, შეიმუშაოს ახალი კონვენცია სისხლის სამართლის მეშვეობით გარემოს დაცვის შესახებ. ახალმა კომიტეტმა პირველი შეხვედრა გამართა 2023 წლის აპრილში. ევროპის საბჭოს ახალი კონვენცია ზოგად საფუძველს შექმნის გარემოსდაცვითი სისხლის სამართლისთვის პანევროპულ დონეზე, უზრუნველყოფს რა საერთო გლობალურ ჩარჩოს იმ გარემოსდაცვითი გამოწვევების ტრანსნაციონალური ბუნების შესაბამისად, რომლებიც უნდა გადაწყდეს.

2020 წლის დეკემბერში *მინისტრთა კომიტეტის ახსებული (საქართველო) და მომავალი (საბერძნეთი და გერმანია) თავმჯდომარეების ერთობლივმა დეკლარაციამ ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვის შესახებ* აღიარა „მზარდი საფრთხეები კლიმატისა და გარემოსდაცვითი მიმართულებით და გლობალურ დონეზე აქტიურად და შეთანხმებულად მოქმედების გადაუდებელი აუცილებლობა მათი მდგრადობისა და დაცვის უკეთ უზრუნველსაყოფად.“ *მინისტრთა კომიტეტის საქართველოს თავმჯდომარეობის ფარგლებში*, გარემოს დაცვისა და ადამიანის უფლებათა უმაღლესი დონის კონფერენციის საბოლოო დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ „ევროპის საბჭომ არსებითი როლი უნდა შეასრულოს ადამიანის უფლებებში გარემოსდაცვითი განზომილების ინტეგრირებაში და გარემოს დაცვის სფეროში დაიცვას ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა.“[25] მასში ასევე აღნიშნულია, რომ ევროპის საბჭოს „შეუძლია, შეიმუშაოს მიზნობრივი თანამშრომლობითი პროგრამები [გარემოსდაცვითი] მდგრადობის პოლიტიკის განსაზღვრა-განხორციელებაში ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის მხარდასაჭერად“; მან „მაგალითი უნდა მისცეს საკუთარი სამუშაო მეთოდების გადახედვით, რათა გაზომოს და მინიმუმამდე შეამციროს თავისი საქმიანობის უარყოფითი გავლენა გარემოზე.“[26]

---

24. მათ შორის, „კონვენცია ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ“ (ბერნის კონვენცია), „ევროპის ლანდშაფტების კონვენცია“, „კონვენცია გარემოსთვის სახიფათო საქმიანობით მიყენებული ზიანისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ“ (ლუგანოს კონვენცია) და „კონვენცია სისხლის სამართლის მეშვეობით გარემოს დაცვის შესახებ“. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ასევე შეიმუშავა „შეთანხმება ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის ძირითადი საფრთხეების შესახებ“, რომლის წევრიც არის საქართველო.

25. *საბოლოო დეკლარაცია მინისტრთა კომიტეტის საქართველოს თავმჯდომარეობის ფარგლებში*, გარემოს დაცვისა და ადამიანის უფლებათა უმაღლესი დონის კონფერენცია, რომელიც გაიმართა მინისტრთა კომიტეტის საქართველოს თავმჯდომარეობით, 2020 წლის 27 თებერვალს.

26. იქვე.

2022 წლის ივლისში გამოქვეყნებულ უახლეს *ანგარიშში* საქართველოს შესახებ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა ხაზი გაუსვა მჭიდრო კავშირს გარემოსა და ადამიანის უფლებებს შორის. მან შეაქო საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების, ასევე, სახალხო დამცველის აქტიური როლი ამ სფეროში და მიუთითა ისეთ მნიშვნელოვან ხელშემშლელ გარემოებებზე, როგორიცაა: სასამართლო პროცესის ხანგრძლივობა, რაც აბრკოლებს გადაწყვეტილებათა მიღებას არსებული ეკოლოგიური ზიანის პრევენციისა ან/და შერბილებისთვის აუცილებელ ვადებში; ასევე, კერძო ბიზნესინტერესების გათვალისწინების ტენდენცია; და ხელმისაწვდომი რესურსების ნაკლებობა ზემოქმედების შეფასების ხარისხიანი კვლევების ჩასატარებლად. კომისარმა საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, რომ უზრუნველყოს საზოგადოების მნიშვნელოვანი და გამჭვირვალე მონაწილეობა გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავებაში, განხორციელებასა და მონიტორინგში, ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე. მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუ რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ინფორმირებულობას გარემოსდაცვით საკითხებზე და ადამიანებისთვის ადრეული ასაკიდანვე სწავლებას, რომ საჭიროა გარემოს დაცვა. კომისარმა საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, რომ შემდგომშიც განავითაროს და განახორციელოს ყოვლისმომცველი ღონისძიებები საზოგადოების ცოდნის, განათლებისა და ცნობიერების ასამაღლებლად იმ საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება გარემოს დაცვასა და ადამიანის უფლებებს, მათ შორის, ჩაატაროს მიზნობრივი ტრენინგები კონკრეტული პროფესიული ჯგუფებისთვის, როგორებიც არიან მოსამართლეები.

*რეიკიავიკის დეკლარაციის*[27] V დანართი - „ევროპის საბჭო და გარემო“ - ხაზს უსვამს, რომ „გადაუდებლად აუცილებელია კოორდინირებული მოქმედება გარემოს დასაცავად, სამმაგი პლანეტარული კრიზისის დაძლევით, რომელიც მოიცავს დაბინძურებას, კლიმატის ცვლილებასა და ბიომრავალფეროვნების დაკარგვას“, და ადასტურებს, „რომ ადამიანის უფლებები და გარემო გადაჯაჭვულია ერთმანეთზე და სუფთა, ჯანსაღი და მდგრადი გარემო განუყოფელი ნაწილია ახლანდელი და მომავალი თაობების მიერ ადამიანის უფლებებით სრულად სარგებლობისა.“

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის მიუთითებს, რომ, მართალია, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში და სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით, გარემოს დაცვა პრაქტიკაში კვლავაც გამოწვევად რჩება. სტრატეგიაში განსაზღვრულ ამოცანებს შორის არის:

- „საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება და განხორციელების უზრუნველყოფა, მათ შორის, საერთაშორისო გარემოსდაცვითი ნორმებისა და სტანდარტების დანერგვა;
- გარემოსდაცვით სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესაბამისად;
- გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.“

ევროპის საბჭო მხარს დაუჭერს ხელისუფლებას ადგილობრივ დონეზე გარემოს დაცვის გასაძლიერებლად, კერძოდ, იურისტთა ცნობიერების ამაღლებით კავშირზე ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვას შორის (კონვენციის შესაბამისად), ასევე, შესაბამისი უნარებით აღჭურვით, თუ როგორ უნდა წარმართონ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საქმეები კონვენციის სტანდარტთა გამოყენებით. გარდა ამისა, მხარდაჭერა ორიენტირებული იქნება ფართო საზოგადოების ცნობიერებისა და ცოდნის ამაღლებაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს გარემოს გაუარესებით გამოწვეული ახალი გამოწვევების გადალახვას ადამიანის უფლებათა სფეროში და რამდენად აუცილებელია მისი აქტიური ჩართულობა პროცესში.

27. ევროპის საბჭოს სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მე-4 სამიტი – რეიკიავიკი (2023 წლის 16-17 მაისი).

**ბიზნესი და ადამიანის უფლებები**

დაეყრდნო რა გაეროს 2011 წლის სახელმძღვანელო პრინციპებს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია *CM/Rec(2016)3* ადამიანის უფლებებისა და ბიზნესის შესახებ. დოკუმენტი შეიცავს კონკრეტულ სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც წევრ სახელმწიფოებს დაეხმარება, რომ აირიდონ და აღმოფხვრან ადამიანის უფლებათა დარღვევა მეწარმე სუბიექტების მხრიდან. აღნიშნული მოითხოვს ისეთი ზომების გატარებას, რომლებიც ბიზნესს მოუწოდებს ადამიანის უფლებათა პატივისცემისკენ. რეკომენდაცია ითვალისწინებს წვდომას სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე და ეყრდნობა ევროპის საბჭოს ექსპერტულ ცოდნას, ასევე, ამ სფეროში არსებულ სამართლებრივ სტანდარტებს (სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, სასამართლო ბარიერების შემცირება, იურიდიული დახმარება, კოლექტიური საჩივრები). დოკუმენტი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მუშაკების, ბავშვების, მკვიდრი მოსახლეობისა და ადამიანის უფლებათა დამცველების დამატებითი დაცვის საჭიროებაზე.

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის აღიარებს სახელმწიფოს ვალდებულებას, რომ უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა დაცვა მესამე მხარეების, მათ შორის, მეწარმე სუბიექტების მიერ. სტრატეგიის მიზანია შესაბამისი ზომების მიღება არსებულ გამოწვევათა დასაძლევად. ესენია:

- ბიზნესისა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო ჩარჩო სტანდარტების დამკვიდრება, მათ შორის, კანონმდებლობის ჰარმონიზაციის გზით;
- დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების (მედიაცია, არბიტრაჟი) მიერ დავის გადაწყვეტის პროცესში „ბიზნესისა და ადამიანის უფლებების" ჩარჩო სტანდარტების გამოყენების დამკვიდრება.

ევროპის საბჭო მზად არის, მხარი დაუჭიროს საქართველოს ხელისუფლებას ისეთი საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩოების შემუშავება-მიღებაში, რომელთა მიზანია, აიცილოს ადამიანის უფლებათა შელახვა მეწარმე სუბიექტების მიერ, ხოლო შელახვის შემთხვევაში, უზრუნველყოს სათანადო წვდომა სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე.

- **ადამიანის უფლებები ბიომედიცინისა და ჯანმრთელობის სფეროში**

ამ მიმართულებით საქმიანობისას, ევროპის საბჭო ხელმძღვანელობს კონვენციით ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ (ოვიედოს კონვენცია) - სამართლებრივად მბოჭველი ერთადერთი საერთაშორისო დოკუმენტით, რომელიც შეეხება ადამიანის უფლებებს ბიომედიცინის სფეროში და საქართველოს რატიფიცირებული აქვს 2000 წლის ნოემბერში. ის ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრინციპებს ბიოლოგიისა და მედიცინის სფეროში და მიზნად ისახავს, დაიცვას ყველა ადამიანის ღირსება და იდენტობა, ასევე, უზრუნველყოს მათი მთლიანობა და სხვა უფლებებისა თუ ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა ბიოლოგიისა და მედიცინის გამოყენებისას. ამისათვის იგი ადგენს ძირითად პრინციპებს, რომლებიც დაცული უნდა იყოს ყოველდღიურ სამედიცინო საქმიანობაში, ასევე, სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევების, გენეტიკისა და ორგანოებისა და ქსოვილების ტრანსპლანტაციის სფეროებში.

სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში ხაზგასმულია რიგი საკითხები, როგორიცაა:

- სამედიცინო პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებული საჩივრების, ასევე, პაციენტთათვის მათ უფლებებზე მიწოდებული ინფორმაციის მართვა;
- პაციენტთა უფლებები ჯანდაცვის სექტორის მართვაში პანდემიისას;
- ფსიქიატრიული და სასჯელაღსრულების დაწესებულებების პაციენტთა უფლებების შეზღუდვა, ამ შეზღუდვების საფუძველთა არასათანადო სიცხადე (როგორც

საკანონმდებლო, ისე პრაქტიკულ დონეზე) და გასაჩივრების პროცედურები თითოეულ უფლებასთან მიმართებით.[28]

სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, „აუცილებელია, სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ შეიმუშაოს ერთიანი სამართლებრივი რეგულაციები პაციენტთა უფლებების პრაქტიკაში განხორციელებისთვის, ასევე, მომჩივნებთან კომუნიკაციის ერთიანი სტანდარტები“.

ევროპის საბჭო მზად არის, მხარი დაუჭიროს საქართველოს ხელისუფლებას ჯანდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა საკითხების მოგვარებაში, რათა სისტემა უფრო მეტად იყოს ორიენტირებული პაციენტზე, კერძოდ:

- მხარი დაუჭიროს ხელისუფლების ორგანოებს, რათა ჯანდაცვისა და სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევების სფეროში არსებული სამართლებრივი ნორმები და პრაქტიკა მეტად დაუახლოონ ადამიანის უფლებებისა და ეთიკის ევროპულ სტანდარტებს.
- კიდევ უფრო გააძლიეროს ჯანდაცვისა და სამართლის სფეროს პროფესიონალთა უნარები და შესაძლებლობები, რათა ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში გამოიყენონ ადამიანის უფლებებისა და ეთიკის სტანდარტები, პაციენტთა საუკეთესო ინტერესების დაცვით და სპეციალური ყურადღების გამახვილებით განსაკუთრებულად მოწყვლად პირებზე.
- მხარი დაუჭიროს ხელისუფლების ორგანოებს, რომ საქართველოში განახორციელონ კეთილდღეობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ახალი სტრატეგია, ადამიანის უფლებათა ჭრილში.
- ხელი შეუწყოს პაციენტზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვას ჯანდაცვის მომსახურებებში.

➢ **გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაციის, მედიისა და მონაცემების დაცვა**

როგორც აღიარებულია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2022 წლის აპრილში გამოქვეყნებულ ანგარიშში - *საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესრულება* - მონიტორინგის ბოლო ანგარიშის შემდეგ, საქართველო აგრძელებს წინსვლას მედიის თავისუფლების მიმართულებით.[29] ამავდროულად, მონიტორინგის კომიტეტმა საქართველოში არსებული მედიაგარემო შეაფასა, როგორც ძალიან პოლიტიზებული, რაც ასახავს და ხელს უწყობს პოლარიზებულ პოლიტიკურ ვითარებას ქვეყანაში. ქართული მედიისთვის საკვანძო საკითხია სიძულვილის ენა და კონტენტის თვითრეგულირება. ამ საკითხის მაღალი სენსიტიურობის გათვალისწინებით, მონიტორინგის კომიტეტმა მტკიცედ მოუწოდა ხელისუფლებას, მოეთხოვა ევროპის საბჭოს ექსპერტთა დახმარება ნებისმიერი საკანონმდებლო აქტის მომზადებაში, რომელიც უკავშირდება მედიაკონტენტის რეგულირებას.[30]

2022 წლის 3 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა ევროპის საბჭოს სთხოვა, მოემზადებინა დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში შესატან ცვლილებათა პროექტზე, კერძოდ, მის შესაბამისობაზე აუდიოვიზუალური მედიამომსახურების დირექტივის დებულებებსა და ევროპულ სტანდარტებთან. *ექსპერტის დასკვნა* შეიცავს 60-ზე მეტ დეტალურ რეკომენდაციას, რომლებიც შეეხება, მათ შორის, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს (კომუნიკაციების კომისიის) დამოუკიდებლობას, უფლებამოსილებებს, ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას, მედიის მფლობელობის საკითხებს, ასევე, ანგარიშვალდებულებისა და სანქცირების სისტემას.

---

28. ექიმს უფლება აქვს, პაციენტს შეუზღუდოს ისეთი უფლებები, როგორიცაა ტელეფონით სარგებლობა, საავადმყოფოს მცირე პერიოდით დატოვება, წერილების, ამანათებისა და მნახველების მიღება, პირადი ნივთის ფლობა, აუდიოვიზუალური ინფორმაციის მიღება, ასევე, ინფორმაციისა და სამედიცინო დოკუმენტაციის მიღება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

29. *რეზოლუცია 2015 (2014)* და დოკუმენტი 13588 „დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება საქართველოში“.

30. წყარო: *ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ანგარიში „საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესრულება*“, 158-ე პუნქტი.

2023 წლის ანგარიშში დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის მდგომარეობის შესახებ, გენერალურმა მდივანმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სამართლებრივი გარანტიები ქმნის მარეგულირებელ ჩარჩოს გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისათვის, სახელმწიფოებს კი ევალებათ ხელსაყრელი გარემოს შექმნა ამ უფლების განსახორციელებლად, რაც გულისხმობს საკანონმდებლო ჩარჩოს დანერგვას გამოხატვის თავისუფლების, მათ შორის, ინფორმაციაზე წვდომის უფლების დასაცავად.

მოსაზრებაში, რომელიც შეეხება საქართველოს განაცხადს ევროკავშირში გაწევრიანებაზე, ევროკომისიამ რეკომენდაცია მისცა ევროპარლამენტს, ევროპულ საბჭოსა და ევროკავშირის საბჭოს, რომ საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიენიჭოს მას შემდეგ, რაც გაიღებს „მეტ ძალისხმევას თავისუფალი, პროფესიონალური, პლურალისტური და დამოუკიდებელი მედიაგარემოს უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით, მედიასაშუალების მფლობელთა მიმართ აღძრული სისხლის სამართალწარმოების შესაბამისობით უმაღლეს სამართლებრივ სტანდარტებთან, ასევე, მიუკერძოებელი, ეფექტიანი და დროული გამოძიების დაწყებით, როცა ექმნება საფრთხე ჟურნალისტთა და მედიასაშუალების სხვა თანამშრომელთა უსაფრთხოებას“.

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის, კერძოდ, ის ნაწილი, რომელიც ეძღვნება სიტყვის, მედიისა და გამოხატვის თავისუფლებას, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველო ვალდებულია, დაიცვას სიტყვის, მედიისა და გამოხატვის თავისუფლება, როგორც ადგენს საქართველოს კონსტიტუცია და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები, და დაიცვას მედიის წარმომადგენლები. სტრატეგიით გათვალისწინებულ ამოცანებს შორის არის:

- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საერთაშორისო/ევროპული სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და კანონმდებლობის შემდგომი განვითარება ღიაობის სტანდარტის გაძლიერებით;
- მედიის თავისუფლებისა და პლურალიზმის შემდგომი მხარდაჭერა და ჟურნალისტთა პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე დროული და ეფექტიანი რეაგირების მექანიზმის გაუმჯობესება.

სამოქმედო გეგმის თანახმად, ევროპის საბჭო საქართველოს ხელისუფლებასა და დაინტერესებულ მხარეებს ხელს შეუწყობს შემდეგ პროცესებში:

- საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება ჟურნალისტთა უსაფრთხოების საკითხთან მიმართებით;
- სახელმძღვანელო მითითებებისა და ინსტრუქციების შემუშავება სამართალდამცველი ორგანოებისთვის, ჟურნალისტებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების შესახებ;
- სამართალდამცველ ორგანოთა და შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა შესაძლებლობების გაძლიერება ჟურნალისტთა უსაფრთხოების საკითხის გადაწყვეტაში;
- სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესაძლებლობათა გაძლიერება ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობის ხელშეშლის ფაქტების გამოძიებაში;
- უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაღრმავება ჟურნალისტებთან დაკავშირებულ საქმეებზე სამართალდამცველ უწყებებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის, სახალხო დამცველის აპარატს, სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიას შორის.
- ყოვლისმომცველი სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, გამოქვეყნება და ანალიზი ჟურნალისტებთან დაკავშირებულ საქმეებზე;
- ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის შესახებ ევროპული კონვენციის (ტრომსოს კონვენცია) რატიფიკაციისა და განხორციელების ხელშეწყობა;
- SLAPP სარჩელებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება;
- მედიის მარეგულირებელი ორგანოს თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება მაუწყებლობის ახალი კანონის განხორციელებაში; კანონქვემდებარე

აქტების, სახელმძღვანელო მითითებებისა და ინსტრუქციების შემუშავება მის განსახორციელებლად; ასევე, ეფექტიანი ზედამხედველობა და მონიტორინგი მის განხორციელებაზე პარლამენტისა და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მიერ.

- პარლამენტსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის კოორდინაცია და თანამშრომლობა მედიისა და გამოხატვის თავისუფლების სფეროში;
- სახალხო დამცველის აპარატის შესაძლებლობათა გაძლიერება გამოხატვის თავისუფლებისა და მედიის სფეროებში არსებულ გამოწვევათა დასაძლევად;
- ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის რეფორმირება, ჟურნალისტთა მიერ ამბის არაეთიკურ გაშუქებაზე ეფექტიანი რეაგირებისათვის;
- ჟურნალისტებისა და მედიაორგანიზაციების შესაძლებლობათა გაძლიერება ამბების ეთიკური გაშუქებისა და ჟურნალისტთა უსაფრთხოების სტანდარტების სფეროში;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის, ასევე საჯარო და კერძო სექტორების შესაძლებლობათა გაძლიერება ევროპული სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის განხორციელებაში;
- ცნობიერების ამაღლება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში და კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაუმჯობესება შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა შორის.

**მოსალოდნელი შედეგები**

*კონვენციის ეფექტიანობის გაძლიერება ეროვნულ დონეზე*

- სახელმწიფო დაინტერესებულ მხარეთა (იუსტიციის სამინისტრო, სახელმწიფო წარმომადგენლის სამსახური, სპეციალური საგამოძიებო სამსახური და სასამართლოები) გაძლიერებული შესაძლებლობები, რათა უფრო ეფექტიანი როლი შეასრულონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში „ევროპული სასამართლო“) გადაწყვეტილებათა სრულად აღსრულებაში;
- იმ დაწესებულებათა გაზრდილი სტრუქტურული შესაბამისობა და კოორდინაცია, რომლებსაც ევალებათ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება;
- გაზრდილი ეფექტიანობა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებაში ეროვნულ დონეზე.
- საქართველოს პარლამენტის გაძლიერებული შესაძლებლობები, რათა შეასრულოს თავისი საზედამხედველო ფუნქციები ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე და ეროვნული კანონმდებლობა დაუახლოოს ევროპულ სტანდარტებს;
- საქართველოს იურისტთა შესაძლებლობების გაძლიერება ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტებისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ეფექტიანად და თანმიმდევრულად გამოყენებისათვის;
- სასამართლოს „ცოდნის გაზიარების პლატფორმის“ (ECHR-KS) გეოგრაფიული არეალის გაფართოება, რათა მოიცვას საქართველოც, და პლატფორმა მოერგოს საქართველოს, „ძირითადი უფლებების გამოყენებისა და ნავიგაციის ინსტრუმენტებთან“ (BRANT) ერთად;
- დიალოგის გაღრმავება საქართველოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებსა და სხვა წევრ სახელმწიფოებს შორის, კონვენციის გამოყენების საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით;
- გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინება საქართველოს კანონმდებლობაში, ევროპულ სტანდარტთა შესაბამისად, და ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებების უზრუნველყოფა;
- იურისტებისა და ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ურთიერთკავშირზე გარემოსა და ადამიანის უფლებათა დაცვას შორის;
- სახელმწიფო უწყებების, კომპანიების, სამრეწველო გაერთიანებებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თანამშრომლობა საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება გარემოსა და ადამიანის უფლებების დაცვას;
- საერთაშორისო ჩარჩო სტანდარტების დანერგვა ბიზნესისა და ადამიანის უფლებებისთვის, მათ შორის, კანონმდებლობის ჰარმონიზებით.

**მთავარი სახელმწიფო პარტნიორები:** იუსტიციის სამინისტრო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ეროვნული სასამართლოები, სპეციალური საგამოძიებო სამსახური, სახელმწიფო წარმომადგენლის სამსახური, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, პარლამენტი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლა, სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებები, სასამართლო სისტემის წევრები (მოსამართლეები, ადვოკატები, იურიდიული დახმარების პერსონალი), სახალხო დამცველის აპარატი, გენერალური პროკურატურა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები.

*ადამიანის უფლებები ბიომედიცინისა და ჯანმრთელობის სფეროში*

- საქართველოს საკანონმდებლო ბაზისა და მასთან დაკავშირებული პრაქტიკის გაუმჯობესებული შესაბამისობა პრინციპებთან, რომლებსაც ადგენს კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ (ოვიედოს კონვენცია);
- ხელისუფლების ორგანოთა გაუმჯობესებული ცოდნა და გაძლიერებული შესაძლებლობები, რათა იცავდნენ/ხელს უწყობდნენ ადამიანის უფლებებს ბიომედიცინისა და ჯანმრთელობის სფეროში;
- საზოგადოების ამაღლებული ცნობიერება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ გამოწვევებზე ბიომედიცინის სფეროში;
- პაციენტზე ორიენტირებული მიდგომის გაუმჯობესებულად გამოყენება სამედიცინო პერსონალის მიერ, ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სფეროში.

**მთავარი სახელმწიფო პარტნიორები:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახალხო დამცველის აპარატი.

*გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაციის, მედიისა და მონაცემების დაცვა*

- ჟურნალისტთა უსაფრთხოების, მედიის რეგულირებისა და ინფორმაციაზე წვდომის ძირითადი სამართლებრივი და პოლიტიკის ინსტრუმენტების გაუმჯობესებული შესაბამისობა ევროპის საბჭოს სტანდარტებსა და საუკეთესო ევროპულ პრაქტიკასთან ამ სფეროში;
- მარეგულირებელი ორგანოს (კომუნიკაციების კომისია) გაზრდილი ცოდნა და შესაძლებლობები, რათა მაუწყებლობის შესახებ კანონი განახორციელოს ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით და ევროპული სტანდარტების შესაბამისად;
- მარეგულირებელი ორგანოსა და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების გაძლიერებული მონიტორინგი და ზედამხედველობა მაუწყებლობის შესახებ კანონის განხორციელებაზე;
- მონაცემთა გაუმჯობესებული შეგროვება ჟურნალისტებთან დაკავშირებულ საქმეებზე;
- სამართალდამცველ ორგანოთა გაძლიერებული შესაძლებლობები, ცოდნა და მექანიზმები ჟურნალისტებთან დაკავშირებულ დანაშაულთა ეფექტიანად გამოძიებაში; გაძლიერებული თანამშრომლობა და კოორდინაცია სამართალდამცველ უწყებებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის, ჟურნალისტებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეებზე;
- დაინტერესებულ მხარეთა გაძლიერებული შესაძლებლობები ქვეყანაში SLAPP საკითხების გადასაწყვეტად;
- ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის გაძლიერებული შესაძლებლობები, რათა მხარი დაუჭიროს ამბების ეთიკურად გაშუქებას მედიაორგანიზაციებისა და ცალკეული ჟურნალისტების მიერ;
- ჟურნალისტთა გაუმჯობესებული ცოდნა უსაფრთხოების სტანდარტებსა და ამბების ეთიკურად გაშუქებაზე;
- ძირითადი დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის გაზრდილი ცოდნა და შესაძლებლობები შესაბამისი კანონმდებლობის განსახორციელებლად.

**მთავარი სახელმწიფო პარტნიორები:** სახალხო დამცველის აპარატი, ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, კომუნიკაციების კომისია, პარლამენტი, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სპეციალური საგამოძიებო სამსახური, იუსტიციის სამინისტრო, პროკურატურა, საზოგადოებრივი მაუწყებელი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, ჟურნალისტები და მედიაორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები.

## 2.1.2 ადამიანის უფლებებისა და ღირსების ხელშეწყობა

თანასწორობა და ადამიანის ღირსება ადამიანის უფლებათა განუყოფელი ნაწილი და დემოკრატიის ძირითადი ელემენტია. თუმცა ქალები კვლავინდებურად ყველგან და მუდმივად აწყდებიან ძალადობასა და დისკრიმინაციას, ხოლო ეკონომიკური, სოციალური და ჯანდაცვის კრიზისი ისევ ახდენს ზეწოლას სოციალურ სერვისებსა და ბავშვთა დაცვის სისტემებზე, რაც უარყოფითად აისახება ბავშვთა უფლებების ეფექტიანად დაცვაზე. ციფრული გარემო დამატებით გამოწვევებს და ძალადობის რისკებს უქმნის ქალებსა და ბავშვებს.

ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის ყოველწლიურ ანგარიშში წინსვლა 2022 აღნიშნულია, რომ „განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლაზე, კერძოდ, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) განხორციელებით", და „დამატებითი ყურადღება გამახვილდეს გაძლიერებულ ბრძოლაზე ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ, კერძოდ, სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (ლანსაროტის კონვენცია) განხორციელებით".

- **გენდერული თანასწორობა, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა**

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) საქართველოს რატიფიცირებული აქვს 2017 წლის 19 მაისს. 2022 წლის ნოემბერში გამოქვეყნებულ *საბაზისო შეფასების ანგარიშში* ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფი (GREVIO) მიესალმა საქართველოს ხელისუფლების მიერ კანონების, პოლიტიკისა და ინსტიტუციური ჩარჩოების სტამბოლის კონვენციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიმართულებით გადადგმულ ბევრ ნაბიჯს. მან ხაზი გაუსვა მთელ რიგ დადებით სამართლებრივ და პოლიტიკის ღონისძიებებს - როგორიცაა *ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2018-2020 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის მიღება*, 2019 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა კანონმდებლობაში სექსუალური შევიწროების ასაკრძალად, ასევე, ცნობიერების ამაღლება ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმაზე - როგორც ძალიან მნიშვნელოვან ნაბიჯებს საქართველოს მიერ სტამბოლის კონვენციით ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად. აღსანიშნავია, რომ ცვლილებები შევიდა ოჯახში ძალადობის შესახებ კანონშიც, რათა მოეცვა ძალადობის ყველა ფორმა, ხოლო ქცევათა უმეტესობა, რომელთა კრიმინალიზებასაც ითხოვს სტამბოლის კონვენცია, განისაზღვრა სისხლის სამართლის დანაშაულად. სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ოჯახში ძალადობის დანაშაული, ასევე, ახალი დანაშაულის სახეები, როგორიცაა: იძულებითი ქორწინება, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, ადევნება და იძულებითი სტერილიზაცია. 2019 წელს კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა სექსუალური შევიწროების აკრძალვის კუთხითაც. ამავდროულად, GREVIO-ს ანგარიშში აღნიშნულია, რომ ამ ძალისხმევის მიუხედავად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებული გაუპატიურებისა და სხვა სექსუალური დანაშაულების განმარტებები კვლავ საჭიროებს ცვლილებებს , რათა ისინი შეესაბამებოდეს სტამბოლის კონვენციით დადგენილ სტანდარტებს.[31]

GREVIO-მ ასევე დაბეჯითებით მოუწოდა ხელისუფლებას, გააუმჯობესოს იმ ქალთა წვდომა მხარდაჭერის სერვისებსა და დაცვის მექანიზმებზე, რომლებიც იმყოფებიან ინტერსექციური დისკრიმინაციის საფრთხის ქვეშ, როგორიცაა ეროვნული ან/და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, სოფლად მცხოვრები ქალები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები, ლტოლვილები, ლესბოსელი, ბისექსუალი ან ტრანსგენდერი ქალები, ასევე, ხანდაზმულები.

31. 2022 წლის ნოემბერში ჩამოყალიბდა ევროპის საბჭოსა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ერთობლივი სამუშაო ჯგუფი, რათა ხელი შეეწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის საკანონმდებლო რეფორმისთვის, გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სხვა დანაშაულთა განმარტების დაფუძნებით თანხმობის არარსებობაზე, როგორც გათვალისწინებულია სტამბოლის კონვენციით.

GREVIO-ს ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ, ევროპის საბჭომ ექსპერტული კონსულტაცია გაუწია ხელისუფლების ორგანოებს განხილვებში, რომლებიც შეეხებოდა გაუპატიურების თანხმობაზე დაფუძნებულ განმარტებას. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც ექსპერტულ დახმარებას უწევს ამ თემის განხილვებს სხვადასხვა უწყებას შორის. სერიოზული სამუშაო შესრულდა, რათა გაზრდილიყო სპეციალიზებულ პროკურორთა და სხვა პროფესიონალთა შესაძლებლობები სექსუალური ძალადობის საქმეებზე მუშაობისათვის, რის შედეგადაც 68 %-ით გაიზარდა სექსუალური ძალადობის საქმეთა სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი. თუმცა, დაზარალებულ პირებს ჯერ კიდევ არ აქვთ წვდომა გაუპატიურების კრიზისულ ცენტრებსა ან/და სექსუალური ძალადობის რეფერირების ცენტრებზე, რომლებიც სათანადოდ არის გადანაწილებული მთელ ქვეყანაში; ასევე არ არსებობს სექსუალურ დანაშაულებში მსჯავრდებულთა მკურნალობის პროგრამები.

*ევროპის საბჭოს 2018-2023 წლების სტრატეგია გენდერული თანასწორობის შესახებ* კონკრეტულად ყურადღებას ამახვილებს შემდეგ საკითხებზე: ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა, მართლმსაჯულებაზე ქალთა თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ასევე, პოლიტიკური და საზოგადოებრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალებისა და მამაკაცების დაბალანსებული მონაწილეობის მიღწევა.

ძალისხმევის გაერთიანება გენდერული თანასწორობის გასაძლიერებლად და ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლისათვის ერთ-ერთი წინაპირობაა საქართველოს მიერ ევროკავშირის კანდიდატის ქვეყნის სტატუსის მისაღებად.

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის[32] სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს ავალდებულებს, რომ ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო და პრაქტიკა კიდევ უფრო შეუსაბამონ სტამბოლის კონვენციას და გააძლიერონ გენდერული თანასწორობა. სტრატეგიის ის ნაწილი, რომელიც ეხება გენდერულ თანასწორობას, ქალთა უფლებებსა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას, მოიცავს შემდეგ ამოცანებს: „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების, მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დაცვისა და პრევენციული მექანიზმების გაძლიერება; გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტიანი რეაგირება; მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციის მექანიზმების გაძლიერება და თავშესაფრის ხელმისაწვდომობა." 2022 წლის ნოემბერში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ორი ახალი სამოქმედო გეგმა 2022-2024 წლებისთვის, რომლებიც ითვალისწინებს ზომებს ფემიციდისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ და უზრუნველყოფს ქალთა ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სამოქმედო გეგმის თანახმად, ევროპის საბჭო ხელს შეუწყობს ეროვნულ დაინტერესებულ მხარეებს GREVIO-ს უახლეს ანგარიშში იდენტიფიცირებულ საკითხთა გადაწყვეტაში. ეს პრობლემები მოითხოვს გადაუდებელ მოქმედებას სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებული ოთხი მიმართულებით: პრევენცია, დაცვა, სისხლისსამართლებრივი დევნა და კოორდინირებული პოლიტიკა.

ევროპის საბჭო გამოიყენებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომას, რათა:

- მხარი დაუჭიროს ცვლილებებს სამართლებრივ, პოლიტიკურ და ინსტიტუციურ ჩარჩოებში;
- დამატებით გააძლიეროს საქართველოში შესაბამის სპეციალისტთა შესაძლებლობები, როგორებიც არიან: გამომძიებლები, პროკურორები, უფასო იურიდიული დახმარების პერსონალი, შემთხვევის მმართველები, პოლიციელები, დაზარალებულთა დაცვის სპეციალისტები, რეფერირების ცენტრებისა და თავშესაფრების პერსონალი, მომავალი იურისტები (სამართლის ფაკულტეტის სტუდენტები), შინაგან საქმეთა სამინისტროს სასწავლო განყოფილებები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები;

32. საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა 2023 წლის 23 მარტს.

- განათლების სისტემასა და ფართო საზოგადოებაში აამაღლოს ცნობიერება გენდერულ თანასწორობასა და ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციაზე.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მუშაობას ეროვნული ან/და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალებსა და გოგონებთან, ასევე, ლბტი ქალებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებთან, და გენდერული თანასწორობის საკითხებს ხელოვნურ ინტელექტსა და ახალ ტექნოლოგიებში. ყურადღება გამახვილდება ქალთა მიმართ ძალადობის ციფრულ განზომილებაზე, GREVIO-ს N 1 ზოგადი რეკომენდაციის შესაბამისად *ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილების შესახებ*. ქვეყნისთვის გათვალისწინებულ კონკრეტულ ღონისძიებებს დაემატება რეგიონული ღონისძიებებიც მართლმსაჯულებაზე ქალთა ხელმისაწვდომობის შესახებ, რაც რეგიონშიც იძლევა დაინტერესებულ მხარეთა პროფესიონალებს შორის ურთიერთგაცვლისა და კარგი პრაქტიკის გამოყენების საშუალებას.

- **ბავშვთა უფლებები**

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა საქართველოს ბავშვთა დაცვის სისტემაში. 2015 წელს ქვეყანამ მიიღო და ძალაში შევიდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი კოდექსი, რომელიც ადგენს ბავშვზე მორგებულ მიდგომას და ყველა სპეციალისტისგან მოითხოვს, რომ განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდოს ბავშვთა საქმეებს, ასევე, მოქმედებდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვით. ბავშვის უფლებათა კოდექსი ქვეყანამ მიიღო 2019 წელს და ძალაში შევიდა 2020 წლის 1 სექტემბერს. ამ დოკუმენტით უნდა ხელმძღვანელობდნენ სახელმწიფო უწყებები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, სხვა ადმინისტრაციული ორგანოები და საერთო სასამართლოები, ასევე, საჯარო/კერძო ორგანიზაციები ბავშვებსა და ბავშვებისთვის მუშაობისას და უზრუნველყოფდნენ სამართლებრივ გარანტიებს, რომლებიც გაუმარტივებს არასრულწლოვნებს თავიანთი უფლებების დამოუკიდებლად განხორციელებასა და დაცვას, ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულებისა და სხვა მექანიზმების მეშვეობით. ის ორიენტირებულია ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე და მისი ყველა უფლებისა და თავისუფლების რეალიზებაზე. კოდექსმა შექმნა სამართლებრივი საფუძველი, გარანტიები და უსაფრთხოების ზომები ყველა საჯარო და კერძო სუბიექტისთვის, რომლებიც გადაწყვეტილებებს იღებენ ბავშვთა უფლებებზე; ასევე, დანერგა მოსამართლეების, როგორც ნეიტრალური და კვალიფიციური სუბიექტების ზედამხედველობა ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ბავშვებს აცალკევებენ ოჯახებისგან. 2022 წლის მარტში თბილისში დაარსდა „ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრი ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის" და მეორე ასეთი დაწესებულება გაიხსნება ქუთაისშიც. დაწესებულების მიზანია ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია და მეორეული ვიქტიმიზაციის აცილება.

ბავშვთა დაცვა ძალადობისგან, პოზიტიური მშობლობის პრაქტიკის ხელშეწყობა ციფრულ გარემოში, რეფერირების მექანიზმის გაუმჯობესება, ასევე, მეტი მხარდაჭერა ბავშვის მიმართ ძალადობასა და სექსუალურ ექსპლუატაციაზე ცნობიერების ამაღლებისათვის, იმ პრიორიტეტთა შორისაა, რომლებსაც მოიცავს საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების 2021-2027 წლების სამოქმედო გეგმა.[33] უფრო კონკრეტულად, ასოცირების შეთანხმების სამოქმედო გეგმაში ხაზგასმულია საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსის ეფექტიანი განხორციელება და სათანადო ზომების მიღება ბავშვთა დასაცავად ყველა ფორმის ძალადობისგან, მათ შორის, ადრეული და იძულებითი ქორწინებისგან. გარდა ამისა, აღიარებულია, რომ საჭიროა სოციალური მუშაკებისა და ბავშვებთან მომუშავე სხვა სპეციალისტების შესაძლებლობათა გაზრდა.

მიუთითებს რა ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღების შესახებ, საქართველოს 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ საჭიროა მისი პრაქტიკაში განხორციელება, სტრატეგიის ამოცანებს შორის კი დასახულია ბავშვებზე მორგებული მართლმსაჯულების, ასევე, დანაშაულის პრევენციისა და ბავშვთა

33. ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საბჭოს 2022 წლის 16 აგვისტოს რეკომენდაცია N 1/2022 ევროკავშირ-საქართველოს 2021-2027 წლების ასოცირების დღის წესრიგის შესახებ: *EUR-Lex - 22022D1422 - EN - EUR-Lex (europa.eu)*

რესოციალიზაციის/რეაბილიტაციის მექანიზმების გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტთა შესაბამისად.

სტრატეგიაში ასევე აღნიშნულია, რომ გამოწვევებად რჩება სახალხო დამცველის ბოლო ანგარიშში იდენტიფიცირებული საკითხები, როგორიცაა ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენცია, დროული და ბავშვზე მორგებული რეაგირება, ეფექტიანი კოორდინაცია უწყებათა შორის და დროული რეფერირების პროცედურები.

უახლეს ანგარიშში განხორციელების შესახებ (2022 წლის მარტი) ლანსაროტის კომიტეტმა რეკომენდაცია მისცა საქართველოს, რომ სათანადო ტრენინგები ჩაუტაროს ბავშვთა ექსპლუატაციის, მათ მიმართ სექსუალური ძალადობისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით ჩადენილი სექსუალური დანაშაულის ასპექტებზე სამართალდამცველ ორგანოთა იმ თანამშრომლებს, რომლებსაც შეიძლება შეხება ჰქონდეთ ასეთ შემთხვევებთან. გარდა ამისა, ყურადღება გამახვილდა ბავშვებისთვის ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობაზე[34], ასევე, ბავშვებთან კონტაქტში მყოფ სპეციალისტთა აღჭურვაზე სათანადო ცოდნით[35] (ე. ი. განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სექტორებში, ასევე, სპორტთან, კულტურასა და გასართობ აქტივობებთან დაკავშირებულ სფეროებში), კერძოდ, ისეთი დანაშაულების შესახებ, როგორიცაა ბავშვის სექსუალური ექსპლუატაცია და ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობა, მათ შორის, ჩადენილი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დახმარებით.

იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს საქართველოს რეფორმათა დღის წესრიგს ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით, ევროპის საბჭო:

- გააგრძელებს სამართლებრივი და პოლიტიკის რეფორმათა მხარდაჭერას ლანსაროტის კონვენციისა და ევროპის საბჭოს სტანდარტების შესაბამისად;
- გააძლიერებს პოლიციის გამომძიებლების, პროკურორების, ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკებისა და ბავშვებთან კონტაქტში მყოფი სხვა სპეციალისტების შესაძლებლობებს ბავშვთა დასაცავად ძალადობისგან, ასევე, სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციისგან, მათ შორის, ონლაინ საშუალებებით;
- გაზრდის ბავშვების, მშობლების, მასწავლებლებისა და ბავშვებთან/ბავშვებისთვის მომუშავე სხვა პირების ინფორმირებულობას ბავშვის მიმართ ძალადობაზე, ასევე, თუ რას ნიშნავს ბავშვის ექსპლუატაცია და ბავშვის მიმართ ძალადობა (მათ შორის, ონლაინ საშუალებებით), როგორ უნდა გამოავლინონ და შეატყობინონ ასეთი შემთხვევები, და როგორ უნდა მოითხოვონ დახმარება.

34. რეკომენდაცია X-1.
35. რეკომენდაცია IX-6.

**მოსალოდნელი შედეგები**

*გენდერული თანასწორობა, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა*

- გაუმჯობესებული სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩო, GREVIO-ს მიგნებებისა და სტამბოლის კონვენციის დებულებათა შესაბამისად;
- შესაბამის სახელმწიფო ორგანოთა/უწყებათა და დაინტერესებულ მხარეთა გაძლიერებული შესაძლებლობები ევროპის საბჭოს სტანდარტების გამოსაყენებლად, რომლებიც შეეხება გენდერულ თანასწორობასა და ქალთა მიმართ ძალადობისგან დაცვას;
- იურისტთა გაძლიერებული შესაძლებლობები გენდერული თანასწორობის სტანდარტების გამოსაყენებლად;
- მართლმსაჯულების გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა ქალებისთვის, განსაკუთრებით, ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის, სტამბოლის კონვენციის დებულებათა შესაბამისად.

**მთავარი სახელმწიფო პარტნიორები:** პარლამენტი, იუსტიციის სამინისტრო, იუსტიციის სასწავლო ცენტრი, იუსტიციის უმაღლესი სკოლა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, სასამართლოები, იურიდიული ფაკულტეტები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები.

*ბავშვთა უფლებები*

- ბავშვთა გაძლიერებულად დაცვა ძალადობისგან, სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან, მათ შორის, ციფრულ გარემოში, ლანსაროტის კონვენციისა და ლანსაროტის **კომიტეტის** რეკომენდაციათა შესაბამისად;
- საქართველოს სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩოს გაუმჯობესებული შესაბამისობა ევროპის საბჭოს სტანდარტებთან, რომლებიც მიემართება ბავშვთა დაცვას ძალადობისგან, სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან;
- მთავარი დაინტერესებული მხარეების (სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, მოსამართლეები, პროკურორები, გამომძიებლები და სამართალდამცველ ორგანოთა თანამშრომლები) გაძლიერებული შესაძლებლობები, რათა შეძლონ ბავშვის მიმართ ძალადობის, სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის (მათ შორის, ონლაინ) პრევენცია, ასევე, მათზე რეაგირება;
- ბავშვთა და შესაბამის სპეციალისტთა გაზრდილი ინფორმირებულობა ბავშვის მიმართ ძალადობის, სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის (მათ შორის, ონლაინ) პრევენციასა და შესაბამის რეაგირებაზე.

**მთავარი სახელმწიფო პარტნიორები:** იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახალხო დამცველის აპარატი, განათლების სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, პარლამენტი, იურისტთა მოსამზადებელი სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებები, პროკურატურა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები.

### 2.1.3 დისკრიმინაციის დაუშვებლობა, მრავალფეროვნება და ინკლუზია

დისკრიმინაცია არის ადამიანის უფლებათა დარღვევის ხშირი ფორმა, რომელიც საფრთხეს უქმნის ყველა ადამიანის მიერ უფლებებით სარგებლობას. უმცირესობებზე მიმართული ქსენოფობიური რიტორიკა და სიძულვილის ენა სულ უფრო ჩვეული ხდება პოლიტიკურ ცხოვრებასა და სოციალურ მედიაში. ინკლუზიური საზოგადოებების ჩამოყალიბება,

რომლებიც თავისუფალია დისკრიმინაციისა და სიძულვილისგან, ნამდვილი დემოკრატიის უზრუნველყოფისა და რეალიზაციის წინაპირობაა. საჭიროა ევროპის საბჭოს ღირებულებებზე დაფუძნებული საერთო პოლიტიკური რეაგირება, რათა თავიდან ავიცილოთ და აღმოვფხვრათ მეტი განხეთქილება, უნდობლობა და მრავალფეროვნებათა უარყოფა, რომლებიც ძირს უთხრის ადამიანის უფლებებს და ევროპულ საზოგადოებათა დემოკრატიულ უსაფრთხოებას. კანონის წინაშე თანასწორობისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, ასევე, მათთან მჭიდროდ დაკავშირებული დისკრიმინაციის აკრძალვა, იმ სახელმწიფოს მთავარი ამოცანებია, რომელმაც აქტიური სამართლებრივი და ორგანიზაციული ზომები უნდა მიიღოს საზოგადოებაში თანაბარი შესაძლებლობების შესაქმნელად იმ პირთათვის, რომლებიც ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს მიეკუთვნებიან.

- **დისკრიმინაციის დაუშვებლობა და უმცირესობები**

ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) თავის *უახლეს ანგარიშში საქართველოს შესახებ*[36] აღიარებს პროგრესს, რომელსაც საქართველომ მიაღწია ECRI-ის მეხუთე ციკლის ანგარიშის[37] მიღების (2015 წლის დეკემბერი) შემდეგ, თუმცა ასევე განსაზღვრავს გარკვეულ „საკითხებს, [რომლებიც] შეშფოთებას იწვევს“. მათ შორისაა: სახალხო დამცველის აპარატის გარკვეული საქმიანობის მკაცრი კრიტიკა ზოგიერთი პოლიტიკოსის მხრიდან, რისი მიზანიც არის ძირის გამოთხრა მისი სანდოობის, დამოუკიდებლობისა და რეპუტაციისთვის; კვალიფიციურ მასწავლებელთა დეფიციტი ადამიანის უფლებათა სწავლებაში, რის გამოც სკოლის ადმინისტრაცია ხშირად ვერ ახერხებს სათანადო ყურადღების მიქცევას ამ თემისთვის; სიძულვილის ენისა (მათ შორის, ონლაინ საშუალებებში) და სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების ზრდა ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი (ლგბტი) ადამიანების მიმართ; რასისტული და ლგბტქი თემის საწინააღმდეგო გამონათქვამების ეფექტიანი მონიტორინგის სისტემისა და ისეთი სპეციალიზებული განყოფილებების არარსებობა, რომლებიც გამოიძიებენ რასისტულ და ლგბტი პირთა მიმართ სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულებს.

2022 წლის თებერვალში საქართველოში ვიზიტის შემდეგ მომზადებულ *ანგარიშში* ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი მიესალმა ზომებს, რომლებიც ხელისუფლებამ გაატარა ანტიდისკრიმინაციული სამართლებრივი ჩარჩოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობისათვის, ასევე, ძალისხმევას კომპეტენტური სამართალდამცველი ორგანოების შესაძლებლობათა გასაძლიერებლად, რათა ებრძოლონ სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და რელიგიის ნიშნით ჩადენილ სიძულვილის დანაშაულთა დაუსჯელობას. თუმცა, მან აღნიშნა, რომ დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით კვლავაც რჩება დისკრიმინაციის ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმად, სიძულვილის დანაშაულისა და გავრცელებული დისკრიმინაციის შედეგად კი ზარალდებიან ლგბტი ადამიანები. ამიტომ, კომისარმა ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებს მოუწოდა: გაძლიერებული ძალისხმევით ებრძოლონ ისეთ დარღვევათა დაუსჯელობას, რომლებიც უკავშირდება ლგბტი პირთა უფლებებს; აამაღლონ ფართო საზოგადოების ცნობიერება ამ საკითხზე; და სპეციალისტთა სამიზნე ჯგუფებს ჩაუტარონ სასწავლო ღონისძიებები, რომლებიც შეეხება ანტიდისკრიმინაციულ სამართლებრივ ჩარჩოს, ასევე, მათი როლის მნიშვნელობას თანასწორობაში, ღირსების დაცვასა და დისკრიმინაციის დაუშვებლობაში.

კომისარმა რეკომენდაცია მისცა ქვეყანას, რომ ხელისუფლებამ ეფექტიანად წარმართოს რელიგიის ნიადაგზე ჩადენილი სიძულვილის დანაშაულების გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა და დააწესოს პროპორციული და გადამარწმუნებელი სანქციები.

36. ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI), ანგარიში საქართველოს შესახებ, მონიტორინგის მეექვსე ციკლი, რომელიც მიღებულია 2023 წლის 28 მარტს და გამოქვეყნდა 2023 წლის 22 ივნისს.

37. პროგრესი ეხება, მათ შორის, სამართლებრივ დებულებებს, რომელთა თანახმადაც, სახალხო დამცველის აპარატის ბიუჯეტი არ შეიძლება იყოს წინა წლების ბიუჯეტზე ნაკლები; ასევე, ღონისძიებებს, რომლებიც ზრდის სამართალდამცველ ორგანოთა თანამშრომლების, პროკურორებისა და მოსამართლეების შესაძლებლობებს სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულებსა და შემთხვევებზე მუშაობის კუთხით.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელისუფლების ორგანოებმა ყველა რელიგიურ თემთან უნდა დაიწყონ/განაგრძონ ღია დიალოგი სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე ზედამხედველობის ფარგლებში, ისეთ საქმეთა ერთობლიობასთან მიმართებით, როგორიცაა „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, ხელისუფლების ორგანოებს მოუწოდა ძალისხმევის განმტკიცებისაკენ, რათა ლგბტი ადამიანები სრულად სარგებლობდნენ მშვიდობიანი შეკრების უფლებით. კომიტეტმა ხაზი გაუსვა მუდმივ გამოწვევებს, რომლებიც არსებობს სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და რელიგიის ნიადაგზე ჩადენილი სიძულვილის დანაშაულების ეფექტიან გამოძიებაში, ძალადობის მასშტაბთა ზრდასთან ერთად, და ხელისუფლების ორგანოებს მოუწოდა გამოძიების ეფექტიანობისა და სანქციების გაუმჯობესებისკენ.[38]

2022 წლის იანვარში საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო *რეზოლუცია 2418 (2022)* სამხრეთ კავკასიაში ლგბტი ადამიანთა უფლებების სავარაუდო დარღვევებზე. საქართველოს შესახებ დასკვნებში ხაზგასმულია, რომ ლგბტი ადამიანთა უფლებები და მათი ხილვადობა იქცა გამორჩეულ საკითხად, რომელმაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ქართულ პოლიტიკურ დებატებში, და საქართველო უნდა დაეყრდნოს საერთაშორისო საზოგადოებისა და ისეთი ორგანიზაციების მხარდაჭერას, როგორიცაა ევროპის საბჭო.

თავის მოსაზრებაში საქართველოს განაცხადზე ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ, ევროკომისიამ კანდიდატის სტატუსის მინიჭების წინაპირობებში შეიტანა მოწყვლადი ჯგუფების ადამიანის უფლებათა გაძლიერებულად დაცვა, მათ შორის, მოძალადეთა და ძალადობის წამქეზებელთა უფრო ეფექტიანი პასუხისგებით.

საქართველოს სახალხო დამცველი თანმიმდევრულად განიხილავს უფლებრივი თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის საკითხებს. 2014 წელს სახალხო დამცველის აპარატს მიენიჭა მანდატი, რომ მონიტორინგი გაუწიოს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის განხორციელებას, ხოლო 2019 წელს ეს მანდატი კიდევ უფრო გაფართოვდა და სახალხო დამცველს მიეცა უფლება, სასამართლოს მიმართოს ადმინისტრაციული ზომების მოთხოვნით, როგორც დაინტერესებულმა პირმა, კონკრეტულ შემთხვევებში კი დაიწყოს სამართალწარმოება სასამართლოს წინაშე. 2022 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში სახალხო დამცველმა ვითარება შეაფასა, როგორც „ჯერ კიდევ კრიტიკული თანასწორობის დაცვის თვალსაზრისით“.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის მკაფიოდ არ მიუთითებს ლგბტი ადამიანებზე, მასში კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ თანასწორობა ადამიანის უფლებათა აღიარებული ნორმაა. სტრატეგიის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ მიღებულია კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, პრაქტიკაში მაინც არსებობს გამოწვევები ამ კუთხით. შესაბამისად, მისი მიზანია თანასწორობის უზრუნველყოფა ყველა დონეზე (როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორებში), უთანასწორობის ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრა და შეუწყნარებლობასთან, სიძულვილის დანაშაულებსა და სხვა სამართალდარღვევებთან ბრძოლა. ამ სფეროში სტრატეგიის ამოცანებია:

- „თანასწორობისა და ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობისა და მისი ეფექტიანი აღსრულების განგრძობადი გაუმჯობესება;
- სახელმწიფო სერვისების დაგეგმვისა და მიწოდების პროცესში ეთნიკური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებების გათვალისწინება თანასწორობის უფლების უზრუნველყოფის მიზნით;
- თანასწორობის უფლების რეალიზების უზრუნველყოფა უმცირესობათა ჯგუფებისთვის, მათ შორის, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის უფლების რეალიზებისთვის;

38. მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილება CM/Del/Dec(2022)1451/H46-13 – იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ – 2022 წლის 8 დეკემბერი.

- დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე მსხვერპლზე ორიენტირებული რეაგირების გაუმჯობესება, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესების გათვალისწინებით;
- თანასწორობის უფლებისა და შემწყნარებლობის ღირებულებების დამკვიდრების ხელშეწყობა;
- სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში უმცირესობათა მონაწილეობის ხელშეწყობა.“

ევროპის საბჭო მხარს დაუჭერს შემდეგ პროცესებს:

- დისკრიმინაციის ნიშნით და სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა (განსაკუთრებით, რომელთა სამიზნეებიც არიან ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები და ლგბტი ადამიანები);
- ცნობიერების ამაღლება და ინფორმირებულობა დისკრიმინაციის საკითხებზე, განსაკუთრებით, უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების მიმართ ცრურწმენათა იდენტიფიცირებითა და აღმოფხვრით;
- სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერა, რომ შეინარჩუნოს და გააუმჯობესოს თავისი როლი თანასწორობის ხელშეწყობაში და სიძულვილის ენასა და სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულებთან ბრძოლაში, ასევე, თავისი ჩართულობა ბიზნესსა და ეთნიკურ, რელიგიურ თუ სხვა უმცირესობათა თემებში.

**მოსალოდნელი შედეგები**

*დისკრიმინაციის დაუშვებლობა და უმცირესობები*

- მართლმსაჯულების სისტემისა და სამართალდამცველი ორგანოების გაძლიერებული შესაძლებლობები სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნაში (მათ შორის, რომლებიც ჩადენილია უმცირესობათა და ლგბტი ადამიანთა მიმართ);
- სკოლის მანდატურთა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა გაძლიერებული შესაძლებლობები, რათა ეფექტიანად გამოიყენონ საგანმანათლებლო და ცნობიერების ასამაღლებელი ინსტრუმენტები დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის;
- კერძო კომპანიების გაძლიერებული შესაძლებლობები და ძალისხმევა, რათა აღმოფხვრან დისკრიმინაცია ევროპის საბჭოს შესაბამისი სტანდარტების საფუძველზე;
- გაღრმავებული თანამშრომლობა და კოორდინაცია საქართველოს სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებათა შორის, სიძულვილის ენასთან ბრძოლისათვის.

**მთავარი სახელმწიფო პარტნიორები:** შინაგან საქმეთა სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, პროკურატურა, სახალხო დამცველის აპარატი, სპეციალური საგამოძიებო სამსახური, იუსტიციის სამინისტრო, პარლამენტი, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები.

### 2.1.4 სოციალური უფლებების უზრუნველყოფა

სოციალურ უფლებათა დაცვა და სოციალური პროგრესი ევროპის საბჭოს ერთ-ერთ მიზანი და ძირითადი ინსტრუმენტია სოციალური სამართლიანობის უზრუნველსაყოფად და ინკლუზიურ საზოგადოებათა კონსოლიდირებისთვის. სოციალურ უფლებათა განხორციელება არის არა

მხოლოდ საერთაშორისო ვალდებულება ადამიანის უფლებათა სფეროში, არამედ სოციალური და ეკონომიკური მდგრადობის ერთ-ერთ პირობაც, რომელიც ხელს უწყობს კარგ მმართველობას და აძლიერებს პატივისცემას სოციალური და დემოკრატიული მდგრადობის მიმართ. ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან (შემდგომში „კონვენცია“) ერთად, ევროპის სოციალური ქარტია (შემდგომში „ქარტია“) განასახიერებს ევროპის საუკეთესო დემოკრატიულ და სოციალურ მოდელს. ის ადგენს მთელ რიგ ძირითად უფლებებს, რომლებიც აუცილებელია ადამიანის ღირსების დასაცავად, ესენია: განათლების მიღება, ჯანმრთელობის დაცვა, საცხოვრებლის უფლება, სამართლიანი ანაზღაურება, სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაცვა.

საქართველოს ევროპის სოციალური ქარტია (შესწორებული) რატიფიცირებული აქვს 2005 წელს, 98 პუნქტიდან 63-ის მიღებით. ქვეყანას ჯერ არ მიუღია დამატებითი ოქმი, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას. სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის 2019, 2020, 2021 და 2022 წლების დასკვნებში შეუსაბამობის შესახებ[39]გარკვეული საჭიროებები გამოვლინდა სოციალურ უფლებათა გასაუმჯობესებლად ადამიანის უფლებათა სოციალური სამართლის ჭრილში. შესაბამისად, დასკვნები საქართველოს მოუწოდებს, დააჩქაროს კანონმდებლობისა და პრაქტიკის რეფორმა შესაბამის სფეროებში, ასევე, უფრო თანმიმდევრულად ჩაერთოს ევროპის სოციალურ ქარტიასა და მის მექანიზმებში. გარდა ამისა, სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა რამდენიმე შემთხვევაში დაადგინა, რომ საქართველოს მიერ წარდგენილი ყოველწლიური ანგარიშები ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელების შესახებ არ შეიცავდა საჭირო ინფორმაციას. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სფერო შეიძლება შეესაბამებოდეს ევროპის სოციალურ ქარტიას, ანგარიშებში წარმოდგენილი ინფორმაცია არ კმარა კომიტეტის მიერ დადებითი დასკვნის გამოსატანად; ამასთანავე, ანგარიშები არ შეიცავს ინფორმაციას, რომელიც შეიძლება საჭირო იყოს რეკომენდაციების გასაცემად.

*2022 წლის თებერვალში საქართველოში ვიზიტის შემდეგ მომზადებულ ანგარიშში* კომისარი მიესალმა საქართველოს შრომის კანონმდებლობაში განხორციელებულ ყოვლისმომცველ რეფორმას და რეკომენდაცია მისცა ხელისუფლებას, რომ გამოასწოროს კანონმდებლობაში დარჩენილი ხარვეზები მინიმალურ ხელფასთან, დეკრეტულ შვებულებასა და ზეგანაკვეთურ სამუშაოსთან დაკავშირებით. მან საქართველოს ხელისუფლებას ასევე ურჩია შრომის კანონმდებლობის ეფექტიანი განხორციელება და მოუწოდა, გაზარდოს შრომის ინსპექციის ადამიანური და საბიუჯეტო რესურსები, შრომის ინსპექტორებს კი უწყვეტი სწავლება ჩაუტაროს შრომითი უფლებების შესაბამის სტანდარტებზე, უსაფრთხოებისა და ანტიდისკრიმინაციული სტანდარტების ჩათვლით.

საქართველოს 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაში, სხვა სოციალურ უფლებებთან ერთად, დასახულია შემდეგი კონკრეტული ამოცანები შრომითი უფლებების სფეროში:

39. სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის 2022 წლის დასკვნები შრომითი უფლებების შესახებ მოიცავს 11 დასკვნას შეუსაბამობის შესახებ, რომლებიც მიემართება მე-2 მუხლს (უფლება შრომის სამართლიან პირობებზე), მე-4 მუხლს (უფლება შრომის სამართლიან ანაზღაურებაზე), მე-6 მუხლს (კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების უფლება), 26-ე მუხლს (სამუშაოზე ღირსების უფლება) და 29-ე მუხლს (ინფორმაციისა და კონსულტაციის უფლება კოლექტიური გათავისუფლების პროცედურების შემთხვევებში). კომიტეტის 2021 წლის დასკვნები ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაცვის შესახებ მოიცავს 4 დასკვნას შეუსაბამობის შესახებ, რომლებიც მიემართება მე-11 მუხლს (ჯანმრთელობის დაცვის უფლება) და მე-12 მუხლს (სოციალური უზრუნველყოფის უფლება). კომიტეტის 2020 წლის დასკვნები დასაქმების, პროფესიული მომზადებისა და თანასწორი შესაძლებლობების შესახებ მოიცავს 6 დასკვნას შეუსაბამობის შესახებ, რომლებიც მიემართება 1-ელ მუხლს (შრომის უფლება), მე-10 მუხლს (პროფესიული მომზადების უფლება), მე-15 მუხლს (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებლობის, სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება) და მე-20 მუხლს (დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის სფეროში თანაბარი შესაძლებლობებითა და თანასწორი მოპყრობით სარგებლობის უფლება, სქესობრივი დისკრიმინაციის გარეშე). კომიტეტის 2019 წლის დასკვნები ბავშვებთან, ოჯახებსა და მიგრანტებთან დაკავშირებით კი მოიცავს 19 დასკვნას შეუსაბამობის შესახებ, რომლებიც მიემართება მე-7 მუხლს (ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება დაცვაზე), მე-8 მუხლს (დასაქმებულ ქალთა დედობის დაცვის უფლება), მე-17 მუხლს (ბავშვებისა და ახალგაზრდების სოციალური, იურიდიული და ეკონომიკური დაცვის უფლება), მე-19 მუხლს (შრომით მიგრანტთა და მათი ოჯახების უფლება დაცვასა და დახმარებაზე) და 27-ე მუხლს (ოჯახური ვალდებულებების მქონე მუშაკთა თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარი მოპყრობის უფლება).

- „შრომის კანონმდებლობაზე არსებული საზედამხედველო მექანიზმების განვითარება და გაძლიერება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- შრომის უსაფრთხოების მექანიზმების გაძლიერება სამუშაო ადგილებზე;
- შრომითი მედიაციის სისტემის გაძლიერება;
- სოციალური დიალოგის ეფექტიანი და განგრძობადი განვითარება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე;
- შრომის კანონმდებლობის ეფექტიანი განხორციელებისთვის შესაფერისი პირობების შექმნა და შრომის ინსპექციის სამსახურის გაძლიერება.“

აქედან გამომდინარე, ევროპის საბჭო დაეხმარება ხელისუფლებას, რომ ეროვნული საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოები და პრაქტიკა სოციალური უფლებების სფეროში შეუსაბამოს ევროპულ სტანდარტებს, განსაკუთრებული ფოკუსით შრომით უფლებებზე (საგანგებო ყურადღება დაეთმობა ბავშვის შრომასა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებას), რომელთა დაცვა და ხელშეწყობაც ხაზგასმულია, როგორც მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტული სამოქმედო მიმართულება. კიდევ უფრო წახალისდება ქარტიის დამატებითი დებულებების მიღება, მათ შორის, კოლექტიური საჩივრების მექანიზმის შესახებ. საბჭო მხარს დაუჭერს შრომის ინსპექციის სამსახურის ინსტიტუციურ გაძლიერებასაც, რათა გაერთიანდეს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ცოდნა/შესაძლებლობები სოციალური უფლებებისა და ქარტიის დაცვისა და ხელშეწყობის კუთხით, ასევე, ამაღლდეს მოქალაქეთა ინფორმირებულობა სოციალურ უფლებათა მნიშვნელობაზე.

**მოსალოდნელი შედეგები**

*სოციალური უფლებების უზრუნველყოფა*

- ევროპის სოციალური ქარტიის სისტემის გაღრმავებული ცოდნა და გაგება პოლიტიკის განმსაზღვრელთა, სოციალურ მუშაკთა, შრომის ინსპექტორთა, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა შორის;
- სოციალურ და ეკონომიკურ უფლებათა ეროვნული სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩოების გაუმჯობესებული შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან;
- ეროვნული ანგარიშების გაუმჯობესებული ხარისხი ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელების შესახებ;
- შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომელთა გაძლიერებული შესაძლებლობები შრომის კანონმდებლობის გამოსაყენებლად.

**მთავარი სახელმწიფო პარტნიორები:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შრომის ინსპექციის სამსახური, სახალხო დამცველის აპარატი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, პარლამენტი და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები.

## 2.2 კანონის უზენაესობა

პროგრესს, რომელსაც საქართველომ წინა სამოქმედო გეგმის შემდეგ[40] მიაღწია კანონის უზენაესობის სფეროში რეფორმების განხორციელებისას, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა მიესალმა თავის *438 (2022) რეზოლუციასა*[41] და *მონიტორინგის კომიტეტის საინფორმაციო ნოტაში*[42], რომელიც მომზადდა 2023 წლის მარტში, თბილისში ფაქტების დამდგენი ვიზიტის შედეგად. ამის მიუხედავად, მან შეშფოთება გამოხატა რამდენიმე ასპექტთან მიმართებით და გამოავლინა საკითხები, რომლებიც საჭიროებს გადაწყვეტას და რომლებთან მიმართებითაც ევროპის საბჭო გააგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას, ევროპის საბჭოს ინსტიტუტების, მონიტორინგის მექანიზმებისა და საკონსულტაციო ორგანოების რეკომენდაციათა გათვალისწინებით.[43]

მიმდინარე სამოქმედო გეგმის თანახმად, ევროპის საბჭო შეეცდება, აქტიურად იმუშაოს საქართველოს ხელისუფლებასთან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმის გასატარებლად, რათა უზრუნველყოს მისი სათანადო ანგარიშვალდებულება და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესების გამჭვირვალობა; ასევე, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან ერთად გააუმჯობესოს საქართველოს სასამართლო სისტემის ეფექტიანობა, მათ შორის, ტრადიციული მართლმსაჯულების კარგად ფუნქციონირებადი და სანდო ალტერნატიული საშუალებების შემუშავებითა და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესაძლებლობათა გაძლიერებით, გადაცდომის/არასათანადო მოპყრობის შემთხვევებზე მუშაობისათვის. ის ხელს შეუწყობს საქართველოს სამართალდამცველი ორგანოებისა და სასამართლო ხელისუფლების შესაძლებლობათა გაძლიერებასაც კორუფციის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საქმეთა ეფექტიანად გამოძიებაში, სისხლისსამართლებრივ დევნასა და გადაწყვეტაში. გაძლიერდება ქონების დაბრუნების სფეროში მომუშავე სტრუქტურათა შესაძლებლობებიც, რათა ეფექტიანად მიაკვლიონ, დააბრუნონ და განკარგონ დანაშაულის შედეგად მიღებული ქონება. ამ სამოქმედო გეგმის საშუალებით, ევროპის საბჭო ეფექტიან ზომებს მიიღებს საქართველოში კორუფციის პრევენციისთვისაც. ამჟამად, კიბერდანაშაულთან ბრძოლა ერთ-ერთ პრიორიტეტად არის განსაზღვრული საქართველოს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2024 წლების ეროვნულ სტრატეგიაში; ევროპის საბჭოს მხარდაჭერის მიზანია საქართველოს ხელისუფლების შესაძლებლობათა გაძლიერება, რათა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებამ უფრო ეფექტიანად უპასუხოს კიბერდანაშაულსა და ელექტრონულ მტკიცებულებებს და გაზარდოს კიბერმდგრადობა. ევროპის საბჭო გააგრძელებს ხელისუფლების ორგანოთა დახმარებას პატიმართა პირობებისა და მოპყრობის დამატებით გასაუმჯობესებლად, ასევე, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამსახურების პერსონალის გადასამზადებლად, რათა გაძლიერდეს ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპების შესაბამისი პოლიტიკისა და პრაქტიკის გამოყენება. საქართველოს პომპიდუს ჯგუფთან მიერთების შემდეგ (2020 წლის მაისი), ამ სამოქმედო გეგმის ნაწილია ნარკოტიკებისა და ნარკოდამოკიდებულების წინააღმდეგ ბრძოლაც. ევროპის საბჭო საქართველოს დაეხმარება პრევენციული

40. საქართველოსთვის ევროპის საბჭოს 2020-2023 წლების სამოქმედო გეგმა.

41. რეზოლუცია 2438 (2022) „საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესრულება", ასამბლეის 2022 წლის 28 აპრილის დებატები (მე-16 სხდომა) (იხ. დოკ. 15497, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოთა მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესრულების კომიტეტის (მონიტორინგის კომიტეტი) ანგარიში, თანამომხსენებლები: ტიტუს კორლატეანი და კლოდ კერნი). ტექსტი მიიღო ასამბლეამ, 2022 წლის 28 აპრილს (მე-16 სხდომა).

42. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესრულების კომიტეტი (მონიტორინგის კომიტეტი): „საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესრულება," შესწორებული საინფორმაციო ნოტა, რომელიც მოამზადეს თანამომხსენებლებმა (კლოდ კერნი, საფრანგეთი, „ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი ევროპისთვის", და ედიტ ესტრელა, პორტუგალია, „სოციალისტთა, დემოკრატთა და მწვანეთა ჯგუფი"), თბილისში ფაქტების დამდგენი ვიზიტის შედეგად (2023 წლის 27-29 მარტი).

43. კერძოდ, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი (შემდგომში „კომისარი"), ევროპული კომისია „დემოკრატია სამართლის მეშვეობით" (შემდგომში „ვენეციის კომისია"), მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ), კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფი (GRECO), ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელი რჩეულ ექსპერტთა კომიტეტი (MONEYVAL) და ევროპის საბჭოს საერთაშორისო თანამშრომლობის ჯგუფი ნარკოტიკებისა და ნარკოდამოკიდებულების საკითხებში (პომპიდუს ჯგუფი).

ინტერვენციების განხორციელებასა და გაზრდაში, სამიზნე ჯგუფების ცნობიერების ამაღლებაში, ასევე, ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარებასა და ნარკოდამოკიდებულების საკითხებზე მომუშავე სპეციალისტთა შესაძლებლობების გაძლიერებაში.

ამ მიმართულებით განხორციელებული ქმედებები ხელს შეუწყობს საქართველოს გაეროს მდგრადი განვითარების შემდეგი მიზნების განხორციელებაში: მიზანი 3 – კარგი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა (ამოცანები 4 და 5)[44], 10 – შემცირებული უთანასწორობა (ამოცანები 2 და 3)[45] და 16 – მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები (ამოცანები 1, 3, 4, 5, 6, 10, a და b).[46]

### 2.2.1 კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული ინსტიტუტები

კანონის უზენაესობაზე დაფუძნებულ ინსტიტუტებს არსებითი მნიშვნელობა აქვთ საჯარო დაწესებულებათა სამართლიანი და გამართული ფუნქციონირებისთვის, საზოგადოებაში ადამიანის უფლებებით ეფექტიანად სარგებლობისთვის და ყოველდღიურ ცხოვრებაში მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და დაცვისთვის. დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ და ეფექტიან სასამართლო სისტემას საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების ნდობის მოპოვებასა და ადამიანის უფლებათა დაცვაში. ასეთი სასამართლო სისტემა იძლევა გარანტიას, რომ ყველა ადამიანი თანასწორი იქნება კანონის წინაშე და პრაქტიკაში ისარგებლებს უფლებებითა და თავისუფლებებით. გარდა ამისა, დამოუკიდებელი და სანდო სასამართლო სისტემა დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

საპარლამენტო ასამბლეის ანგარიშში - „საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესრულება“ - რომელიც გამოქვეყნდა 2022 წლის აპრილში, აღნიშნულია, რომ მართალია, საქართველო აგრძელებს მნიშვნელოვან წინსვლას კანონის უზენაესობისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის დასაცავად, აუცილებელია დამატებითი და მუდმივი ძალისხმევა ჭეშმარიტად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემის უზრუნველსაყოფად.

- **მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა და ეფექტიანობა**

ევროკომისიამ, თავის მოსაზრებაში საქართველოს განაცხადზე ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ, დაასკვნა, რომ სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით „საქართველოში მნიშვნელოვანი სასამართლო რეფორმები გატარდა, მაგრამ ბოლოდროინდელმა ცვლილებებმა შეაჩერა ეს პოზიტიური ტენდენცია“ და „საჭიროა სასამართლოს

44. მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისთვის. ამოცანა 3.4: 2030 წლისთვის, პრევენციისა და მკურნალობის მეშვეობით, არაინფექციური დაავადებების შედეგად ნაადრევი სიკვდილიანობის ერთი მესამედით შემცირება და ფსიქიკური ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობა. ამოცანა 3.5: აკრძალული ნივთიერებების მოხმარების, მათ შორის, ნარკოტიკული ნივთიერებებისა და ალკოჰოლის დამღუპველი მოხმარების პრევენციისა და მკურნალობის გაძლიერება.

45. მიზანი 10: უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის. ამოცანა 10. 2: 2030 წლისთვის ყველა ადამიანის გაძლიერება და სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ჩართულობის ხელშეწყობა, მიუხედავად ასაკის, სქესის, შეზღუდული შესაძლებლობის, რასის, ეთნიკური კუთვნილების, წარმომავლობის, რელიგიის ან ეკონომიკური თუ სხვა სტატუსისა. ამოცანა 10. 3: თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფა და შედეგების მხრივ უთანასწორობის შემცირება, მათ შორის, დისკრიმინაციული კანონების, პოლიტიკისა და პრაქტიკის აღმოფხვრით და ამ თვალსაზრისით სათანადო კანონმდებლობის, პოლიტიკისა და ქმედების ხელშეწყობით.

46. მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასთვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე; ამოცანა 16.1: ძალადობის ყველა ფორმისა და მასთან დაკავშირებული სიკვდილიანობის შემთხვევათა რაოდენობის შემცირება ყველგან; ამოცანა 16.3: ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე კანონის უზენაესობის ხელშეწყობა და თითოეული ადამიანისთვის მართლმსაჯულებაზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა; ამოცანა 16.4: 2030 წლისთვის უკანონო ფინანსური და იარაღის ნაკადების მნიშვნელოვნად შემცირება, მოპარული ქონების ამოღებისა და დაბრუნების გაძლიერება და ორგანიზებული დანაშაულის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლა. ამოცანა 16.5: კორუფციისა და მექრთამეობის ყველა ფორმის მნიშვნელოვნად შემცირება. ამოცანა 16.6: ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე ინსტიტუტების შექმნა ყველა დონეზე; ამოცანა 16.10: საზოგადოებისთვის ინფორმაციაზე მუდმივი წვდომის უზრუნველყოფა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვა, ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად. ამოცანა 16.a: შესაბამისი ეროვნული ინსტიტუტების გაძლიერება, მათ შორის, საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით, ყველა დონეზე ძალადობის პრევენციისა და ტერორიზმსა და დანაშაულთან ბრძოლის შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით, განვითარებად ქვეყნებში; ამოცანა 16.b: მდგრადი განვითარებისთვის არადისკრიმინაციული კანონებისა და პოლიტიკის შემოღების ხელშეწყობა და განხორციელება.

დამოუკიდებლობის კონსოლიდაცია და სასამართლო სისტემის მთლიანი ინსტიტუციური ჯაჭვის ანგარიშვალდებულებისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა“. ევროკომისიამ გასცა რეკომენდაცია, რომ საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიენიჭოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქვეყანა, სხვა საკითხებს შორის: „მიიღებს და განახორციელებს სასამართლო რეფორმის გამჭვირვალე და ეფექტიან სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას 2021 წლის შემდგომი პერიოდისთვის, რომელიც დაეფუძნება ვრცელ და ინკლუზიურ პარტიათაშორის კონსულტაციებს; ჩამოაყალიბებს სასამართლო სისტემას, რომელიც იქნება სრულად და ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, ანგარიშვალდებული და მიუკერძოებელი მთელი ინსტიტუციური ჯაჭვის ფარგლებში; უფლებამოსილებათა გასამიჯნად, უზრუნველყოფს ყველა სასამართლო უწყებისა და დევნის განმახორციელებელი დაწესებულების (განსაკუთრებით, უზენაესი სასამართლოს) გამართულ და კეთილსინდისიერ ფუნქციონირებას; აღმოფხვრის ყველა გამოვლენილ ხარვეზს, მათ შორის, მოსამართლეთა წარდგენისას ყველა დონეზე და გენერალური პროკურორის დანიშვნისას; განახორციელებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საფუძვლიან რეფორმას; და დანიშნავს უმაღლესი საბჭოს დანარჩენ წევრებს“. თავის მოსაზრებაში ევროკომისიამ აღნიშნა, რომ მიღებული ზომები „სრულად უნდა შეესაბამებოდეს ევროპულ სტანდარტებს და იმ რეკომენდაციებს, რომლებსაც გასცემს ევროპული კომისია „დემოკრატია სამართლის მეშვეობით“ (ვენეციის კომისია)“.

საქართველოს 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაში ერთ-ერთ მიზნად განისაზღვრა „თანაბარი ხელმისაწვდომობა მხარეთა თანასწორობის უზრუნველმყოფ, სამართლიან, ეფექტურ, მიუკერძოებელ და გამჭვირვალე მართლმსაჯულებაზე.“ მის კონკრეტულ ამოცანებს შორის არის:

- „სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და მოსამართლეთა მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა;
- სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და საპროცესო უფლებების, მათ შორის, მხარეთა თანასწორობის მაღალი ხარისხით უზრუნველყოფა სასამართლოს ხელმისაწვდომობის გაზრდით და რეფორმის გაგრძელებით, მართლმსაჯულების ინსტიტუციური და მოსამართლეთა ინდივიდუალური დამოუკიდებლობის განმტკიცებით;
- სისხლის სამართლის კანონმდებლობის ადამიანის უფლებების საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა, მათ შორის, სასჯელთა დივერსიფიცირების გზით;
- დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განგრძობადი განვითარება;
- იურიდიული დახმარების სისტემის ინსტიტუციური გაძლიერება.“

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ანგარიშში - „საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესრულება“ (2022 წლის აპრილი) - აღნიშნულია, რომ 2013 წლის მაისის შემდეგ ქვეყანამ დიდ პროგრესს მიაღწია სასამართლო რეფორმის ოთხი ტალღის ფარგლებში, თუმცა, „არ განხორციელებულა ვენეციის კომისიის რამდენიმე, ზოგ შემთხვევაში საკვანძო რეკომენდაცია, ხოლო სხვა შემთხვევებში, რეფორმებმა ვერ მოიტანა სასურველი შედეგი“, რაც „გავლენას ახდენს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობასა და საზოგადოების ნდობაზე ამ მნიშვნელოვანი ინსტიტუტის მიმართ“. ასამბლეამ ასევე მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, „ჩაატაროს სასამართლო რეფორმის პირველი ოთხი ტალღის ყოვლისმომცველი და დამოუკიდებელი შეფასება, როგორც წარმატებული მიმართულებების, ისე დარჩენილი ხარვეზების გამოსავლენად, და მიიღოს ზომები შეფასებით გამოვლენილი მიგნებებისა და რეკომენდაციების შესაბამისად“. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ უნდა გატარდეს შესაბამისი ზომები, რომლებიც შეეხება, მათ შორის:

- კანონს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ, რომელიც იძლევა ადმინისტრაციული პატიმრობის ზედმეტად ფართო გამოყენების საშუალებას, ასევე, ითვალისწინებს ზედმეტად მაღალ ჯარიმებს და არ არის დაცული ბოროტად გამოყენებისგან;

- ხარვეზებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფუნქციონირებაში.

2023 წლის 27-29 მარტს საქართველოში ვიზიტის შემდეგ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საქართველოს მონიტორინგის ჯგუფის თანამომხსენებლებმა კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ აუცილებელია სასამართლო სისტემის რეფორმის გაგრძელება.

საქართველოს პარლამენტის მოთხოვნის საპასუხოდ, 2023 წლის 14 მარტს ვენეციის კომისიამ გამოაქვეყნა შემდგომი დასკვნა იმ ოთხ მოსაზრებაზე, რომლებიც უკავშირდება საერთო სასამართლოების შესახებ კანონს. კერძოდ, კომისიამ აღნიშნა, რომ აუცილებელია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოვლისმომცველი რეფორმის გატარება.

სამოქმედო გეგმის თანახმად, ევროპის საბჭო ხელს შეუწყობს საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირებაში, რათა გაიზარდოს მისი გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება და განვითარდეს იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესაძლებლობები სამართლის სფეროში მაღალხარისხიანი განათლების მისაწოდებლად, მათ შორის, ონლაინპლატფორმების გამოყენებით. ხელი შეეწყობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სამართლებრივი ჩარჩოს რეფორმასაც, განსაკუთრებული ფოკუსით სისხლის სამართლის კოდექსისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებებზე, რომლებიც შეეხება დისკრიმინაციის გავლენას ქალებზე. საბჭო ხელისუფლებას დაეხმარება ვენეციის კომისიის იმ დასკვნებზე რეაგირებაშიც, რომლებიც შეეხება პროკურატურის სისტემის დამოუკიდებლობას; ასევე, გაძლიერდება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესაძლებლობები.

ევროპის საბჭო ჩაერთვება ისეთი საკითხების გაუმჯობესებაში, როგორიცაა საქართველოს სასამართლო სისტემის ეფექტიანობა, მართლმსაჯულების ადმინისტრირების მოდერნიზაცია (მათ შორის, კიბერმართლმსაჯულების ახალ ინსტრუმენტთა დანერგვის ხელშეწყობით) და სასამართლო სერვისების ხარისხიანობა, მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) სტანდარტების, სახელმძღვანელო მითითებებისა და ინსტრუმენტების გამოყენებითა და შემდგომი გავრცელებით. მხარდაჭერა გაეწევათ მართლმსაჯულების სექტორის დაინტერესებულ მხარეებსაც (იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლოები, სასამართლოს მენეჯერები და პერსონალი, მოსამართლეთა ასოციაცია, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური, იუსტიციის უმაღლესი სკოლა, მედიატორთა ასოციაცია), რათა გაუმჯობესდეს სასამართლოების მუშაობა, კერძოდ, შემდეგი გზებით: მოხდეს მოსამართლეთა სამუშაო დატვირთვის ოპტიმიზაცია, ხელახლა დაინერგოს მათი საქმიანობის შეფასება ეფექტიანობისა და ხარისხის ობიექტური ინდიკატორების მეშვეობით, და გაუმჯობესდეს სასამართლო საქმისწარმოების სისტემა, ისევე, როგორც მისი შემდგომი გაციფრულება და შესაბამისობა CEPEJ-ის ინსტრუმენტებთან. დახმარება გაეწევა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასაც - სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავებაში, ასევე, შესაძლებლობათა შემდგომ გაძლიერებაში. კიდევ უფრო დაიხვეწება პროფესიული საქმიანობის დაწყების სტანდარტები და ჩატარდება ადვოკატთა უწყვეტი იურიდიული განათლების სისტემის რეფორმა. გარდა ამისა, გაგრძელდება მხარდაჭერა საქართველოს მართლმსაჯულების სისტემის ხარისხის, ეფექტიანობის, დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების ეფექტიანი, სისტემატური და მონაცემებზე დაფუძნებული მონიტორინგისა და შეფასებისთვის, CEPEJ-ის სტანდარტთა და ინსტრუმენტთა შესაბამისად. ეს ქვეყანას საშუალებას მისცემს, რომ შეაფასოს სასამართლო რეფორმის ზეგავლენა და წარმართოს რეფორმის პროცესი.

ევროპის საბჭო ხელს შეუწყობს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, რომ ჩამოაყალიბონ ტრადიციული მართლმსაჯულების კარგად ფუნქციონირებადი და სანდო ალტერნატიული საშუალებები, ასევე, ეფექტიანი უფასო იურიდიული დახმარების სისტემა, რათა გაიზარდოს მართლმსაჯულების ეფექტიანობა და ის ხელმისაწვდომი გახდეს ყველასთვის. ხელი შეეწყობა *აღდგენითი მართლმსაჯულების* მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესებას საქართველოში - რაც დაეყრდნობა ამ ტერმინის მნიშვნელობისა და მიზნის საერთო გაგებას სასამართლო ხელისუფლების ორგანოებს, სისხლის სამართლისა და აღდგენითი მართლმსაჯულების უწყებებს, იურისტებს, სამართალდამრღვევებს, დაზარალებულთა სახელით მოქმედ ჯგუფებსა

და საზოგადოებას შორის - ასევე, აღდგენით მართლმსაჯულებაში ჩართული დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობათა გაძლიერებას. დახმარება გაწევა იურიდიული დახმარების სამსახურსაც, რათა განვითარდეს მისი ინსტიტუციური შესაძლებლობები და გაძლიერდეს იურისტთა და იმ თანამშრომელთა შესაძლებლობები, რომლებსაც ევალებათ მონიტორინგი მიწოდებული მომსახურების ხარისხზე.

**მოსალოდნელი შედეგები**

- *მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა და ეფექტიანობა*
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესწორებული სამუშაო პროცედურები, რომლებიც ზრდის სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას;
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესწორებული კოდექსი, რომელიც ითვალისწინებს სათანადო დონის ადმინისტრაციულ სახდელებსა და მათთან დაკავშირებულ პროცედურებს, საერთაშორისო სტანდარტთა შესაბამისად;
- პროკურატურისა და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გაძლიერებული შესაძლებლობები მათი პასუხისმგებლობების შესასრულებლად სისხლის სამართალწარმოებაში;
- მოსამართლეებისა და პროკურორების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (კონვენცია) გაზრდილი განხორციელება ეროვნულ დონეზე, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მთლიან პროცესში;
- სასამართლოთა გაუმჯობესებული მართვა სასამართლოს მართვის თანამედროვე და CEPEJ-ის ინსტრუმენტების გამოყენებით (საპილოტე სასამართლოებში);
- გაზრდილი მიმართვიანობა მედიაციაზე;
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის გაუმჯობესებული ინსტიტუციური ჩარჩო, სტრუქტურა და ოპერაციები, ასევე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და ადვოკატების გაძლიერებული სწრაფვა პროფესიული ეთიკის დასაცავად;
- გაუმჯობესებული სტანდარტები პროფესიული საქმიანობის დასაწყებად და უწყვეტი იურიდიული განათლების მისაღებად, დანერგილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ;
- აღდგენითი მართლმსაჯულების ჩარჩოს გაზრდილი ეფექტიანობა და გაუმჯობესებული შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან;
- უფასო იურიდიული დახმარების გაძლიერებული საკანონმდებლო და ნორმატიული ჩარჩო, ევროპის საბჭოს სტანდარტთა შესაბამისად;
- იურიდიული დახმარების სამსახურის გაძლიერებული ინსტიტუციური შესაძლებლობები და იურისტთა და იმ თანამშრომელთა გაძლიერებული შესაძლებლობები, რომლებიც მონიტორინგს უწევენ მიწოდებული მომსახურების ხარისხს.
- სასამართლოს მონაცემთა გაუმჯობესებული შეგროვება, დამუშავება და ანალიზი, CEPEJ-ის სტანდარტთა და ინსტრუმენტთა შესაბამისად.

**მთავარი სახელმწიფო პარტნიორები:** იუსტიციის სამინისტრო, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, პროკურატურა, სპეციალური საგამოძიებო სამსახური, სასამართლო სისტემის წარმომადგენლები (მოსამართლეები, ადვოკატები, პროკურორები), იუსტიციის უმაღლესი სკოლა, სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებები, შინაგან საქმეთა სამინისტრო, პარლამენტი, უზენაესი სასამართლო, საკონსტიტუციო სასამართლო, საერთო სასამართლოები, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, იურიდიული დახმარების სამსახური, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები.

2.2.2 დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, მოქალაქეთა უსაფრთხოება და დაცვა

ადამიანის უფლებებით ეფექტიანად სარგებლობისათვის, დემოკრატიული სტაბილურობისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების შესანარჩუნებლად და ჩვენი ღირებულებების ხელშეუხებლობისთვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბრძოლას ყველა საფრთხესთან, რომლებიც ექმნება კანონის უზენაესობას. მათ შორისაა: ორგანიზებული დანაშაული, ფულის გათეთრება, ტერორიზმის დაფინანსება, კორუფცია და კიბერდანაშაული. ასევე მნიშვნელოვანია, არსებობდეს კარგად მართული სასჯელაღსრულების დაწესებულებები და პრობაციის სამსახურები, საკმარისი რაოდენობის სათანადოდ მომზადებული პერსონალით, როგორც აუცილებელი პირობა სამართალდამრღვევთა ჰუმანური მოპყრობისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციისთვის, სისხლისსამართლებრივი ღონისძიებებისა და სანქციების ეფექტიანად აღსასრულებისთვის, ასევე, საზოგადოების დასაცავად და განმეორებითი დანაშაულის ასაცილებლად. ანალოგიურად, სამართალდამცველმა ორგანოებმა უნდა გამოიყენონ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც მიემართება არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლასა და დაუსჯელობის თავიდან აცილებას.

- **ბრძოლა კორუფციის, ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსებისა და კიბერდანაშაულის წინააღმდეგ**

**ბრძოლა კორუფციის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ**

საქართველო იმ ძირითადი დოკუმენტების მხარეა, რომელიც ევროპის საბჭოს შექმნილი აქვს კორუფციისა[47] და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის[48] სფეროებში. ამგვარად, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ის ექცევა GRECO-ს მონიტორინგის ქვეშ, ხოლო ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის სფეროში მას მონიტორინგს უწევენ MONEYVAL და CETS 198-ის მხარეთა კრება.

2022 წლის ივნისში საქართველოზე მიღებულ უახლეს ანგარიშში შესაბამისობის შესახებ[49] GRECO-მ აღიარა, რომ შეფასების მე-4 რაუნდში გათვალისწინებული 16 რეკომენდაციიდან 8 შესრულდა დამაკმაყოფილებელ დონეზე და 6 - ნაწილობრივ. კერძოდ, მან სინანული გამოხატა იმის გამო, რომ არ არსებობს კანონპროექტთა საჯარო განხილვის მარეგულირებელი მკაფიო ჩარჩო, ასევე, უფრო ყოვლისმომცველი წესები ინტერესთა კონფლიქტის გასამჟღავნებლად, და ხელისუფლებას მოუწოდა კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანისკენ, რომლებიც ყველა პროკურორს დაავალდებულებს ქონებრივი დეკლარაციის შევსებას. 2023 წელს საქართველოს მიმართ ჩატარდება GRECO-ს შეფასების მე-5 რაუნდი, რომელიც ყურადღებას გაამახვილებს კორუფციის პრევენციაზე, ასევე, კეთილსინდისიერების ხელშეწყობაზე ცენტრალურ მთავრობასა (უმაღლეს აღმასრულებელ ერთეულებში) და სამართალდამცველ ორგანოებში.

MONEYVAL-ის მე-5 რაუნდის ურთიერთშეფასების ანგარიში (MER) საქართველოს შესახებ მიღებულია 2020 წლის სექტემბერში. მასში ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველომ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ფულის გათეთრებასთან/ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის სისტემა. ეს მოიცავს ეროვნული რისკების შეფასების (NRA) სისტემის შემუშავებას, კანონმდებლობასა და კანონქვემდებარე აქტებში არსებული ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრას, ასევე, ზომების მიღებას სამართალდამცველ ორგანოებსა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურს შორის თანამშრომლობის გასაძლიერებლად. პირველი დეტალური დამატებითი ანგარიში გამოქვეყნდა 2022 წლის ნოემბერში და მასში გაანალიზდა საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი ტექნიკური შესაბამისობის ხარვეზთა აღმოფხვრაში, რომლებიც

47. ევროპის საბჭოს კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენცია (*ETS 173)* და კორუფციაზე სამოქალაქო სამართლის კონვენცია (ETS 174).

48. დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (CETS N 198).

49. *GRECO-ს შეფასების უახლესი ანგარიში* მიღებულ იქნა 2016 წლის დეკემბერში და ის ეხება GRECO-ს შეფასების მე-4 რაუნდს პარლამენტის წევრებთან, მოსამართლეებსა და პროკურორებთან მიმართებით კორუფციის პრევენციის შესახებ. მას შემდეგ მიღებულ იქნა ორი ანგარიში შესაბამისობის შესახებ (2019 წლის მარტში და 2021 წლის მარტში) და ასევე შესაბამისობის შესახებ მეორე ანგარიშის დანართი (2022 წლის ივნისში).

გამოვლინდა ურთიერთშეფასების ანგარიშში (MER). საერთო ჯამში, საქართველომ სრულად შეასრულა ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) 6 რეკომენდაცია 40-დან, რომლებიც აყალიბებს ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტს. მცირე ხარვეზებია დარჩენილი 22 რეკომენდაციის შესრულების კუთხით, რომელთა მიმართაც საქართველოში არსებული ვითარება შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისი“. 11 რეკომენდაციის მიმართ შეფასება რჩება „ნაწილობრივ შესაბამისი“, ხოლო 1 რეკომენდაციის შემთხვევაში სტატუსი არის „შეუსაბამო“.[50]

მართალია, ევროკომისიის მოსაზრებაში საქართველოს განაცხადზე ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ აღიარებულია საქართველოს მიერ გატარებული მნიშვნელოვანი სამართლებრივი რეფორმები კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით, მასში ხაზგასმულია ისიც, რომ ქვეყანაში არ არსებობს სპეციალიზებული სამართალდამცველი ორგანოები, პროკურატურის სამსახურები ან სპეციალიზებული სასამართლოები, რომლებიც იმუშავებენ მაღალი დონის კორუფციასთან ბრძოლის საქმეებზე. შესაბამისად, მეტი უნდა გაკეთდეს ამ სფეროში გამოძიების გასაძლიერებლად და მაღალი დონის კორუფციასთან საბრძოლველად, „განსაკუთრებით კი იმისთვის, რომ გადაიჭრას ინტერესთა გადაჭარბებული გავლენის ფართომასშტაბიანი საკითხი და მისი ზემოქმედება როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ სფეროზე“. მოსაზრებაში აღიარებულია ის მნიშვნელოვანი ძალისხმევაც, რომელიც საქართველომ გაწია ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისათვის (ქვეყნის ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების ფარგლებში), ასევე, გაღრმავებული თანამშრომლობა ევროპოლსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან, და ხაზგასმულია, რომ საჭიროა მუდმივი და მდგრადი ძალისხმევა, რათა უფრო გაძლიერდეს სამართალდამცველ უწყებათა შესაძლებლობები ორგანიზებულ დანაშაულთან ეფექტიანად ბრძოლაში.

ამ სამოქმედო გეგმის თანახმად, ევროპის საბჭო გააგრძელებს საქართველოს ხელისუფლების შესაძლებლობათა გაძლიერებას კორუფციასთან, ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლაში, უფრო ეფექტიანი და მოქნილი საკანონმდებლო, ინსტიტუციური თუ ოპერაციული ჩარჩოების შემუშავებით. ხელი შეეწყობა საქართველოს საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს შესაბამისობას ევროპის საბჭოსა და სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან, რომლებიც შეეხება ბრძოლას კორუფციის, ფულის გათეთრების, ტერორიზმისა და მასობრივი განადგურების იარაღის დაფინანსების წინააღმდეგ, და მათ პრევენციას. ყველა შესაბამის ინსტიტუციურ მხარესთან თანამშრომლობით (ახლადშექმნილი ანტიკორუფციული ბიურო, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყანაში ანტიკორუფციული ძალისხმევის კოორდინაციასა და GRECO-ს რეკომენდაციების განხორციელებაზე, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური და საზედამხედველო ორგანოები), ევროპის საბჭო ხელს შეუწყობს ზომების ეფექტიანად გამოყენებას არსებული და ახალი ფინანსური დანაშაულის რისკების შესარბილებლად საქართველოში და გააძლიერებს თანამშრომლობას კერძო სექტორთან.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საქართველოს სამართალდამცველ ორგანოთა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ინსტიტუტთა შესაძლებლობების გაძლიერებას კორუფციის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საქმეთა ეფექტიანად გამოძიებაში, სისხლისსამართლებრივ დევნასა და გადაწყვეტაში. ევროპის საბჭო ხელს შეუწყობს უკანონო შემოსავლების ჩამორთმევა-დაბრუნების პოლიტიკის შემუშავებას/განხორციელებას თანმიმდევრული უწყებათაშორისი და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობით და გააძლიერებს შესაძლებლობებს მიზნობრივი ფინანსური სანქციების დასანერგად.

**ბრძოლა კიბერდანაშაულის წინააღმდეგ**

საქართველო არის ევროპის საბჭოს ბუდაპეშტის კონვენციის ხელშემკვრელი მხარე[51] და კიბერდანაშაულთან ბრძოლა ერთ-ერთია იმ სამ მიზანს შორის, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2024 წლების

50. ეს რეკომენდაცია მოითხოვს, რომ ქვეყნებმა გადახედონ თავიანთ კანონებსა და რეგულაციებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ არ მოხდეს არაკომერციული ორგანიზაციების ბოროტად გამოყენება ტერორიზმის დაფინანსების მიზნებისთვის.

51. *CETS No. 185.*

ეროვნულ სტრატეგიასა და 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმაში. ორივე დოკუმენტში ცალკე ნაწილები მიეძღვნა კიბერდანაშაულის საკითხს. კიბერდანაშაულებს იძიებს კიბერდანაშაულის სამმართველო (რომელიც ექვემდებარება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს) და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, რომელიც, ძირითადად, რეაგირებს სახელმწიფო უწყებებსა და ინტერნეტსერვისებში მომხდარ ინციდენტებზე კიბერუსაფრთხოების კუთხით, ასევე, იძიებს სახელმწიფოს წინააღმდეგ კიბერსივრცეში ჩადენილ დანაშაულებს, როგორიცაა კიბერტერორიზმი. 2022 წლის ივნისში გენერალურ პროკურატურაში შეიქმნა სპეციალიზებული განყოფილება, რომელიც ხელს უწყობს კიბერდანაშაულის გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნას და მუშაობს ელექტრონულ მტკიცებულებათა საკითხებზე სისხლის სამართლის საქმეებში.

წარსულში, რეგიონული თანამშრომლობის ფარგლებში, ევროპის საბჭოს მხარდაჭერა კიბერდანაშაულის სფეროში ორიენტირებული იყო სასამართლო ხელისუფლების, პროკურორებისა და გამომძიებლების შესაძლებლობათა განვითარებაზე გამოძიების, ფინანსური მონიტორინგის, ციფრული სასამართლო ექსპერტიზისა და თანამშრომლობის სფეროებში. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ოპერაციული პროცედურების შემუშავებას, როგორც კიბერუსაფრთხოების საზოგადოებისა და კიბერდანაშაულის სფეროს სპეციალისტთა (სამართალდამცველ ორგანოებში), ისე სახელმწიფო და კერძო პროვაიდერთა თანამშრომლობისათვის, რათა ეფექტიანად გამოეყენებინათ ინსტრუმენტები და პროცედურები არსებული სტანდარტებისა და ბუდაპეშტის კონვენციის ფარგლებში. გარდა ამისა, ჩატარდა კვლევა კიბერდანაშაულზე ანგარიშგებისა და ონლაინუსაფრთხოების სფეროში სანდო და შესაბამისი მონაცემების შესაგროვებლად, რათა ჩამოყალიბებულიყო მომავალი პოლიტიკის დოკუმენტები, სტრატეგიები და გაზრდილ შესაძლებლობებზე დაფუძნებული პასუხი კიბერდანაშაულსა და ელექტრონულ მტკიცებულებებთან მიმართებით, მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში.

სამოქმედო გეგმის თანახმად, ევროპის საბჭო გააძლიერებს საქართველოს ხელისუფლების შესაძლებლობებს, რათა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებამ უფრო ეფექტიანად უპასუხოს კიბერდანაშაულსა და ელექტრონულ მტკიცებულებებს და გაიზარდოს კიბერმდგრადობა. წინა რეგიონული თანამშრომლობის შედეგებზე დაყრდნობით, ევროპის საბჭო გააგრძელებს საქართველოს ხელისუფლების ორგანოთა დახმარებას ბუდაპეშტის კონვენციასთან შესაბამისობაში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა კიბერდანაშაულთან დაკავშირებული სპეციალიზებული ერთეულების მეტ ჩართულობას, როგორც შიდა გამოძიებაში, ისე საერთაშორისო თანამშრომლობაში, რათა უფრო ეფექტიანად ითანამშრომლონ ინტერნეტმომსახურების ეროვნულ და საერთაშორისო პროვაიდერებთან და, ზოგადად, გაზარდონ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ინსტიტუტთა შესაძლებლობები კიბერდანაშაულსა და ელექტრონულ მტკიცებულებებზე სამუშაოდ. ვინაიდან, ცვალებადი რეალობიდან გამომდინარე, საჭიროა უწყვეტი სწავლება კიბერდანაშაულისა და ელექტრონული მტკიცებულებების შესახებ, შემდგომი ტრენინგების მიზნობრივი ჯგუფები იქნებიან სამართალდამცველი ორგანოები, პროკურატურა, სასამართლო სისტემა და საქართველოში არსებული სხვა სახელმწიფო/კერძო სუბიექტები, რომლებიც მუშაობენ კიბერდანაშაულთან ბრძოლის სფეროში.

ბუდაპეშტის კონვენციის მეორე დამატებითი ოქმი, რომელიც შეეხება თანამშრომლობის გაძლიერებას კიბერდანაშაულთან ბრძოლასა და ელექტრონულ მტკიცებულებათა შეგროვებაში სისხლის სამართლის გამოძიებასა და საქმისწარმოებასთან დაკავშირებით, ხელმოსაწერად გაიხსნა 2022 წლის მაისში. თუ ხელისუფლება გადაწყვეტს ამ ოქმთან შეერთებას, საჭირო გახდება შემდგომი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ცვლილებების შეტანა საქართველოს კანონებში, რათა გაუმჯობესდეს საერთაშორისო თანამშრომლობა სისხლის სამართლის საკითხებში. ასევე აუცილებელი იქნება, შემდგომშიც განვითარდეს როგორც სამართლებრივი ურთიერთდახმარების ორგანოების, ისე კიბერდანაშაულთან ბრძოლის სპეციალიზებული

ერთეულების უნარები და ცოდნა ბუდაპეშტის კონვენციის მე-2 დამატებითი ოქმით დადგენილი ახალი წესებისა და პროცედურების დასაცავად.

- **სასჯელაღსრულების დაწესებულებები, პრობაცია და პოლიცია**

**პენიტენციური სისტემის რეფორმის მხარდაჭერა**

2013 წლიდან ევროპის საბჭო აქტიურ როლს ასრულებს საქართველოს პენიტენციური სისტემის რეფორმაში და ხელშესახები პროგრესია მიღწეული ისეთი კუთხით, როგორიცაა დაკავებულთა ადამიანის უფლებების გაუმჯობესებული დაცვა, განსაკუთრებით, ჯანდაცვის გაუმჯობესება ციხეში. ეს საკითხი აღინიშნა წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიშში ბოლო პერიოდული ვიზიტის შესახებ[52], რომელიც გამოქვეყნდა 2019 წლის მაისში. ამ დოკუმენტში კომიტეტი საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, რომ „შეიმუშაოს და განახორციელოს ყოვლისმომცველი სტრატეგია ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემების მქონე პატიმართა დახმარების შესახებ (ნარკოტიკებთან დაკავშირებული ფართო ეროვნული სტრატეგიის ნაწილად), მათ შორის, ზიანის შემცირების ღონისძიებები".

დაკავებულთა პასუხისმგებლიანი და დანაშაულისგან თავისუფალი ცხოვრებისთვის მოსამზადებლად, CPT-მ ასევე გასცა რეკომენდაცია, რომ „გადამწყვეტი ნაბიჯები გადაიდგას აქტივობათა პროგრამის შესამუშავებლად, როგორც პატიმრობამისჯილი, ისე წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისთვის".

კომიტეტის ანგარიშში 2018 წლის პერიოდული ვიზიტის შესახებ, ისევე, როგორც 2021 წლის საგანგებო ვიზიტის დროს, ხაზი გაესვა პერსონალის ნაკლებობას, რაც „საფრთხეს უქმნის როგორც პერსონალის, ისე პატიმრების უსაფრთხოებას". ანგარიშში ასევე ხაზგასმულია, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებს აქვთ ხანგრძლივი მორიგეობები და დატვირთული სამუშაო გრაფიკი (ეს განსაკუთრებულად ეხება სამედიცინო პერსონალს), რაც „ქმნის მათი პროფესიული გადაღლის მაღალ რისკს", ამან კი, თავის მხრივ, შეიძლება საბაზისო დონემდე შეამციროს უსაფრთხოება და გავლენა იქონიოს პატიმართა სამედიცინო და სხვა მომსახურებათა ხარისხზე.

საქართველოს ხელისუფლებას შემდგომი მხარდაჭერა სჭირდება ზემოაღნიშნულ გამოწვევათა ეფექტიანად გადასალახად და სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2023-2026 წლების სტრატეგიის განსახორციელებლად, რომელიც მომზადების პროცესშია. დოკუმენტი ძირითადად ორიენტირებული იქნება პენიტენციური სისტემის ეფექტიანად მართვაზე, პატიმართა რეაბილიტაციაზე, ჯანდაცვის მომსახურების ეფექტიანად მიწოდებასა და სამუშაო გარემოს/პირობების გაუმჯობესებაზე. საქართველოს 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაში ხაზგასმულია სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას თავისუფლებააღკვეთილ პირთა სიცოცხლის უფლება, შესაბამისი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩოებისა და პრაქტიკული ღონისძიებების უზრუნველყოფით.

ევროპის საბჭო ხელს შეუწყობს საქართველოს ხელისუფლებას შემდეგი მიმართულებებით:

- პენიტენციური სისტემის მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩოს გაძლიერება, ევროპის საბჭოს სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად;
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის პერსონალის უწყვეტი განათლების მდგრადი სისტემის შექმნა, მათ შორის, იუსტიციის სასწავლო ცენტრთან თანამშრომლობით;
- რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიდგომების შემუშავება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემაში, რათა გაუმჯობესდეს სამართალდამრღვევ პირთა რეინტეგრაცია საზოგადოებაში;
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამსახურების იმ სამედიცინო/არასამედიცინო პერსონალის ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება, რომლებიც მუშაობენ

52. შემდეგი პერიოდული ვიზიტი დაანონსებულია 2024 წლისთვის.

თავისუფლებააღკვეთილ პირებსა ან პრობაციონერებთან, განსაკუთრებული ფოკუსით მოწყვლად ჯგუფებზე (არასრულწლოვნები, ქალები, მოხუცები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომხმარებელი პირები და სხვა);

- მექანიზმების/სისტემების ჩამოყალიბება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამსახურების პერსონალის კეთილდღეობის დასაცავად და გასაუმჯობესებლად;
- პრევენციის ეროვნული მექანიზმისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თანამშრომელთა ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება თავიანთი ინსტრუმენტებისა და მეთოდოლოგიების გადასახედად და გასაუმჯობესებლად, რათა ეფექტიანი მონიტორინგი გაუწიონ მკურნალობის, ჯანდაცვისა და რეაბილიტაციის მომსახურებათა მიწოდებას სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემაში.

**პოლიციის სამსახურების შესაძლებლობათა ზრდა**

თავისი ბოლო პერიოდული ვიზიტის ფარგლებში (2018 წელს) CPT-მ აღნიშნა პოზიტიური ცვლილებები იმ უწყვეტი ძალისხმევის მხრივ, რომელიც მიემართება ბრძოლას პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობასთან და მატერიალური პირობების გაუმჯობესებას პოლიციაში დაკავებისას. მიღწეული პროგრესი კომიტეტის ბოლო პერიოდული ვიზიტის ანგარიშში შეფასდა როგორც „ყველაზე შთამბეჭდავი".[53] თუმცა, საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ მითითებულია „სამართალდამცველი ორგანოს თანამშრომლების მხრიდან ძალის გადამეტებისა და ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევებზე".

სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნულია არაერთი პრობლემატური საკითხი, მათ შორისაა: არასათანადო მოპყრობა აქციის მონაწილეთა მიმართ მათი დაკავებისას და დაკავების შემდეგ, დაკავებულ პირთა ინფორმირება მათ უფლებებზე, დროული წვდომა ადვოკატზე, ოჯახებისთვის შეტყობინება, ყოვლისმომცველი აღრიცხვის წარმოება დაკავებულ პირთა შესახებ და აუდიო/ვიდეო ჩანაწერების არარსებობა.

2022 წლის მარტში სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ჩაანაცვლა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური. დაარსების შემდეგ, ახალი სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო დაიხვეწა, მისი, როგორც საგამოძიებო ორგანოს მანდატი კი გაფართოვდა და მოიცვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევის საქმეთა ხელახალი გამოძიება.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური საჭიროებს დამატებით ხელშეწყობას, რათა დროულად და ეფექტიანად გამოიძიოს პოლიციელთა მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევები და სამსახურებრივი გადაცდომები. ევროპის საბჭო ასევე ხელს შეუწყობს სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომელთა მოსამზადებელი სისტემის ჩამოყალიბება-დანერგვას მათი ოპერაციული შესაძლებლობების გასაზრდელად, რათა ეფექტიანად გამოიძიონ ბრალდებები ან სხვაგვარი მინიშნებები არასათანადო მოპყრობის, ძალის არაპროპორციული გამოყენებისა და ადამიანის უფლებათა სხვა დარღვევების შესახებ, ევროპის საბჭოს საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. პოლიციის სამსახურების შესაძლებლობათა ზრდის ინიციატივები და დამოუკიდებელი მონიტორინგისა და გამოძიების ეროვნული მექანიზმები დამატებით კონცენტრირდება შემდეგ საკითხებზე: დემოკრატიული საპოლიციო საქმიანობა, გენდერულად სენსიტიური მიდგომა საპოლიციო საქმიანობის მიმართ, პოლიციის ეთიკა, არასრულწლოვანთა და მოწყვლად მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებთან დაკავშირებული საკითხები.

- **ნარკოტიკები და ადიქციები (პომპიდუს ჯგუფი)**

2020 წლის მაისში საქართველო გახდა პომპიდუს ჯგუფის (ევროპის საბჭოს საერთაშორისო თანამშრომლობის ჯგუფი ნარკოტიკებისა და ადიქციების საკითხებში) წევრი. პომპიდუ ჯგუფი წარმოადგენს ევროპის საბჭოს პლატფორმას ნარკოპოლიტიკის და ადიქციების საკითხებში

53. შემდეგი პერიოდული ვიზიტი დაანონსებულია 2024 წლისთვის.

თანამშრომლობისათვის. მისი მიზანია, ნარკოტიკების მოხმარებასა და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობაზე რეაგირებისას, ფართო საზოგადოების ინტერესები დააბალანსოს ცალკეულ ადამიანთა ძირითადი უფლებების დაცვასთან. თანამშრომლობითი პროექტების ფარგლებში, პომპიდუს ჯგუფის მიზანია ნარკოპოლიტიკის დაინტერესებულ მხარეთა გაძლიერება, ცოდნის, ტრენინგებისა და გაზრდილი შესაძლებლობების უზრუნველყოფით, წევრ სახელმწიფოთა საჭიროებებზე დაყრდნობით.

ქვეყანაში არსებულ გამოწვევათა გადასაჭრელად და ნარკოტიკების მოხმარებითა და ადიქტური ქცევით გამოწვეული ზიანის აღმოსაფხვრელად, შემუშავდა *2021-2026 წლების ნარკოტიკების ავადმოხმარების პრევენციის ეროვნული სტრატეგია* დოკუმენტის მთავარი მიზანია, საქართველოში შეამციროს ლეგალური და არალეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების არასამედიცინო მიზნით მოხმარება. აღიარებს რა უკანონო ნარკოტიკული საშუალებების მიმოქცევით გამოწვეული ზიანის გავლენას ცალკეულ ადამიანებზე, ოჯახებზე, საზოგადოებასა და სახელმწიფოზე, სტრატეგია ადასტურებს, რომ ეს საკითხი უნდა გადაიჭრას მრავალსექტორული, დაბალანსებული, პრაგმატული და თანმიმდევრული მიდგომით, რომელიც ეფუძნება ადამიანის უფლებათა დაცვასა და სამეცნიერო მტკიცებულებებს.

ევროპის საბჭო ხელს შეუწყობს საქართველოს ხელისუფლებას, რომ განახორციელოს ნარკოტიკების ავადმოხმარების პრევენციის 2021-2026 წლების ეროვნული სტრატეგიის 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიკურ ჯანმრთელობას და იმ საფრთხეს, რომელიც შეიძლება შეუქმნას ნარკოტიკების მოხმარებამ მათ ემოციურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ კეთილდღეობას. ხელისუფლებას დახმარება მიეწოდება შემდეგ პროცესებშიც: პრევენციული ინტერვენციების განხორციელება და გაზრდა, შესაბამისი სამიზნე ჯგუფების (ბავშვები, მოზარდები, მშობლები) ცნობიერების ამაღლება და შესაბამის სპეციალისტთა (განათლების, ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და სამართალდამცველი უწყებების წარმომადგენლები) შესაძლებლობების გაზრდა, რაც მათ დაეხმარება ბავშვებთან, მოზარდებსა და მშობლებთან მუშაობაში.

ეს ინტერვენციები კონკრეტულად იქნება მიმართული კონტექსტურ რისკფაქტორებზე, რომლებიც მოიცავს სოციალურ-ეკონომიკურ გარემოებებს, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს, ან კონტაქტს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემასთან, და დაეყრდნობა მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციისა და საგანმანათლებლო ინტერვენციების ერთობლიობას - მკურნალობასა და ზიანის შემცირებასთან ერთად - ნარკოტიკების პრევენციის ყოვლისმომცველი მიდგომის ფარგლებში.

**მოსალოდნელი შედეგები**

- *ბრძოლა კორუფციის, ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსებისა და კიბერდანაშაულის წინააღმდეგ*

- ეფექტიანი და მოქნილი საკანონმდებლო, ინსტიტუციური და ოპერაციული ჩარჩოები კორუფციასთან, ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის სფეროში;
- საქართველოს სამართალდამცველ ორგანოთა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ინსტიტუტთა გაძლიერებული შესაძლებლობები კორუფციის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საქმეთა ეფექტიანად გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და გადაწყვეტისათვის;
- ეროვნულ საზედამხედველო ორგანოთა და ანგარიშვალდებულ სუბიექტთა გაძლიერებული შესაძლებლობები ეროვნული რისკების შესარბილებლად ისეთი კუთხით, როგორიცაა ფულის გათეთრება, ტერორიზმის დაფინანსება და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსება;
- ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის გაუმჯობესებული საშუალებები გაეროს უშიშროების საბჭოს მიზნობრივი ფინანსური სანქციების დასანერგად;
- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა გაუმჯობესებული მექანიზმები კორუფციის პრევენციისათვის, ასევე, ეფექტიანი მონიტორინგის გასაწევად ქონებრივი დეკლარაციების სისტემასა და კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებულ ინციდენტებზე;
- გაძლიერებული მარეგულირებელი ჩარჩო და უკანონო შემოსავლის დაყადაღება-ჩამორთმევის მექანიზმის თანმიმდევრული გამოყენება;
- გაძლიერებული კანონმდებლობა და პოლიტიკის ჩარჩოები კიბერდანაშაულსა და ელექტრონულ მტკიცებულებებთან დაკავშირებით, ასევე, გაუმჯობესებული შესაბამისობა ბუდაპეშტის კონვენციასთან;
- სასამართლო და სამართალდამცველ ორგანოთა გაძლიერებული შესაძლებლობები და უწყებათაშორისი თანამშრომლობა კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისათვის;
- გაძლიერებული საერთაშორისო თანამშრომლობა კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

**მთავარი სახელმწიფო პარტნიორები:** ფინანსთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ცენტრალური ბანკი, პროკურატურა, მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში, ანტიკორუფციული ბიურო, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ორგანოები, ფინანსური მონიტორინგის განყოფილებები, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, იუსტიციის უმაღლესი სკოლა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის საზედამხედველო და ანგარიშვალდებული სუბიექტები.

- *სასჯელაღსრულების დაწესებულებები, პრობაცია და პოლიცია*

- ადამიანის უფლებათა დაცვის შესაბამისი მართვის პოლიტიკისა და პრაქტიკის გაძლიერებული გამოყენება მენეჯერების, ასევე, ოპერატიული და სამედიცინო პერსონალის მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და პრობაციის სამსახურებში;
- მულტიდისციპლინური სარეაბილიტაციო მიდგომების გაძლიერებული გამოყენება სასჯელაღსრულების მიმართ, სასჯელაღსრულების დაწესებულებებისა და პრობაციის სამსახურების მენეჯმენტისა და პერსონალის მიერ;
- ჯანდაცვის მომსახურების გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა და ხარისხი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში;
- ტრენინგების სისტემის გაუმჯობესებული მდგრადობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებისა და პრობაციის სამსახურების თანამშრომელთა განვითარებისათვის;
- გაძლიერებული პროფესიული ზედამხედველობა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემებში;
- სახალხო დამცველის აპარატისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერებული შესაძლებლობები, რათა მონიტორინგი გაუწიონ მკურნალობის, ჯანდაცვისა და რეაბილიტაციის მომსახურებებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემაში;
- სამსახურებრივი მოვალეობების უკეთესად შესრულება პოლიციელთა და გამომძიებელთა მიერ, ევროპის საბჭოს სტანდარტების შესაბამისად და გაძლიერებულ მარეგულირებელ, ინსტიტუციურ და სატრენინგო ჩარჩოებზე დაყრდნობით;
- სახელმწიფოს დამოუკიდებელი სამონიტორინგო და საგამოძიებო ორგანოების, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაუმჯობესებული პრაქტიკა ადამიანის უფლებათა დარღვევებზე პოლიციის ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად და პოლიციის ქმედებათა გამჭვირვალობის ხელშესაწყობად;
- სავარაუდო დანაშაულის მსხვერპლთა და მოწმეთა უფლებების გაძლიერებული დაცვა;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა გაზრდილი ინფორმირებულობა და მონაწილეობა პოლიციის ზედამხედველობასა და რეფორმებში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერების ფარგლებში.

**მთავარი სახელმწიფო პარტნიორები:** საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სპეციალური საგამოძიებო სამსახური, დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო (პრობაციის ეროვნული სააგენტო), სახალხო დამცველის აპარატი, პრევენციის ეროვნული მექანიზმი, სპეციალური პენიტენციური სამსახური, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, იუსტიციის სასწავლო ცენტრი.

➢ *ნარკოტიკები და ნარკოდამოკიდებულება (პომპიდუს ჯგუფი)*

- იმ მტკიცებულებებზე დაფუძნებული და პრევენციული ინტერვენციების გაძლიერებულად განხორციელება შესაბამის სპეციალისტთა მიერ (ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები, სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, უბნის პოლიციელები, მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრატორები), რომლებიც მიმართულია ბავშვებზე, მოზარდებსა და მათ მშობლებზე;
- ნარკოტიკებთან დაკავშირებული პოლიტიკის გაძლიერებული ჩარჩო ნარკოტიკების პრევენციის სფეროში მომუშავე სპეციალისტებისთვის (ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები, სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები), ევროპულ სტანდარტთა შესაბამისად;
- შესაბამის სპეციალისტთა (ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები, სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, უბნის პოლიციელები, მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრატორები) გაძლიერებული შესაძლებლობები, რათა ბავშვებთან, მოზარდებსა და მათ მშობლებთან იმუშაონ ნარკოტიკების პრევენციაზე, ევროპულ სტანდარტთა შესაბამისად.

**მთავარი სახელმწიფო პარტნიორები:** შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი.

## 2.3 დემოკრატია

აღიარებულია, რომ ბოლო ეროვნული და ადგილობრივი არჩევნები იყო კონკურენტული და, მთლიანობაში, ჩატარდა ძირითადი თავისუფლებების დაცვით. ამის მიუხედავად, რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები, განსაკუთრებით, პოლარიზებული პოლიტიკური გარემოს გამო[54], რომელიც გავლენას ახდენს დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე ქვეყანაში და მოქმედებს სხვადასხვა რეფორმის ტემპზე.[55]

ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპი აღიარებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციაში, ისე სხვა საკანონმდებლო აქტებში, როგორიცაა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი. ამ ნორმების მიხედვით, საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, ავტონომიურად დაარეგულირონ და მართონ ადგილობრივი საკითხები საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და სუბსიდიარობის პრინციპის შესაბამისად. ამასთან, სახელმწიფო ვალდებულია, ფინანსური რესურსები განსაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებისთვის, ორგანული კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა შესაბამისად.

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაში (2022-2030) ხაზგასმულია, რომ შეუძლებელია ადამიანის უფლებათა ეფექტიანად დაცვა, თუ არ მიიღება შესაბამისი ზომები, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე. 2020-2025 წლების დეცენტრალიზაციის ეროვნულ სტრატეგიაში დასახულია სამი სტრატეგიული მიზანი: თვითმმართველი ერთეულის როლის გაზრდა საჯარო საქმეთა მნიშვნელოვანი ნაწილის გადაწყვეტაში; ადგილობრივი თვითმმართველობის უზრუნველყოფა შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსებით; და სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება. სტრატეგიაში განსაზღვრულია ზოგიერთი ის ფაქტორიც, რომლებიც აფერხებს უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელებას ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის მიერ. კერძოდ: მუნიციპალიტეტის განვითარების

54. *ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 2438 – საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესრულება – 2022 წლის აპრილი.*

55. წყარო: ევროკომისიის მოსაზრება საქართველოს განაცხადზე ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ.

გრძელვადიანი ხედვის არარსებობა; საზოგადოების, მათ შორის, კერძო სექტორის მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი ამ უფლებამოსილების განხორციელებაში, რის გამოც მიღებული გადაწყვეტილებები სრულად არ მიესადაგება ადგილობრივ საჭიროებებსა და ინტერესებს; და დაბალი ხარისხის თანამშრომლობა მუნიციპალიტეტთა შორის.

2018 წლის ნოემბერში, საქართველოზე მიღებულ უახლეს *მონიტორინგის ანგარიშში,* კონგრესმა ხაზი გაუსვა ადგილობრივი დემოკრატიის სფეროში მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესს წინა მონიტორინგისა და მონიტორინგის შემდგომი ვიზიტების შემდეგ, და მიესალმა ისეთი ღონისძიებების გატარებას, როგორიცაა ადგილობრივი თვითმმართველობის დეცენტრალიზაციისა და მოდერნიზების ყოვლისმომცველი რეფორმის სტრატეგიის შემუშავება, მერების პირდაპირი არჩევის წესის დანერგვა, ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერება და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის წარმომადგენლობითი პოზიციის ოფიციალურად აღიარება.

ევროპის საბჭო გააგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას ეროვნული შესაძლებლობების გასაძლიერებლად, რათა დაიწყოს და განახორციელოს რეფორმები შემდეგ სფეროებში: მონაწილეობითი დემოკრატიის გაძლიერება ადგილობრივ დონეზე; ადამიანის უფლებების, მათ შორის, ჯანმრთელობისთვის უვნებელი გარემოს უფლების ლოკალიზაცია;[56] არჩევნები, განათლება დემოკრატიისთვის და ახალგაზრდები დემოკრატიისთვის.

ამ სფეროებში ღონისძიებათა გატარებით, ევროპის საბჭო ხელს შეუწყობს გაეროს მდგრადი განვითარების შემდეგი მიზნების განხორციელებას: მიზანი 4 – ხარისხიანი განათლება (ამოცანა 7)[57], 5 – გენდერული თანასწორობა (ამოცანა 5)[58], 10 – შემცირებული უთანასწორობა (ამოცანები 2, 3 და 4)[59], 11 – მდგრადი ქალაქები და დასახლებები (ამოცანა 3)[60] და 16 – მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები (ამოცანები 6, 7, 10 და b).[61] ის ასევე შეუწყობს ხელს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას ადგილობრივ დონეზე, რომელთა 65 % ვერ მიიღწევა ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოთა ჩართულობის გარეშე.[62]

56. კონგრესის ანგარიში – *CG(2022)43-15 ძირითადი უფლება გარემოზე: საკითხი ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისთვის – ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის მწვანე წიგნში წაკითხვასთან მიმართებით*.

57. მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასთვის. ამოცანა 4.7: 2030 წლისთვის უზრუნველყოფილ იქნეს ყველა მოსწავლის მიერ მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად ცოდნისა და უნარების შეძენა, მათ შორის, მდგრადი განვითარებისა და ცხოვრების მდგრადი წესის, ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობის, მშვიდობისა და ძალადობისგან თავისუფალი კულტურის ხელშეწყობის, გლობალური მოქალაქეობის, ასევე კულტურული მრავალფეროვნების და მდგრად განვითარებაში კულტურის წვლილის აღიარებისკენ მიმართული განათლების მეშვეობით.

58. მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება. ამოცანა 5.5: პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა სრული და ეფექტიანი მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების ყველა დონეზე ლიდერობისთვის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

59. მიზანი 10: უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის. ამოცანა 10. 2: 2030 წლისთვის ყველა ადამიანის გაძლიერება და სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ჩართულობის ხელშეწყობა, მიუხედავად ასაკის, სქესის, შეზღუდული შესაძლებლობის, რასის, ეთნიკური კუთვნილების, წარმომავლობის, რელიგიის ან ეკონომიკური თუ სხვა სტატუსისა. ამოცანა 10.3: თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფა და შედეგების მხრივ უთანასწორობის შემცირება, მათ შორის, დისკრიმინაციული კანონების, პოლიტიკისა და პრაქტიკის აღმოფხვრით და ამ თვალსაზრისით სათანადო კანონმდებლობის, პოლიტიკისა და ქმედების ხელშეწყობით. ამოცანა 10.4: პოლიტიკის, განსაკუთრებით კი ფისკალური, სახელფასო და სოციალური დაცვის პოლიტიკის შემოღება და თანდათანობით მეტი თანასწორობის მიღწევა.

60. მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო, მოქნილი და მდგრადი განვითარება. ამოცანა 11.3: 2030 წლისთვის ინკლუზიური და მდგრადი ურბანიზაციისა და წარმადობის გაძლიერება ყველა ქვეყანაში მონაწილეობითი, ინტეგრირებული და მდგრადი დასახლებების დაგეგმვისა და მართვისთვის.

61. მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასთვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე; ამოცანა 16.6: ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე ინსტიტუტების შექმნა ყველა დონეზე; ამოცანა 16. 7: ყველა დონეზე სწრაფი რეაგირების უნარის მქონე, ინკლუზიური, მონაწილეობაზე დაფუძნებული და წარმომადგენლობითი გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის უზრუნველყოფა; ამოცანა 16.10: საზოგადოებისთვის ინფორმაციაზე მუდმივი წვდომის უზრუნველყოფა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვა, ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად. ამოცანა 16.b: მდგრადი განვითარებისთვის არადისკრიმინაციული კანონებისა და პოლიტიკის შემოღების ხელშეწყობა და განხორციელება.

62. წყარო: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, ქალაქებსა და რეგიონებში გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია.

### 2.3.1 დემოკრატიული მმართველობა

ბოლო ათწლეულში ბევრ ევროპულ სახელმწიფოში შეინიშნება შემაშფოთებელი ტენდენცია - ინსტიტუტებისადმი ნდობისა და დემოკრატიის მდგომარეობით კმაყოფილების შემცირება.

სერიოზულმა გამოწვევებმა, როგორიცაა გლობალიზაცია, მიგრაციული მოძრაობები, გაციფრულება, კლიმატის ცვლილება, ეკონომიკური სტაგნაცია და მზარდი უთანასწორობა, ხელი შეუწყო ზოგადი უკმაყოფილების ჩამოყალიბებას დემოკრატიისა და მოქალაქეთა წარმომადგენლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ. არსებობს საგანგაშო ნიშნები, რომ იზრდება სხვაობა მოქალაქეთა მოლოდინებსა და მათი სახელით მიღებულ გადაწყვეტილებებს შორის. საჯარო ხელისუფლებისადმი ნდობა კვლავ რეკორდულად დაბალია, სამოქალაქო სივრცე კი განაგრძობს შემცირებას, რაც ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებას აიძულებს მონაწილეობითი დემოკრატიის ახალი ფორმების გაუმჯობესებას. მოქალაქეთა ნდობის აღდგენა შესაძლებელია დემოკრატიული მმართველობის გაძლიერებითა და ადამიანის უფლებებისა და მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაციით, ევროპის საბჭოს სტანდარტებისა და პოლიტიკის შესაბამისად. ამ სფეროში მუშაობისას, ევროპის საბჭო ხელმძღვანელობს *ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის* პრინციპებით და *კარგი მმართველობის 12 პრინციპით*, რომლებიც აერთიანებს ძირითად ღირებულებებს ევროპის დემოკრატიული მმართველობის საერთო ხედვის ჩამოსაყალიბებლად.

- **დემოკრატიული მმართველობა**

**მონაწილეობითი დემოკრატიის გაძლიერება ადგილობრივ დონეზე**

ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია (ETS No. 122) რატიფიცირებულია 2004 წელს, ხოლო მისი დამატებითი ოქმი ადგილობრივი ხელისუფლების საქმეებში მონაწილეობის უფლების შესახებ (CETS No. 207) - 2019 წელს, რაც საერთაშორისო სამართლებრივ გარანტიას ქმნის ადგილობრივი ხელისუფლების საქმეებში მონაწილეობის უფლებისათვის.

ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის რატიფიცირების შემდეგ (2004), საქართველომ მთელი რიგი რეფორმები შეიმუშავა და განახორციელა, რათა გაეძლიერებინა ადგილობრივი ხელისუფლება და სამოქალაქო ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ფართომასშტაბიანი დეცენტრალიზაციისა და რეგიონული განვითარების მექანიზმებს შორის არის საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები, რომლებმაც კონსტიტუციური გარანტიები შემოიღო ადგილობრივი თვითმმართველობისთვის, ასევე, 2014 წლის თვითმმართველობის კოდექსი და 2020-2025 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგია.

დეცენტრალიზაციის სტრატეგიაში აღიარებულია, რომ ყველა სუბიექტს არ შეუძლია მასზე კანონით დაკისრებული ამოცანებისა და პასუხისმგებლობების შესრულება. 2020-2025 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგიის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის სრულად ფუნქციონირებადი სისტემის ჩამოყალიბება ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა საქართველოს მმართველობითი სისტემის რეფორმაში, ხოლო „კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვა და განხორციელება ადგილობრივი მთავრობის მიერ ჩატარებული სამუშაოს ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების ფართო მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში“, იმ სტრატეგიულ მიმართულებებისა და ხედვის ნაწილია, რომელიც საქართველოს განსაზღვრა 2025 წლისთვის. დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი და ამოცანაა ეფექტიანი მონაწილეობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებასა და განხორციელებაში.[63]

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის ხელს უწყობს სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. მის მიზნებს შორისაა, ხელი შეუწყოს მოსახლეობის სრულ და თანაბარ მონაწილეობას

63. 2020-2025 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგია.

სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში და უზრუნველყოს მონაწილეობა ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, კონკრეტული მიზნებით ამ სფეროში: ა) ყველას ეფექტიანი მონაწილეობა თვითმმართველობაში; და ბ) მოწყვლადი ჯგუფების თანაბარი მონაწილეობა საარჩევნო პროცესებში.

2021 წლიდან, საჯარო მოხელეების, არჩეული თანამდებობის პირებისა და მუნიციპალიტეტის პერსონალის მზარდი ინტერესისა და მოთხოვნის საპასუხოდ - საქართველოს მასშტაბით გამოეცადათ და საპილოტე რეჟიმში განეხორციელებინათ მოქალაქეთა ჩართულობის ინოვაციური ფორმები - ევროპის საბჭომ ქვეყანას მხარი დაუჭირა სამოქალაქო მონაწილეობის მეთოდოლოგიების გამოყენებაში, რათა წაეხალისებინა დაინტერესებული მხარეები თავიანთ თემებში შესაბამისი ცვლილებების ინიციირებისათვის.

სამოქმედო გეგმის თანახმად, ევროპის საბჭო გააგრძელებს სამიზნე მუნიციპალიტეტების მხარდაჭერას ქვეყნის მასშტაბით, რათა გადაწყვეტილებების მიღების ადგილობრივი მექანიზმები და პროცესები უფრო ინკლუზიური გახდეს. ამისათვის, ის მხარს დაუჭერს სამოქალაქო მონაწილეობის არსებული მეთოდების გაუმჯობესებასა და ინოვაციური მეთოდოლოგიების დანერგვას, რომელთა მიზანია მოქალაქეების უკეთესი ჩართულობა, ასევე, მოტივირება მონაწილეობისათვის. ამ კუთხით გატარდება კომპლექსური ზომები ადგილობრივი ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოებისა და მოქალაქეების შესაძლებლობათა განვითარებისათვის, ამასთანავე, განხორციელდება ცნობიერების ასამაღლებელი და საინფორმაციო კამპანიები, მიმართული ადგილობრივ მოსახლეობაზე, განსაკუთრებით, ახალგაზრდებზე. საგანგებო ყურადღება დაეთმობა თანამშრომლობისა და დიალოგის გაღრმავებას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის და ახალგაზრდების ჩართვას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სახალხო დამცველის აპარატთან მჭიდრო თანამშრომლობით, დამატებით გაძლიერდება ადგილობრივი ხელისუფლების, ადგილობრივი თემატური საბჭოებისა და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის შესაძლებლობები ადამიანის უფლებათა სტანდარტებისა და პრაქტიკის დასაცავად და ჩასართავად მათ პოლიტიკის დოკუმენტებსა და სტრატეგიებში. დამატებით შეეწყობა ხელი ადვოკატირებას და მრავალდონიან დიალოგს, რათა გაძლიერებულად შესრულდეს 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიით აღებული ვალდებულებები და უახლესი კანონები სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის უფლებათა შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას გარემოს მიმართ და ახალგაზრდების ჩართულობას ადგილობრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

**არჩევნები**

წინა ანგარიშებში არჩევნებზე დაკვირვების შესახებ, რომლებიც მოამზადეს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა (ODIHR), ასევე, ODIHR-ისა და ვენეციის კომისიის ერთობლივ მოსაზრებებში საქართველოში არჩევნებისა და საარჩევნო კანონმდებლობის შესახებ, რეკომენდებულია საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის ყოვლისმომცველი და სისტემური გადახედვა ინკლუზიური და მონაწილეობითი კონსულტაციების ფარგლებში, რათა მეტად შეესაბამებოდეს ევროპულ სტანდარტებსა და კარგ პრაქტიკას.

ევროკომისიის მოსაზრებაში საქართველოს განაცხადზე ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ აღნიშნულია, რომ საარჩევნო ჩარჩო, მთლიანობაში, შეესაბამება სათანადო საერთაშორისო სტანდარტებს. თუმცა, ამასთანავე, მითითებულია, რომ უფრო მეტი უნდა „გაკეთდეს შემდეგი კუთხით: წინასაარჩევნო კამპანიისა და პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობა, ბრძოლა სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, საარჩევნო დავების გადაწყვეტა, ხმების ხელახლა დათვლის მოთხოვნისა და შესრულების კრიტერიუმები და ამ საკითხის დაბალანსებული და მიუკერძოებელი გაშუქება მედიაში“. ევროკომისიის მოსაზრებაში ასევე აღნიშნულია, რომ „ბოლომდე უნდა შესრულდეს ევროპის საბჭოს/ვენეციის კომისიისა და OSCE/ODIHR-ის მიერ 2020 და 2021 წლებში გაცემული რეკომენდაციები“.

2022 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტმა ითხოვა ODIHR-ისა და ვენეციის კომისიის მოსაზრება საქართველოს საარჩევნო კოდექსზე, ასევე, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში ცვლილებათა შეტანის პროექტზე. მოსაზრებაში, რომელიც ვენეციის კომისიამ მიიღო 2022 წლის დეკემბერში, აღნიშნული იყო, რომ განსახილველი ცვლილებები არ ეყრდნობოდა საარჩევნო კოდექსის ყოვლისმომცველ გადახედვას და ეხებოდა მხოლოდ გარკვეულ საკითხებს. მოსაზრება შეიცავდა რამდენიმე კონკრეტულ რეკომენდაციას საარჩევნო კოდექსის ცვლილებათა პროექტის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ძირითადი რეკომენდაციების მიზანი იყო: 1) შერჩევისა და დაკომპლექტებისა პროცესის შემდგომი გაუმჯობესება საარჩევნო კომისიების ჩამოსაყალიბებლად; 2) ქვეყანაში ცხოვრების წლებთან დაკავშირებული მოთხოვნის შემცირება მერობისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კანდიდატებისთვის; 3) მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა ხმის მიცემის ახალი ტექნოლოგიების გამოსაყენებლად; 4) მკაფიო და ყოვლისმომცველი კრიტერიუმების დადგენა ხმების ხელახლა დასათვლელად. ამის მიუხედავად, მოსაზრებაში კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ აუცილებელია საარჩევნო კანონმდებლობის ყოვლისმომცველი და სისტემური გადახედვა.

ევროპის საბჭოს მხარდაჭერა არჩევნების სფეროში ორიენტირებული იქნება შემდეგ საკითხებზე: არჩევნების სამართლებრივი ჩარჩოსა და პრაქტიკის შემდგომი გაუმჯობესება; სახელმწიფო ინსტიტუტთა გაძლიერება; საარჩევნო კულტურის ამაღლება დაინტერესებულ მხარეებსა და ფართო საზოგადოებაში, განსაკუთრებით, 2024 წლის ეროვნული არჩევნებისა და 2025 წლის ადგილობრივი არჩევნების კონტექსტში. უფრო კონკრეტულად, ევროპის საბჭოს სამოქმედო გეგმის მიზნებია:

- დიალოგის პლატფორმების ხელშეწყობა და მაღალი დონის პოლიტიკური კონსულტაციების გამართვა არჩევნების დაინტერესებული მხარეებისთვის, არჩევნების სამართლებრივი ჩარჩოსა და პრაქტიკის შემდგომი რეფორმის მხარდასაჭერად;
- ადმინისტრაციული, ოპერაციული და მართვის შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციისთვის (ყველა დონეზე), ასევე, საქართველოს ანტიკორუფციული ბიუროს პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტისთვის;
- გენდერული თანასწორობისა და დარგთაშორისი ასპექტების ფართოდ დანერგვა საარჩევნო პრაქტიკაში;
- მოქალაქეთა მონაწილეობისა და ახალგაზრდების ჩართულობის წახალისება საარჩევნო პროცესებში;
- ციფრული გადაწყვეტილებების ხელშეწყობა საარჩევნო პროცესებში, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.

**საპარლამენტო თანამშრომლობა**

საქართველოს პარლამენტი დემოკრატიულ კონტროლსა და ზედამხედველობას უწევს აღმასრულებელ ხელისუფლებას და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს შემდეგი კუთხით: დემოკრატიული პროცესებზე ზედამხედველობა, ევროპის საბჭოს სტანდარტთა განხორციელება, ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა, საზოგადოების მონაწილეობისა და წარმომადგენლობის ხელშეწყობა და კანონის უზენაესობის დაცვა.

ევროკომისიის მოსაზრებაში საქართველოს განაცხადზე ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ, ხაზგასმულია, რომ „კონტროლისა და ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით, სათანადოდ არ ფუნქციონირებს ყველა საპარლამენტო პროცედურა, ძირითადად, ორ მთავარ პოლიტიკურ პარტიას შორის არსებული მაღალი დაძაბულობის გამო, რადგან პოლიტიკური დიალოგი პოლარიზებულია." პოლიტიკური პოლარიზაციის საკითხის მოგვარება და დემოკრატიული ზედამხედველობის გაძლიერება ევროკომისიამ იმ 12 პუნქტში შეიტანა, რომლებიც უნდა შეასრულოს საქართველოს ხელისუფლებამ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებამდე.

2022 წლის აპრილში მიღებულ რეზოლუციაში - „საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესრულება“ - ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა მიესალმა პარლამენტის ახალი რეგლამენტის მიღებას კონსენსუსის შედეგად და ხაზი გაუსვა, რომ: „საჭიროა შემდგომი ძალისხმევა, რათა გაგრძელდეს საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერება“, და რომ „საპარლამენტო ზედამხედველობის კარგად ფუნქციონირებადი სისტემა დამოკიდებულია ძლიერ პარლამენტზე, რომელსაც, თავის მხრივ, სჭირდება ძლიერი და მრავალფეროვანი პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც სურთ ერთმანეთთან დიალოგი და თანამშრომლობა, დემოკრატიული ინსტიტუციური ჩარჩოების ფარგლებში.“

2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისას, საქართველოს ხელისუფლების მიზანი იყო „საზოგადოების გაერთიანება სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების განუხრელად დაცვის ფუნდამენტური ღირებულების იდეის გარშემო“. მართალია, სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ მის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მთავრობას, თუმცა დადასტურებულია პარლამენტის როლის მნიშვნელობაც სტრატეგიის მიზნების/ამოცანების შესრულებაზე ზედამხედველობისა და ანგარიშვალდებულების კუთხით.

სამოქმედო გეგმის მიხედვით, ევროპის საბჭო მხარს დაუჭერს პარლამენტის ფუნქციონირების გაძლიერებასა და ფუნქციების განმტკიცებას ევროპის საბჭოს სტანდარტებისა და კონვენციების განსახორციელებლად. მხარდაჭერის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება შემდეგ საკითხებზე:

- პარლამენტის რეგლამენტის განხორციელების ხელშეწყობა გაძლიერებული დიალოგითა და კონსულტაციებით უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის; პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსების წესებისა და პროცედურების, ასევე, ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული წესებისა და კანონმდებლობის ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობა;
- პარლამენტის შესაძლებლობათა გაძლიერება საერთაშორისო ვალდებულებების ეფექტიანად შესრულებისა და მონიტორინგისთვის; საქართველოს კანონმდებლობის ევროპის საბჭოს სტანდარტებთან შესაბამისობის ხელშეწყობა;
- გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობა საკანონმდებლო პროცესში;
- თანამშრომლობისა და დიალოგის გაღრმავება საქართველოს პარლამენტს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას, სხვა წევრ სახელმწიფოთა პარლამენტებსა და ევროპის საბჭოს ორგანოებს შორის.

**ნდობის აღდგენის ღონისძიებები**

ამ სფეროში მუშაობა დაეფუძნება 2010 წლიდან განხორციელებულ პროგრამების შედეგებს, რომელთა მიზანია, ხელი შეეწყოს დიალოგს გაყოფილ თემებს შორის და ადამიანის უფლებათა დაცვას კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/ სამხრეთ ოსეთში, საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკასთან სრული შესაბამისობით. ნდობის აღდგენის ღონისძიებათა გატარების შემდეგ, შენარჩუნდა ხალხთაშორისი კონტაქტები კონფლიქტის შედეგად დაშორებულ მოსახლეობებს შორის და გაძლიერდა სხვადასხვა პროფესიული ჯგუფის თანამშრომლობა (მაგ: ადამიანის უფლებათა დამცველები, არქივის სპეციალისტები, კულტურული მემკვიდრეობის სპეციალისტები, სამედიცინო პერსონალი და აკადემიური წრის წარმომადგენლები). ამ სფეროში განსაზღვრულ ღონისძიებათა მიზანია ურთიერთობის შენარჩუნება და გაზრდა გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობას შორის.

ნდობის აღდგენის ღონისძიებები საშუალებას იძლევა, ერთობლივად გადაიჭრას საერთო ინტერესებში შემავალი პრაქტიკული საკითხები ისეთ სფეროებში, როგორიცაა ადამიანის უფლებები, ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობა და არქიტექტურული მემკვიდრეობა, ასევე,

განვითარდეს შემდგომი ახალგაზრდული ურთიერთობები და თანამშრომლობა არქივის სპეციალისტთა შორის.

ნდობის აღდგენის ღონისძიებები განისაზღვრება შესაბამის სუბიექტებთან ერთად, მჭიდრო კოორდინაციით საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში და გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში მოქმედ სამეკავშირეო მექანიზმთან. საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობას ევროპის საბჭოში რეგულარულად მიეწოდება ინფორმაცია მიღწეულ პროგრესსა და ახალ მოვლენებზე. ნდობის აღდგენის ღონისძიებები ეფუძნება გენერალური მდივნის ყოველწლიურ ანგარიშებს დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის მდგომარეობაზე, ასევე, გაერთიანებულ ანგარიშებს საქართველოში კონფლიქტის შესახებ.

**მოსალოდნელი შედეგები**

*დემოკრატიული მმართველობა*

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მოქალაქეების გაზრდილი ინფორმირებულობა და ცოდნა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის მექანიზმებსა და ინსტრუმენტების შესახებ;
- მუნიციპალიტეტებში და ეროვნულ დონეზე შემუშავებული მარეგულირებელი ჩარჩოები, რომლებიც იძლევა საშუალებას, რომ გაძლიერდეს საზოგადოების გავლენა პოლიტიკისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე;
- ადგილობრივი ხელისუფლების გაძლიერებული შესაძლებლობები მუნიციპალიტეტებში მონაწილეობითი მეთოდების დასანერგად, რაც მოქალაქეებს საზოგადოების ყველა სექტორში მისცემს საშუალებას, ჩაერთონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
- ახალგაზრდებისა და არასაკმარისად წარმოდგენილი ჯგუფების გაძლიერებული შესაძლებლობები, რათა დაიცვან საკუთარი უფლებები, თანასწორობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა ადგილობრივ დონეზე;
- ახალგაზრდების გაზრდილი ჩართულობა ადგილობრივ თემებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
- ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისა და მათი გაერთიანებების გაზრდილი ინფორმირებულობა და შესაძლებლობები, რათა ხელი შეუწყონ, პატივი სცენ, დაიცვან და შეასრულონ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მოთხოვნები, ახალგაზრდებსა და არასაკმარისად წარმოდგენილ ჯგუფებთან დიალოგით, მათ შორის, „მწვანე პერსპექტივის“ გათვალისწინებით;
- გაძლიერებული ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მმართველობა, გაღრმავებული დიალოგით ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებსა და მათ ეროვნულ გაერთიანებებთან; ასევე, ინსტიტუციონალიზებული მრავალდონიანი დიალოგის პლატფორმები;
- შექმნილი ინსტიტუციური და ციფრული არხები, რომლებიც გააძლიერებს მოქალაქეთა მონაწილეობას, მათ შორის, ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებში;
- ადგილობრივი ხელისუფლების გაძლიერებული შესაძლებლობები მონაწილეობით პრაქტიკაში, მათ შორის, ბიუჯეტის შედგენისას.

**მთავარი სახელმწიფო პარტნიორები:** რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, სახალხო დამცველის აპარატი, საკონსულტაციო საბჭოები, ახალგაზრდული ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები.

*არჩევნები*

- ეროვნული საარჩევნო სამართლებრივი ჩარჩოსა და პრაქტიკის გაუმჯობესებული შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან;
- საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის გაძლიერებული შესაძლებლობები და გამჭვირვალობა ყველა დონეზე, მათ შორის, საარჩევნო სისტემათა განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრში, ასევე, საერთო სასამართლოებში საარჩევნო საჩივრების განხილვისას;
- საარჩევნო კამპანიის დაფინანსების გაუმჯობესებული მონიტორინგი საქართველოს ანტიკორუფციული ბიუროს პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის მხრიდან;
- ქალების, ახალგაზრდებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების გაზრდილი მონაწილეობა საარჩევნო პროცესებში;
- ადგილობრივი დამკვირვებლებისა და მედიის გაძლიერებული შესაძლებლობები არჩევნების პროფესიონალურად, ნეიტრალურად და დაბალანსებულად გაშუქებისათვის;
- საარჩევნო პროცესებში დანერგილი ციფრული გადაწყვეტილებები (ევროპულ სტანდარტთა შესაბამისად) და საარჩევნო პროცესების სამართლიანობა და გამჭვირვალობა.

**მთავარი სახელმწიფო პარტნიორები:** საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია (ცენტრალური საარჩევნო კომისია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია, საოლქო საარჩევნო კომისიები), საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი, საქართველოს ანტიკორუფციული ბიუროს პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტი, საერთო სასამართლოები, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, პარლამენტი, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და მედია.

*საპარლამენტო თანამშრომლობა*

- იმ დემოკრატიული სტანდარტებისა და კარგი პრაქტიკის გაძლიერებული ხელშეწყობა პარლამენტის წევრთა მხრიდან, რომლებიც დადგენილია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა და სხვა ორგანოების მიერ;
- პარლამენტის წევრთა, აპარატის თანამშრომელთა და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა გაზრდილი ცოდნა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებასა და მონიტორინგზე;
- გაუმჯობესებული დიალოგი და თანამშრომლობა პარლამენტის წევრებს შორის, საკანონმდებლო რეფორმებთან დაკავშირებით;
- საზოგადოების გაზრდილი ინფორმირებულობა ევროპის საბჭოს სტანდარტებზე, ასევე, საზოგადოების ჩართულობაზე საკანონმდებლო პროცესებში;
- საქართველოს კანონმდებლობის გაუმჯობესებული შესაბამისობა ევროპის საბჭოს სტანდარტებთან.

**მთავარი სახელმწიფო პარტნიორები:** საქართველოს პარლამენტი, საქართველოს დელეგაცია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში, საპარლამენტო კომისიები, პარლამენტის აპარატი.

*ნდობის აღდგენის ღონისძიებები*

- გაძლიერებული თანამშრომლობა გაყოფილი თემების წარმომადგენელთა შორის, საერთო სამუშაოსთვის განსაზღვრულ საკითხებზე;
- გაზრდილი ურთიერთობა გაყოფილ თემებს შორის.

**მთავარი სახელმწიფო პარტნიორები:** საგარეო საქმეთა სამინისტრო, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სახალხო დამცველის აპარატი, სხვა შესაბამისი სამინისტროები, პროფესიული ჯგუფები და სამოქალაქო საზოგადოება.

### 2.3.2 დემოკრატიული მონაწილეობა

დემოკრატია არ არის მხოლოდ კანონებისა და ინსტიტუტების საკითხი - ის დიდწილად დამოკიდებულია ხალხსა და კულტურაზე. სწორედ მოქალაქეები აქცევენ დემოკრატიას რეალობად, იმ პრინციპების საშუალებით, რომლებსაც იცავენ ყოველდღიურ ცხოვრებასა და ქცევებში. დემოკრატიული ინსტიტუტები ფუნქციონირებენ მხოლოდ ისეთ საზოგადოებაში, სადაც მოქალაქეებს ესმით დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის ღირებულებები და მხარს უჭერენ მათ, ასევე, სადაც შეუძლიათ აუცილებელი უნარებისა და კომპეტენციების შეძენა დემოკრატიულ ცხოვრებაში აქტიური როლის შესასრულებლად. აქედან გამომდინარე, დემოკრატიის კულტურის განვითარება წევრ ქვეყნებში, განსაკუთრებით, ახალგაზრდა თაობებში, დემოკრატიული უსაფრთხოების აუცილებელი წინაპირობაა.

- **განათლება დემოკრატიისთვის**

დემოკრატიის ფართოდ გავრცელებულ კულტურას არსებითი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების პრაქტიკაში ფუნქციონირებისათვის. განათლებას შეუძლია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ამ კულტურის ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: კონფლიქტების მოგვარება დიალოგის გზით, მრავალფეროვნების პატივისცემა და მრავალპერსპექტივიანი პრაქტიკის გამოყენება.

რეკომენდაციაში, რომელიც შეეხება ევროპის საბჭოს ქარტიას „დემოკრატიული მოქალაქეობისთვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ“[64], კიდევ ერთხელ აღინიშნა ის ცენტრალური როლი, რომელიც შეიძლება შეასრულოს განათლებამ ევროპის საბჭოს მისიის დაწინაურებაში. ქარტიაში დადასტურებულია, რომ „წევრმა სახელმწიფოებმა დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების სწავლება უნდა შეიტანონ ფორმალური განათლების სასწავლო გეგმებში, სკოლამდელი, დაწყებითი და საშუალო განათლების დონეზე, ასევე, ზოგადი და პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებში“. ეს საკითხები უნდა შევიდეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა სასწავლო გეგმებშიც, განსაკუთრებით, განათლების სფეროს მომავალი სპეციალისტებისთვის.

საქართველომ რიგი რეფორმები გაატარა განათლების სფეროში, რამაც გააძლიერა განათლების როლი პასუხისმგებელ და აქტიური მოქალაქეთა მომზადებაში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიან ეროვნულ სტრატეგიაში (2022-2030) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები კიდევ ერთხელ ადასტურებენ თავიანთ მონდომებას, რომ საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა შეესაბამებოდეს პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრულია ევროპის საბჭოს ქარტიაში „დემოკრატიული მოქალაქეობისთვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ“, როგორც „თეორიულად, ისე პრაქტიკულად“; ასევე, დემოკრატიული განათლების პრინციპი გამოიყენებოდეს ნებისმიერ საგანმანათლებლო გარემოში და თითოეულ მოსწავლეს/სტუდენტს ჰქონდეს უფლება, „ჩაერთოს საგანმანათლებლო დაწესებულებათა

64. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)7 ევროპის საბჭოს ქარტიაზე „დემოკრატიული მოქალაქეობისთვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ.“

მართვასა და სწავლა-სწავლების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში, საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად და სრულფასოვნად რეალიზებისთვის."

2024-2027 წლების სამოქმედო გეგმის თანახმად, ევროპის საბჭო ხელს შეუწყობს საქართველოს სახელმწიფო საგანმანათლებლო ორგანოებს, რომ ფართოდ დანერგონ სკოლის მართვის უფრო მონაწილეობითი და გამჭვირვალე მოდელი და დემოკრატიული სკოლის კულტურა. კონკრეტული ღონისძიებები მიმართული იქნება განათლების სფეროს სპეციალისტთა შესაძლებლობების განვითარებაზე, ბავშვებში დემოკრატიული კულტურის ხელშეწყობაზე, სკოლის დემოკრატიული მმართველობის შემოღებასა და ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებაზე სამოქალაქო განათლების მიმართ.

- **ახალგაზრდები დემოკრატიისთვის**

ახალგაზრდული მიმართულებით მუშაობისას, ევროპის საბჭო ხელმძღვანელობს ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორის სტრატეგიით 2030 წლისათვის, რომელიც მიღებულია 2020 წლის იანვარში და ამოქმედდა მინისტრთა კომიტეტის საქართველოს მიერ თავმჯდომარეობის (2019 წლის ნოემბრიდან 2020 წლის მაისამდე) ფარგლებში. სტრატეგიის მიზანია, საშუალება მისცეს ახალგაზრდებს, რომ აქტიურად განამტკიცონ, დაიცვან, ხელი შეუწყონ და ისარგებლონ ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ძირითადი ღირებულებებით. ახალგაზრდების წვდომის გაძლიერება მათ უფლებებზე, ცოდნის გაღრმავება და მნიშვნელოვანი მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სწორედ ის საშუალებებია, რომელთა მეშვეობითაც ახალგაზრდები და ახალგაზრდული სამოქალაქო საზოგადოება შეძლებენ ხელშემწყობ გარემოზე დაყრდნობას ადამიანის ყველა უფლებითა და თავისუფლებით სრულყოფილად სარგებლობისთვის და ხელი შეეწყობა ახალგაზრდების დემოკრატიულ ჩართულობას.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების 2021-2027 წლების სამოქმედო გეგმა[65] ყურადღებას ამახვილებს ახალგაზრდების მონაწილეობასა და ლიდერობაზე, ახალგაზრდული სექტორის, ასევე, მტკიცებულებებსა და უფლებებზე დაფუძნებული ახალგაზრდული პოლიტიკის გაუმჯობესება-განვითარებით, რათა: შეიქმნას მდგრადი ეკოსისტემა ახალგაზრდობის განვითარებისთვის, რომელიც მათ შესაძლებლობას მისცემს, სრულად გამოიყენონ საკუთარი პოტენციალი და აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში; გაუმჯობესდეს დემოკრატიული ღირებულებებისა და პრინციპების გაგება ახალგაზრდებში და მხარი დაუჭიროს მათ საკუთარი უფლებების დაცვაში; ასევე, საქართველოში ყველა ახალგაზრდას ჰქონდეს სრული და თანაბარი ეკონომიკური გაძლიერებისა და ჯანმრთელობისა თუ კეთილდღეობის დაცვის საშუალება და თანასწორი წვდომა ინფორმაციასა და რესურსებზე.

საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი (მიღებულია 2014 წლის აპრილში), საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია 2020-2030 წლებისთვის (მიღებულია 2020 წლის ივლისში), ასევე, ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026 წლებისთვის (მიღებულია 2022 წლის დეკემბერში) აყალიბებს ახალგაზრდული პოლიტიკის საერთო ჩარჩოს საქართველოში. ამ სამ დოკუმენტში ახალგაზრდების მონაწილეობა ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში და დემოკრატიულ პროცესებში განსაზღვრულია საქართველოს ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად.

2024-2027 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით, ევროპის საბჭო ხელს შეუწყობს საქართველოს ხელისუფლებას ახალგაზრდული პოლიტიკის ჩარჩოს განხორციელებაში, ასევე, ერთმანეთს დააკავშირებს სხვა დაინტერესებულ მხარეებს ახალგაზრდული პოლიტიკისა და ახალგაზრდული სამუშაოს სფეროებში, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით შემდეგ საკითხებზე:

65. ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საბჭოს 2022 წლის 16 აგვისტოს N 1/2022 რეკომენდაცია ევროკავშირი-საქართველოს 2021-2027 წლების ასოცირების დღის წესრიგის შესახებ: EUR-Lex - 22022D1422 - EN - EUR-Lex (europa.eu).

- საქართველოს ხელისუფლებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების შესაძლებლობათა გაძლიერება, რათა ხელი შეუწყონ განათლებას სამოქალაქო და ადამიანის უფლებების შესახებ და შესრულდეს ევროპის საბჭოს ქარტია „დემოკრატიული მოქალაქეობისთვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ"; ასევე, ხარისხიანი არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობების შემუშავება ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდებთან ერთად;
- მონაწილეობითი (ადგილობრივი) ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავების მხარდაჭერა ადგილობრივი საბჭოებისა თუ საკონსულტაციო ორგანოების საშუალებით, სასწავლო კურსების 50/50 მოდელის საფუძველზე, რაც გულისხმობს თანაბარი რაოდენობის წარმომადგენელთა მონაწილეობას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებიდან და არასამთავრობო სექტორიდან;
- შესაძლებლობათა გაფართოება დიალოგისა და მშვიდობის მშენებლობისათვის, რომლებიც ინიცირებულია „ახალგაზრდული მშვიდობის ბანაკის" საშუალებით და ადგილობრივი მშვიდობის ბანაკების გამოცდილების საფუძველზე;
- ახალგაზრდული პოლიტიკისა და მუშაობის განვითარების ხელშეწყობა, ევროპის საბჭოს ხარისხის სტანდარტთა შესაბამისად.

**მოსალოდნელი შედეგები**

*განათლება დემოკრატიისთვის*

- საგანმანათლებლო დაწესებულებათა მიერ მიღებული პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების გაძლიერებულ სწავლებასა და სკოლის მონაწილეობით მმართველობას;
- განათლების სპეციალისტთა გაძლიერებული შესაძლებლობები ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებისა და დემოკრატიული მონაწილეობის კულტურის ჩასართავად მათ პრაქტიკაში;
- ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპები და დემოკრატიული მონაწილეობის კულტურა, რომლებიც განათლების პროფესიონალებს ჩართული აქვთ სკოლებსა და სასკოლო თემებში;
- სკოლის მოსწავლეთა გაძლიერებული კომპეტენციები დემოკრატიული კულტურის თვალსაზრისით და გაზრდილი მონაწილეობა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მათ სკოლებსა და თემებში.

**მთავარი სახელმწიფო პარტნიორები:** განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და უწყებები, დაწყებითი და საშუალო სკოლები, ადგილობრივი თემები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები.

*ახალგაზრდები დემოკრატიისთვის*

- საქართველოს ხელისუფლებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერებული შესაძლებლობები, რათა ხელი შეუწყონ დემოკრატიული მოქალაქეობის, ციფრული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების სწავლებას, ასევე, შეიმუშაონ ხარისხიანი არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობები ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდებთან ერთად;
- ახალგაზრდების მონაწილეობითი პოლიტიკის გაძლიერებული ჩარჩო, რათა ჩაერთონ სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ასევე, დემოკრატიულ პროცესებში ადგილობრივ დონეზე, შემუშავებული სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა მონაწილეობით;
- ახალგაზრდული სამუშაოსა და არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობების ხარისხისა და უზრუნველყოფის გაუმჯობესება შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა მიერ;
- მშვიდობის მშენებლობის ინიციატივათა გაუმჯობესება ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ერთად, საქართველოს კონფლიქტით დაზარალებულ აფხაზეთის რეგიონსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობით.

**მთავარი სახელმწიფო პარტნიორები:** საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო, ახალგაზრდული ორგანიზაციები, მუნიციპალიტეტები, ადგილობრივი თემები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ახალგაზრდები.

## ნაწილი III – **განხორციელება**

### 3.1 მეთოდოლოგია

ევროპის საბჭოს ტექნიკური თანამშრომლობის საერთო კოორდინაცია განეკუთვნება პროგრამების კოორდინაციის დირექტორატის უფლებამოსილებას, რომელიც ხელმძღვანელობს პროგრამების შედგენას და სახსრების მოზიდვას თანამშრომლობის ღონისძიებებისთვის, ამავდროულად, უზრუნველყოფს ევროპის საბჭოს სამსახურების გამართულ ფუნქციონირებას ამ სფეროში.

არსებითი პასუხისმგებლობა თანამშრომლობით პროექტებზე ეკისრებათ ევროპის საბჭოს ძირითად ადმინისტრაციულ ერთეულებს, რომლებსაც აქვთ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება. ტექნიკური დახმარებისა და თანამშრომლობის დეცენტრალიზებულად განხორციელების შესაბამისად, ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისი[66] უზრუნველყოფს პროექტთა განხორციელებას ამ სფეროში. 2023 წლის ივნისის მდგომარეობით, საქართველოს ოფისში მუშაობდა 50 თანამშრომელი.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროექტების განხორციელება, საჭიროებისამებრ, შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ნაბიჯებს: საჭიროებათა შეფასება, საკანონმდებლო ექსპერტიზა, შესაძლებლობათა ზრდა, ცნობიერების ამაღლება, კოლეგა ექსპერტთა მიერ შეფასება, და გენდერული ანალიზი. განხორციელების მეთოდოლოგია, *ევროპის საბჭოს პროექტთა მართვის მეთოდოლოგიის* შესაბამისად, მიზნად ისახავს სახელმწიფო დაინტერესებულ მხარეთა ცნობიერების ამაღლებას და შედეგების მდგრადობას. ევროპის საბჭოს პროექტთა მართვის მეთოდოლოგია აუმჯობესებს პროექტთა განხორციელების ხარისხს, დაგეგმვის, მონიტორინგის, ხარჯთეფექტიანობისა და ქმედითობის თვალსაზრისით. ის ასევე იძლევა საშუალებას, რომ გაუმჯობესდეს რისკების შეფასება, პროცესში ინტეგრირდეს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა და მეტი ყურადღება მიექცეს გენდერულ განზომილებას.

გარდა ამისა, ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული თანამშრომლობა ითვალისწინებს „მრავალინსტიტუციურ მიდგომას", რომელიც ევროპის საბჭოს სხვადასხვა ინსტიტუტსა და ორგანოს საშუალებას აძლევს, იმუშაონ სამთავრობო დაინტერესებულ მხარეებთან, პარლამენტთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, დამოუკიდებელი მმართველობის ინსტიტუტებსა (როგორიცაა სახალხო დამცველის აპარატი) და ადგილობრივი/რეგიონული ხელისუფლების ორგანოებთან. ეს უნიკალურ ბერკეტს ქმნის ყოვლისმომცველი, ინკლუზიური, წარმატებული და მდგრადი რეფორმებისთვის.

ევროპის საბჭო ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას იყენებს თავისი საქმიანობის ყველა დონესა და ეტაპზე. მისი კანონმდებლობა, მათ შორის, ევროპის საბჭოს სამართლებრივი ინსტრუმენტები და ინსტიტუტები - ისეთ პრინციპებთან ერთად, როგორიცაა მონაწილეობა და ინკლუზია (მათ შორის, გენდერული თვალსაზრისით დაბალანსებული მონაწილეობა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა), თანასწორობა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, ანგარიშვალდებულება, ინფორმაციის გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა - დამატებით ღირებულებას სძენს ევროპის საბჭოს საქმიანობას. *ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის პრაქტიკული გზამკვლევი თანამშრომლობითი პროექტებისთვის* ხელს უწყობს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის უკეთესად გამოყენებას პროექტთა მართვისა და თანამშრომლობის აქტივობებში.

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ერთ-ერთი კომპონენტია გენდერული მეინსტრიმინგი, რომელზეც ევროპის საბჭო ყურადღებას ამახვილებს პროექტებთან დაკავშირებული აქტივობების ფარგლებში, *2018-2023 წლების გენდერული თანასწორობის სტრატეგიის* შესაბამისად.[67] *ევროპის საბჭოს გენდერული მეინსტრიმინგის სახელმძღვანელო თანამშრომლობითი*

66. *https://www.coe.int/en/web/tbilisi*

67. ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის კომისიამ დაავალა სამდივნოს, რომ მოამზადოს 2024-2029 წლების გენდერული თანასწორობის სტრატეგიის პროექტი, რომელიც დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს მინისტრთა კომიტეტს, 2023 წლის ბოლომდე.

*პროექტებისთვის* პრაქტიკული გზამკვლევია თანამშრომლობით აქტივობებში გენდერული განზომილების დასანერგად, როგორც თავად ორგანიზაციის ფარგლებში, ისე ეროვნული პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ. გენდერული მეინსტრიმინგის მიდგომა განისაზღვრება სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებულ მოქმედებათა შემუშავების შემდეგ. ეს მიდგომა საქმიანობაში გამოიყენება თანამშრომლობის სფეროს მიუხედავად; უზრუნველყოფილი იქნება გენდერულად დაბალანსებული მონაწილეობაც, დარგობრივი ცოდნისა და გამოცდილების მხრივ არსებულ შეზღუდვათა გათვალისწინებით. მაგალითად, გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების დაცვის სტანდარტები გათვალისწინებული იქნება კანონმდებლობისა და სხვადასხვა ეროვნული ჩარჩოს გადახედვისას, ევროპულ სტანდარტთა შესაბამისად. გენდერული თანასწორობის საკითხი ინტეგრირდება სასწავლო აქტივობებსა და პროგრამებში. გენდერის გავლენა გაანალიზდება პროექტების შემუშავების, განხორციელების, ანგარიშგებისა და შეფასების დროს. გენდერული მეინსტრიმინგის გარდა, გათვალისწინებული იქნება კონკრეტული ღონისძიებებიც, გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად.

პროექტის განხორციელებამდე და განხორციელების პროცესში, გუნდები დაეყრდნობიან გენდერული მეინსტრიმინგის საკითხებში კონსულტანტის ცოდნასა და გამოცდილებას, რომელიც მუშაობს აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში.[68] კონსულტანტი უზრუნველყოფს გენდერული საკითხების ფართოდ ინტეგრირებას პროექტებში, ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორიცაა გენდერული ანალიზი და გენდერული ზემოქმედების შეფასება, შემდგომ კი გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს გენდერული განზომილების დამატებითი ინტეგრირებისათვის. კონსულტანტი ხელს შეუწყობს ასეთი მიზნის მქონე ინსტრუმენტთა და მექანიზმთა შემუშავებასაც, ასევე, ევროპის საბჭოს პროექტების თანამშრომელთა შესაძლებლობების განვითარებას რეგიონში, რათა ხელი შეუწყოს გენდერულად სენსიტიური მიდგომის დანერგვას პროექტებში.

„გენდერული თანასწორობის საკითხებზე საკონტაქტო პირთა ქსელი“ ფუნქციონირებს 2021 წლის იანვრიდან და გენდერული თანასწორობის დამაჩქარებელი მექანიზმია ევროპის საბჭოს ყველა ოფისისთვის ამ სფეროში.

ანალოგიურად, ევროპის საბჭო ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას პროექტებით გათვალისწინებულ აქტივობებში, *ევროპის საბჭოს თანამშრომლობით ღონისძიებებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა მონაწილეობის სახელმძღვანელოს* შესაბამისად. 2022 წლის მაისში ევროპის საბჭომ ონლაინფორმატით გამოაქვეყნა *რესურსი სამოქალაქო საზოგადოებისთვის*, რომელიც უზრუნველყოფს მარტივ წვდომას *სამოქალაქო საზოგადოების სახელმძღვანელოზე*. ეს სახელმძღვანელო, სახელწოდებით „მუშაობა ევროპის საბჭოსთან: პრაქტიკული გზამკვლევი სამოქალაქო საზოგადოებისთვის“, სიღრმისეულ ინფორმაციას შეიცავს ხელმისაწვდომობის, თანამშრომლობის, შესატანი წვლილის, მონაწილეობის ან/და პარტნიორობის სხვადასხვა ფორმაზე, რომელთა დანერგვაც შესაძლებელი და რელევანტურია არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის.

სამოქმედო გეგმა გააგრძელებს ქალებისა და ბავშვების სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებას პროექტთა განხორციელებისას, მათი უფლებების გაძლიერებისა და საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ინკლუზიის ურთიერთგადამკვეთ ბუნებას, დაბალანსებული გენდერული მონაწილეობის უზრუნველყოფით.

გარდა ამისა, სამოქმედო გეგმის ფარგლებში სხვადასხვა საშუალებით ჩაერთვება სამოქალაქო საზოგადოება, რათა გაძლიერდეს მისი როლი ქვეყანაში, ხელისუფლებასთან დიალოგის ხელშეწყობითა და მისი შესაძლებლობების განვითარებით.

ორგანიზაციის მიზანია, ბავშვები დაიცვას ზიანისგან და მათი უფლებები სრულად იყოს დაცული, *2022-2027 წლების ბავშვთა უფლებების დაცვის სტრატეგიის* შესაბამისად. *ევროპის საბჭოს მხილების პოლიტიკა*, რომელიც ძალაში შევიდა 2023 წლის 1 ივნისს და შეეხება უკანონო ქმედებათა შეტყობინებას და შურისძიებისგან დაცვას, ორგანიზაციის ეთიკური ჩარჩოს ნაწილია.

68. მხარდაჭერილი ფინეთის მიერ.

*რეიკიავიკის დეკლარაცია – გაერთიანებული ჩვენი ღირებულებების ირგვლივ*, მიღებული ევროპის საბჭოს სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მე-4 სამიტზე (რეიკიავიკში, 2023 წლის 16-17 მაისს), მიზნად ისახავს, გაძლიერდეს მუშაობა გარემოს დაცვის ადამიანის უფლებათა ასპექტებზე და ინიცირება გაუწიოს რეიკიავიკის პროცესს ამ სფეროში ევროპის საბჭოს მუშაობის კონცენტრირებისა და გაძლიერების შესახებ, როგორც გათვალისწინებულია მის V დანართში „ევროპის საბჭო და გარემო“. დანართი ხაზს უსვამს, რომ „გადაუდებლად აუცილებელია კოორდინირებული მოქმედება გარემოს დასაცავად, სამმაგი პლანეტარული კრიზისის დაძლევით, რომელიც მოიცავს დაბინძურებას, კლიმატის ცვლილებასა და ბიომრავალფეროვნების დაკარგვას“, და ადასტურებს, „რომ ადამიანის უფლებები და გარემო გადაჯაჭვულია ერთმანეთზე და სუფთა, ჯანსაღი და მდგრადი გარემო განუყოფელი ნაწილია ახლანდელი და მომავალი თაობების მიერ ადამიანის უფლებებით სრულად სარგებლობისა.“

ის ასევე „განასაზღვრავს გამოწვევებს, რომლებსაც ადამიანის უფლებებს უქმნის სამმაგი პლანეტარული კრიზისი, გამოწვეული დაბინძურებით, კლიმატის ცვლილებითა და ბიომრავალფეროვნების დაკარგვით, და ხელს უწყობს საერთო რეაგირებას მათზე, ამ განხილვებში ახალგაზრდების ჩართულობის მხარდაჭერით. ეს მიზნები განხორციელდება „ევროპის საბჭოს არსებული აქტივობების გაღრმავებითა და კოორდინაციით, რომლებიც უკავშირდება გარემოს დაცვას“; ამასთანავე, წახალისდება გარემოსა და ადამიანის უფლებების ახალი მთავრობათაშორისი კომიტეტის („რეიკიავიკის კომიტეტი“) შექმნა.

ამ კონტექსტში, ევროპის საბჭოს თანამშრომლობით სექტორს აქვს პოტენციალი, რომ კლიმატისა და გარემოსდაცვითი განზომილება შეიტანოს იმ დარგებისა და დაინტერესებული მხარეების განხილვებში, რომლებიც, ტრადიციულად, არ განიხილავენ ხოლმე ასეთ თემებს. ამ პროცესში სექტორს შეუძლია, დაეყრდნოს ევროპის საბჭოს სამართლებრივად მბოჭველ ვალდებულებებსა და ხელშეკრულებებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ეხება გარემოსდაცვით საკითხებს და კარგად დამკვიდრებულ სამუშაო მეთოდებს, მთავრობათაშორისი დიალოგისა და თანამშრომლობის ჩათვლით, ასევე, მისი ექსპერტული ცოდნისა და გამოცდილების ვრცელ და მრავალფეროვან ქსელს ევროპაში. ამ კონტექსტში, ევროპის საბჭოს თანამშრომლობითი სექტორის მიზანია, კლიმატის ცვლილებისა და გარემოს დეგრადაციის წინააღმდეგ ბრძოლა აქციოს მისი მოქმედებების განუყოფელ და უფრო მკაფიო ნაწილად. ამჟამად ის განიხილავს სამ მთავარ მიმართულებას: (1) გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების ასპექტთა ფართოდ დანერგვა ევროპის საბჭოს თანამშრომლობით პროექტებში; (2) გარემოსდაცვითი მიზნების მქონე თანამშრომლობითი პროექტების ინიცირება და დაგეგმვა; და (3) ევროპის საბჭოს სამუშაო მეთოდებისა და პრაქტიკის გაუმჯობესება, რათა მისი საქმიანობა უფრო მდგრადი იყოს გარემოსდაცვითი კუთხით.

„პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის – III ფაზა“ და 2020-2023 წლების სამოქმედო გეგმა საქართველოსთვის შეაფასეს[69] დამოუკიდებელმა შემფასებლებმა, რომლებმაც, მათ შორის, დაადგინეს, რომ:

- სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება შეესაბამება საქართველოს საჭიროებებსა და რეფორმათა პრიორიტეტებს სხვადასხვა სექტორში;
- შედეგებმა ხელი შეუწყო - ან, სავარაუდოდ, შეუწყობს - რეფორმას სამიზნე სექტორებში/საკითხებში და დაზარალებულ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესებას;
- ეფექტიანობა განაპირობა და გაზარდა კარგმა თანამშრომლობამ ორმხრივ დონორებთან, სხვა მთავრობათაშორის ორგანიზაციებსა და სპეციალიზებულ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
- მონიტორინგი უფრო მეტად უნდა იყოს ორიენტირებული შედეგებზე;
- უნდა გაუმჯობესდეს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენების ხილვადობა და ხარისხი, ასევე, გენდერულ საკითხთა ინტეგრაცია;

69. შეფასების ანგარიში და მენეჯმენტის შესაბამისი პასუხი ხელმისაწვდომია ევროპის საბჭოს შიდა ზედამხედველობის დირექტორატის ვებგვერდზე.

- სამოქმედო გეგმის, როგორც პროგრამული ჩარჩოს მაღალ დონეზე დამტკიცება, არსებითად, პროექტთა შედეგების მდგრადობის საფუძველია;
- ფართოდ არის აღიარებული ევროპის საბჭოს, როგორც პროგრამების განმახორციელებელი აქტორის დამატებითი ღირებულება.

წინამდებარე სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია ევროპის საბჭოს 2020-2023 წლების სამოქმედო გეგმის (საქართველოსთვის) განხორციელებით მიღებული გამოცდილებაც, მათ შორის, საჭიროება, რომ:

- მჭიდრო კოორდინაცია დამყარდეს პარტნიორებთან პროგრამათა შემუშავება-განვითარების ყველა დონესა და ეტაპზე, რათა ქმედებები იყოს შესაბამისი და ეფექტიანად განხორციელდეს, ასევე, გაძლიერდეს ხელისუფლების ორგანოთა პასუხისმგებლობა და ჩართულობა პროცესში;
- გაძლიერდეს და გამრავალფეროვნდეს პარტნიორობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, რათა გაფართოვდეს პერსპექტივები და ექსპერტული ცოდნა სამოქმედო გეგმის/პროექტთა დაგეგმვა-განხორციელებისას, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ევროპის საბჭოს დამატებით ღირებულებას;
- შენარჩუნდეს ღია საკომუნიკაციო არხები ხელისუფლებასა და პარტნიორებს შორის, ისეთ დარგთაშორის საკითხებზე, რომლებიც მოიცავს მრავალუწყებრივ თანამშრომლობას სინერგიის შესაქმნელად;
- გაუმჯობესდეს ზემოქმედების ან ზემოქმედებაზე მიმართული პროგრესის გაზომვა, რათა აქტივობებსა და შედეგებს ყველა პარტნიორი სწორად აღიქვამდეს მიზნების მიღწევის საშუალებად, და არა თავისთავად მიზნებად;
- გაიზარდოს ორმხრივი ანგარიშვალდებულება დონორთა და პარტნიორ ინსტიტუტთა წარმომადგენლების ჩართვით შეფასების საკონტროლო ჯგუფებში, მათ შორის, კონსულტაციების გათვალისწინებით შეფასების მოთხოვნათა შემუშავებისას, და წვლილის შეტანით საკონტროლო ჯგუფების გაერთიანებულ უკუკავშირში საწყისი და პირველადი ანგარიშების შესახებ;
- პარტნიორი დაწესებულებები და პროექტთა გუნდები წინასწარ მოემზადონ სამოქმედო გეგმის საბოლოო შეფასებისთვის, მათ შორის, გაძლიერდეს მიმდინარე მონიტორინგი პროექტზე და დაინიშნოს ოფისის მონიტორინგისა და შეფასების ხელმძღვანელი;
- უზრუნველყოფილი იყოს გარკვეული მოქნილობა სამოქმედო გეგმის განხორციელებისას, რათა სამუშაო გეგმები და მეთოდები მოერგოს გარე გამოწვევებს და მუდმივად შეესაბამებოდეს მოთხოვნებს;
- უპირატესობა მიენიჭოს ფულად შენატანებს სამოქმედო გეგმის დონეზე (კონკრეტულ პროექტთა დონეზე გაკეთებული შენატანებისგან განსხვავებით), რათა მოხერხდეს რესურსების გამოყენების ოპტიმიზაცია.

თავისი მანდატიდან გამომდინარე, ევროპის საბჭო ოპერირებს რთულ და არასტაბილურ გარემოში, რაც გარკვეული რისკების ქვეშ აყენებს მას. სამოქმედო გეგმის რისკების ანალიზი და მათი შესაძლო შერბილების სტრატეგიები იდენტიფიცირებულია ამ სამოქმედო გეგმის II დანართში, ევროპის საბჭოს *რისკების მართვის სახელმძღვანელო მითითებებისა* და *რისკების მართვის პოლიტიკის* საფუძველზე, რომლებიც დამტკიცდა 2016 წლის ივნისში. სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებულ ყველა პროექტს აქვს რისკების შეფასებისა და შერბილების სტრატეგიები. თანამშრომლობის სექტორში გამოვლენილი რისკები აისახება „ორგანიზაციული რისკების რეესტრში", რომელსაც პერიოდულად ეცნობა ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი და უმაღლესი რგოლის მენეჯმენტი. შედეგებს აანალიზებენ შიდა და გარე აუდიტის ჯგუფები და ზედამხედველობის საკონსულტაციო კომიტეტი.

COVID-19-ის პანდემიის კონტექსტში, ევროპის საბჭომ უზრუნველყო ბიზნესის უწყვეტი მუშაობა წინა სამოქმედო გეგმის განხორციელების ფარგლებში, სახელმწიფო ზომების დაცვით

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში. ევროპის საბჭო უწყვეტად განაგრძობს შემარბილებელ ღონისძიებათა ადაპტირებასა და გატარებას თანამშრომლობითი აქტივობების ფარგლებში, დონორებსა და ბენეფიციარებთან მჭიდრო კოორდინაციით, და იმავე მიდგომას გამოიყენებს ამ სამოქმედო გეგმის განსახორციელებლადაც, თუკი მოითხოვს გარემოებები.

3.2 ხელშეწყობა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად

აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭო დიდი ხანია ხელს უწყობს *გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების* შესრულებას ეროვნულ დონეზე. გარდა ამისა, *რეიკიავიკის დეკლარაცია – გაერთიანებული ჩვენი ღირებულებების ირგვლივ*, მიღებული ევროპის საბჭოს სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მე-4 სამიტზე, მოუწოდებს გაეროსთან თანამშრომლობის გაზრდისა და დამატებითი სინერგიების ჩამოყალიბებისკენ, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს. ამ ფონზე, სამოქმედო გეგმის შესრულების ფარგლებში, კვლავაც შეეწყობა ხელი საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევას გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების, განსაკუთრებით, 3, 4, 5, 8, 10, 11 და 16 მიზნების მისაღწევად.

- **მიზანი 3. ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისთვის**

ღონისძიებები, რომელთა მიზანია ადამიანის უფლებებისა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესება სასჯელაღსრულების სისტემაში და ადამიანის უფლებათა დაცვა ბიომედიცინის სფეროში, პირდაპირ შეუწყობს ხელს ამ მიზნის მიღწევას, განსაკუთრებით, მე-8 ამოცანის შესრულებას.[70] გარდა ამისა, ახალი სამოქმედო გეგმა ხელს შეუწყობს ნარკოტიკების მოხმარების საწინააღმდეგო ღონისძიებებს, რითაც წვლილს შეიტანს მე-5 ამოცანის შესრულებაში.[71]

- **მიზანი 4. ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასთვის**

ახალი სამოქმედო გეგმის თანახმად, გატარდება ღონისძიებები ინკლუზიურ და თანაბარი ხარისხის განათლებასთან მიმართებით, რაც ხელს შეუწყობს 1-ლი და მე-2 ამოცანების[72] შესრულებას. გარდა ამისა, სამოქმედო გეგმა კვლავაც შეიტანს წვლილს მე-7 ამოცანის[73] შესრულებაში ევროპის საბჭოს პროგრამის - „ადამიანის უფლებების სწავლება იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისთვის" (HELP) - ონლაინ კურსებით.

- **მიზანი 5. გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება**

ევროპის საბჭოს ღონისძიებები ხელს შეუწყობს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას, რითაც წვლილს შეიტანს 1-ლი და მე-5 ამოცანების შესრულებაში, რომლებიც შეეხება ქალთა და გოგონათა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრას ქალთა სრული და ეფექტიანი მონაწილეობით პოლიტიკურ,

70. ამოცანა 3.8: ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის მიღწევა, მათ შორის, ფინანსური რისკებისგან დაცვა, ჯანდაცვის ხარისხიანი ძირითადი სერვისების მისაწვდომობა, ასევე, უსაფრთხო, ეფექტიანი, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ძირითადი მედიკამენტებისა და ვაქცინების მისაწვდომობა ყველასთვის.

71. ამოცანა 3.5: აკრძალული ნივთიერებების მოხმარების, მათ შორის, ნარკოტიკული ნივთიერებებისა და ალკოჰოლის დამღუპველი მოხმარების პრევენციისა და მკურნალობის გაძლიერება.

72. ამოცანა 4.1: 2030 წლისთვის ყველა გოგონასა და ბიჭისთვის სრულად უფასო, თანასწორი და ხარისხიანი დაწყებითი და საშუალო განათლების მიღების უზრუნველყოფა, რაც მათ შესაბამის და ქმედით სასწავლო შედეგებს მოუტანს. ამოცანა 4.2: 2030 წლისთვის ყველა გოგონასა და ბიჭისთვის ადრეულ ასაკში განვითარების, ზრუნვისა და სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რათა ისინი მზად იყვნენ დაწყებითი განათლებისთვის.

73. ამოცანა 4.7: 2030 წლისთვის უზრუნველყოფილ იქნეს ყველა მოსწავლის მიერ მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად ცოდნისა და უნარების შეძენა, მათ შორის, მდგრადი განვითარებისა და ცხოვრების მდგრადი წესის, ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობის, მშვიდობისა და ძალადობისგან თავისუფალი კულტურის ხელშეწყობის, გლობალური მოქალაქეობის, ასევე კულტურული მრავალფეროვნების და მდგრად განვითარებაში კულტურის წვლილის აღიარებისკენ მიმართული განათლების მეშვეობით.

ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასევე, ლიდერობის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფით გადაწყვეტილებათა მიღების ყველა დონეზე.

- **მიზანი 8. სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასთვის**

ახალი სამოქმედო გეგმის თანახმად, ევროპის საბჭო გააგრძელებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა დახმარებას, რათა ეროვნული საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოები და პრაქტიკა შეესაბამებოდეს ევროპულ სტანდარტებს სოციალურ უფლებათა სფეროში, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით შრომით უფლებებზე; თავის მხრივ, ეს პირდაპირ შეუწყობს ხელს მე-8 ამოცანის[74] შესრულებას.

- **მიზანი 10. უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის**

ევროპის საბჭო მუდმივად შეუწყობს ხელს დისკრიმინაციისა და სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნას, ასევე, ცნობიერების ამაღლებას და სწავლებას დისკრიმინაციის შესახებ. ევროპის საბჭო წვლილს შეიტანს თანასწორობის ხელშეწყობაშიც, ასევე, სიძულვილის ენისა და სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულებთან ბრძოლაში. ამით ის იმუშავებს მე-2 ამოცანის შესრულებაზე, რომელიც შეეხება ყველა ადამიანის გაძლიერებას და სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ჩართულობის ხელშეწყობას.

- **მიზანი 11. ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო, მოქნილი და მდგრადი განვითარება**

კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივი თვითმმართველობისა და მონაწილეობითი დემოკრატიის მეშვეობით, სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რომელიც ხელს შეუწყობს მე-3 ამოცანის შესრულებას.[75]

- **მიზანი 16. მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასთვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე**

თავისი მანდატისა და პარტნიორ ქვეყნებში განხორციელებული თანამშრომლობითი საქმიანობის გათვალისწინებით, ევროპის საბჭო მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს გაეროს მდგრადი განვითარების მე-16 მიზნის მიღწევაში. ცხადია, საქართველოს მიმართ გატარებული ყველა ღონისძიება ფარავს მხარდაჭერას არაერთი მიმართულებით, რომლებიც უკავშირდება მე-16 მიზნისა და მისი ამოცანების მიღწევას. ეს მოიცავს შემდეგ საკითხებს (თუმცა არ შემოიფარგლება ამით):

- როგორც ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ისე ბავშვთა ყველა ფორმის ძალადობისგან დაცვისა და პრევენციის ღონისძიებები ხელს შეუწყობს მე-16 მიზნის 1-ლი ამოცანის[76] შესრულებას. მის მიღწევაში ასევე შეიტანს წვლილს მუშაობა დაკავებულ პირთა არასათანადო მოპყრობის ასაცილებლად და სამართალდამცველი ორგანოების, პოლიციისა და ჯანდაცვის მომსახურების შესაძლებლობათა გასაზრდელად ადამიანის უფლებათა დაცვაში.

---

74. ამოცანა 8.8. შრომითი უფლებების დაცვა და უსაფრთხო და დაცული შრომითი გარემოს შექმნა ყველა მომუშავე პირისთვის, მათ შორის, შრომითი მიგრანტებისთვის, განსაკუთრებით კი მიგრანტი ქალებისა და არასაიმედოდ დასაქმებულებისთვის.

75. ამოცანა 11.3: ინკლუზიური და მდგრადი ურბანიზაციისა და წარმადობის გაძლიერება ყველა ქვეყანაში მონაწილეობითი, ინტეგრირებული და მდგრადი დასახლებების დაგეგმვისა და მართვისთვის.

76. ამოცანა 16.1: ძალადობის ყველა ფორმის და მასთან დაკავშირებული სიკვდილიანობის შემთხვევათა რაოდენობის შემცირება ყველგან.

- კანონის უზენაესობის ხელშეწყობა ერთ-ერთია ევროპის საბჭოს მიერ გატარებულ ღონისძიებათა სამი ძირითადი სფეროდან და, აქედან გამომდინარე, ორგანიზაციის აქტივობები ხელს შეუწყობს მე-16 მიზნის მე-3 ამოცანის[77] შესრულებას. უფრო კონკრეტულად, სასამართლო რეფორმის სფეროში განხორციელებული ღონისძიებები გაზრდის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობასა და ეფექტიანობას და ყველა მოქალაქისთვის უზრუნველყოფს თანაბარ წვდომას მართლმსაჯულებაზე.
- საქართველოს მხარდაჭერა ბუდაპეშტის კონვენციის უფრო მეტად შესრულებაში, სასამართლო ხელისუფლების, პროკურორებისა და გამომძიებლების შესაძლებლობათა განვითარებით კიბერდანაშაულის გამოძიებისა და ფინანსური მონიტორინგის სფეროში, შეესაბამება 16.4 ამოცანას.[78]
- მეტი ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ სამართლებრივი და პოლიტიკური კონსულტაციებითა და შესაძლებლობათა ზრდის შემდგომი აქტივობებით, ასევე, თანამშრომლობის, კოორდინაციისა და შესაბამისობის გაზრდა ბევრ სხვადასხვა პარტნიორს შორის ამ სფეროში, ხელს შეუწყობს 16.5 ამოცანის[79] შესრულებას.
- დაწესებულებათა პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერება რეფორმების გაუმჯობესებული უნარებით გასატარებლად და სათანადო კოორდინაცია შესაბამის დაწესებულებებს შორის, ხელს შეუწყობს მე-6 ამოცანის[80] შესრულებას.
- მოქალაქეთა (ახალგაზრდები და სამოქალაქო საზოგადოება) გაზრდილი მონაწილეობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი სფეროა, რომელიც პირდაპირ შეუწყობს ხელს მე-7 ამოცანის[81] შესრულებას.
- გამოხატვის, ინფორმაციისა და მედიის თავისუფლების სფეროებში დასახული ამოცანები, როგორიცაა საკანონმდებლო ჩარჩოს გაძლიერება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (კონვენცია) პრინციპების შესაბამისად, არასწორი ინფორმაციის შემცირება და მედიის სფეროს სპეციალისტთა მხარდაჭერა საქართველოში, ხელს შეუწყობს მე-10 ამოცანის[82] შესრულებას.

## 3.3 კოორდინაცია

რესურსების ეფექტიანად გამოყენებისა და ევროპის საბჭოს ღონისძიებათა შესაბამისობისათვის, კოორდინაცია ხორციელდება სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა ფორუმის საშუალებით, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ჩათვლით.

ევროპის საბჭოს ღონისძიებები განისაზღვრება და ხორციელდება ისე, რომ ორიენტირებული იყოს სფეროებზე, რომლებშიც ორგანიზაციას აქვს მაღალი ცოდნა და გამოცდილება და დამატებითი ღირებულება. ერთობლივ თანამშრომლობას საქართველოს ხელისუფლებასთან საფუძვლად უდევს ამ სფეროში მოღვაწე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სუბიექტების მიერ შესრულებული ამოცანებისა და მათ შესასრულებლად გაწეული ან/და დაგეგმილი სამუშაოს სიღრმისეული ანალიზი.

ამ საქმიანობის შესაბამისობისათვის, ევროპის საბჭო მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორებთან, განსაკუთრებით, ევროკავშირსა და მის წარმომადგენლობასთან საქართველოში.

77. ამოცანა 16.3: ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე კანონის უზენაესობის ხელშეწყობა და თითოეული ადამიანისთვის თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა მართლმსაჯულებაზე.

78. ამოცანა 16.4: 2030 წლისთვის უკანონო ფინანსური და იარაღის ნაკადების მნიშვნელოვნად შემცირება, მოპარული ქონების ამოღებისა და დაბრუნების გაძლიერება და ორგანიზებული დანაშაულის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლა.

79. ამოცანა 16.5: კორუფციისა და მექრთამეობის ყველა ფორმის მნიშვნელოვნად შემცირება.

80. ამოცანა 16.6: ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე ინსტიტუტების შექმნა ყველა დონეზე.

81. ამოცანა 16.7: ყველა დონეზე სწრაფი რეაგირების უნარის მქონე, ინკლუზიური, მონაწილეობაზე დაფუძნებული და წარმომადგენლობითი გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის უზრუნველყოფა.

82. ამოცანა 16.10: საზოგადოებისთვის ინფორმაციაზე მუდმივი წვდომის უზრუნველყოფა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვა, ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად.

უზრუნველყოფილია კოორდინაცია სხვა საერთაშორისო პარტნიორებთანაც, მათ შორის, გაეროს უწყებებთან, როგორიცაა გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women). წინამდებარე სამოქმედო გეგმა განხორციელდება ევროკავშირში ინტეგრაციაზე მიმართული სამთავრობო პროგრამის კონტექსტშიც.

საჭიროების შემთხვევაში, შეიქმნება საკოორდინაციო პლატფორმები, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, და განხორციელდება ერთობლივი აქტივობები.

ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად და აქტივობათა ურთიერთგადაფარვის ასაცილებლად, ევროპის საბჭო თავის სამუშაოს ათანხმებს წევრი/დამკვირვებელი სახელმწიფოების საელჩოებსა და განვითარების სააგენტოებთან.

## 3.4 დაფინანსება

სამოქმედო გეგმის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს, დაახლოებით, 19.92 მილიონ ევროს. უზრუნველყოფილია 3.31 მილიონი ევროს ოდენობის დაფინანსება (მთლიანი ბიუჯეტის 16.6 %).

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროექტები დაფინანსდება ბევრი წყაროდან. ფინანსური სახსრები გამოიყოფა ევროპის საბჭოს რეგულარული ბიუჯეტიდან, დონორი ქვეყნების ნებაყოფლობითი შენატანებიდან და ევროკავშირის/ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამებიდან, როგორიცაა „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის".[83]

ევროპის საბჭოს რესურსების მობილიზაციის სტრატეგიის შესაბამისად, პროგრამების კოორდინაციის დირექტორატის ძალისხმევა დაფინანსების მისაღებად ორიენტირებულია მთლიან სამოქმედო გეგმაზე. კერძოდ, სამოქმედო გეგმის დონეზე დაფინანსება იძლევა საშუალებას, რომ მოქნილად განაწილდეს ფინანსური სახსრები იმ სფეროებში, რომლებშიც ყველაზე მეტად არის საჭირო და, დიდი ალბათობით, ხელს შეუწყობს ძირითადი პოლიტიკისა და ინსტიტუციური რეფორმების მდგრადობას.




**გამოსახულება 2:** *სავარაუდო ბიუჯეტი საქართველოსთვის 2024-2027 წლების სამოქმედო გეგმის თითოეულ სფეროში (მლნ. ევრო)*

83. ამჟამად, საქართველო სარგებლობს ევროკავშირის/ევროპის საბჭოს პროგრამის - „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის" - მესამე ფაზით, რომელიც განკუთვნილია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის.

3.5 მმართველობა

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი შეაფასებს სამოქმედო გეგმის განხორციელების საერთო შედეგებს დემოკრატიის საკითხებზე ევროპის საბჭოს მომხსენებელი ჯგუფის მეშვეობით.

ევროპის საბჭო რეგულარულად განაახლებს ინფორმაციას სამოქმედო გეგმის მიმდინარეობასა და შედეგებზე. ამ მიზნით, პროგრამების კოორდინაციის დირექტორატი შუალედურ და საბოლოო ანგარიშებს წარუდგენს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, შემდეგი განრიგით:

- ზეპირ ანგარიშს - სამოქმედო გეგმის განხორციელების დაწყებიდან 12 თვისა და 36 თვის შემდეგ, რათა აჩვენოს პროცესის განვითარება გეგმის ოფიციალურად ამოქმედების შემდეგ;
- პროგრესის მიმოხილვის ყოვლისმომცველ შუალედურ ანგარიშს - სამოქმედო გეგმის განხორციელების დაწყებიდან 24 თვის შემდეგ;
- პროგრესის მიმოხილვის საბოლოო ანგარიშს - მას შემდეგ, რაც დასრულდება სამოქმედო გეგმის განხორციელება.

სამოქმედო გეგმის ფარგლებში მიღწეულ პროგრესს ერთობლივად შეაფასებენ ევროპის საბჭო და საქართველოს ხელისუფლება. ამ მიზნით, შეიქმნება სამოქმედო გეგმის მმართველი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები და სხვა სახელმწიფო დაინტერესებული მხარეები, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების წევრები, რომლებიც ჩაერთვებიან სამოქმედო გეგმის შესრულებაში, ასევე, ევროპის საბჭოს წარმომადგენლები.

მმართველი კომიტეტი შეაფასებს დამტკიცებულ პროექტთა განხორციელებას, განიხილავს გამოწვევებსა და წინადადებებს სამომავლო თანამშრომლობისთვის და, საჭიროებისამებრ, გასცემს რეკომენდაციებს სამოქმედო გეგმის ეფექტიანობის გასაუმჯობესებელ ღონისძიებებზე. შეხვედრები გაიმართება სამოქმედო გეგმის განხორციელების დაწყებიდან 24 თვის შემდეგ (შუალედური განხორციელების შესაფასებლად) და

განხორციელების დასრულებამდე (მთლიანობაში შესაფასებლად).

გარდა ამისა, ანგარიშგების მოთხოვნათა შესაბამისად, პროგრამების კოორდინაციის დირექტორატი სამოქმედო გეგმის განხორციელების ყოველწლიურ ანგარიშებს გააცნობს დონორებს, რომლებიც მონაწილეობენ სამოქმედო გეგმის დაფინანსებაში.

**საკონტაქტო პირები სამოქმედო გეგმის ფარგლებში**

პროგრამების კოორდინაციის დირექტორატი
ევროპის საბჭო
F-67075, სტრასბურგი, Cedex
ტელ: + 33 (0)3 90 21 56 54
ფაქსი: + 33 (0)3 90 21 46 31
ელ. ფოსტა: *DPC@coe.int*
*www.coe.int/programmes*
ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში
ი. ჭავჭავაძის გამზირი 64 ბ,
თბილისი 0179, საქართველო
ელფოსტა: *informtbilisi@coe.int*
*www.coe.int/tbilisi*

ურთიერთგადამკვეთი განზომილებები, როგორიცაა გენდერული თანასწორობა, გენდერული მეინსტრიმინგი და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ძირითადი კომპონენტებია.

საერთო მიზანი: საქართველოში წარმატებული რეფორმების გატარება, რომელთა შედეგადაც საქართველოს კანონმდებლობა, ინსტიტუტები და პრაქტიკა კიდევ უფრო დაუახლოვდება ევროპულ სტანდარტებს ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის სფეროებში და, აქედან გამომდინარე, ქვეყნის ძალისხმევის ხელშეწყობა, რომ შეასრულოს თავისი, როგორც ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოს ვალდებულებები.

**ადამიანის უფლებები**

**თემატური შედეგი:** ადამიანის უფლებათა დაცვა, თანასწორობა და ადამიანის ღირსება გაუმჯობესებულია ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტთა (მათ შორის, გენდერული თანასწორობის, გამოხატვის თავისუფლებისა და მედიის თავისუფლების კუთხით) კარგად სტრუქტურირებული და კოორდინირებული განხორციელებით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (კონვენცია) სისტემის გაუმჯობესებული ეფექტიანობით.

ამ სფეროში განხორციელებული მოქმედებები ხელს შეუწყობს საქართველოს გაეროს მდგრადი განვითარების შემდეგი მიზნების მიღწევაში: მიზანი 4, ამოცანები 1, 2, 7 და c; მიზანი 5, ამოცანები 1, 2, 5 და c; მიზანი 8, ამოცანები 1 და 2; და მიზანი 10, ამოცანები 2, 3 და 4.

| **შედეგები** | **ინდიკატორები** |
|---|---|
| **1.1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ეფექტიანად განხორციელება** | |
| *ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ეფექტიანობის გაძლიერება ეროვნულ დონეზე*<br><br>✓ სახელმწიფო დაინტერესებულ მხარეთა (იუსტიციის სამინისტრო, სახელმწიფო წარმომადგენლის სამსახური, სპეციალური საგამოძიებო სამსახური და სასამართლოები) გაძლიერებული შესაძლებლობები, რათა უფრო ეფექტიანი როლი შეასრულონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში „ევროპული სასამართლო“) გადაწყვეტილებათა სრულად აღსრულებაში;<br>✓ იმ დაწესებულებათა გაზრდილი სტრუქტურული შესაბამისობა და კოორდინაცია, რომლებსაც ევალებათ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება; | • სახელმწიფო დაინტერესებულ მხარეთა მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ევროპული სასამართლო) გადაწყვეტილებების აღსრულების ხარისხი ეროვნულ დონეზე;<br>• სასამართლოს გადაწყვეტილებებით გამოვლენილ ხარვეზთა აღმოფხვრის დონე;<br>• შესაბამის უწყებებს შორის კოორდინაციის დონე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის;<br>• იურისტთა მიერ სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მნიშვნელოვანი გამოყენების მასშტაბები; |

| | |
|---|---|
| ✓ გაზრდილი ეფექტიანობა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებაში ეროვნულ დონეზე.<br>✓ საქართველოს პარლამენტის გაძლიერებული შესაძლებლობები, რათა შეასრულოს თავისი საზედამხედველო ფუნქციები ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე და ეროვნული კანონმდებლობა დაუახლოოს ევროპულ სტანდარტებს;<br>✓ საქართველოს იურისტთა შესაძლებლობების გაძლიერება ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტებისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ეფექტიანად და თანმიმდევრულად გამოყენებისათვის;<br>✓ სასამართლოს „ცოდნის გაზიარების პლატფორმის“ (ECHR-KS) გეოგრაფიული არეალის გაფართოება, რათა მოიცვას საქართველოც, და პლატფორმა მოერგოს საქართველოს, „ძირითადი უფლებების გამოყენებისა და ნავიგაციის ინსტრუმენტებთან“ (BRANT) ერთად;<br>✓ დიალოგის გაღრმავება საქართველოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებსა და სხვა წევრ სახელმწიფოებს შორის, კონვენციის გამოყენების საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით;<br>✓ გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინება საქართველოს კანონმდებლობაში, ევროპულ სტანდარტთა შესაბამისად, და ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებების უზრუნველყოფა;<br>✓ იურისტებისა და ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ურთიერთკავშირზე გარემოსა და ადამიანის უფლებათა დაცვას შორის;<br>✓ სახელმწიფო უწყებების, კომპანიების, სამრეწველო გაერთიანებებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თანამშრომლობა საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება გარემოსა და ადამიანის უფლებების დაცვას;<br>✓ საერთაშორისო ჩარჩო სტანდარტების დანერგვა ბიზნესისა და ადამიანის უფლებებისთვის, მათ შორის, კანონმდებლობის ჰარმონიზებით. | • გარემოსდაცვითი ფაქტორების საქართველოს კანონმდებლობაში ჩართვის მასშტაბები, ევროპულ სტანდარტთა შესაბამისად;<br>• სამთავრობო და არასამთავრობო უწყებათა შორის თანამშრომლობის დონე გარემოსა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში;<br>• ბიზნესისა და ადამიანის უფლებების კანონმდებლობის შესაბამისობის დონე საერთაშორისო ჩარჩო სტანდარტებთან. |

| | |
|---|---|
| *ადამიანის უფლებები ბიომედიცინის სფეროში*<br><br>✓ საქართველოს საკანონმდებლო ბაზისა და მასთან დაკავშირებული პრაქტიკის გაუმჯობესებული შესაბამისობა პრინციპებთან, რომლებისაც ადგენს კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ (ოვიედოს კონვენცია);<br>✓ ხელისუფლების ორგანოთა გაუმჯობესებული ცოდნა და გაძლიერებული შესაძლებლობები, რათა იცავდნენ/ხელს უწყობდნენ ადამიანის უფლებებს ბიომედიცინისა და ჯანმრთელობის სფეროში;<br>✓ საზოგადოების ამაღლებული ცნობიერება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ გამოწვევებზე ბიომედიცინის სფეროში;<br>✓ პაციენტზე ორიენტირებული მიდგომის გაუმჯობესებულად გამოყენება სამედიცინო პერსონალის მიერ, ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. | • საქართველოს სამართლებრივი ჩარჩოს შესაბამისობის დონე ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის კონვენციასთან (ოვიედოს კონვენცია);<br>• შესაბამისი ხელისუფლების ორგანოების მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის დონე ბიომედიცინის სფეროში;<br>• სამედიცინო პერსონალის მიერ პაციენტზე ორიენტირებული და გენდერულად სენსიტიური მიდგომის გამოყენების მასშტაბები ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. |
| *გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაციის, მედიისა და მონაცემების დაცვა*<br><br>✓ ჟურნალისტთა უსაფრთხოების, მედიის რეგულირებისა და ინფორმაციაზე წვდომის ძირითადი სამართლებრივი და პოლიტიკის ინსტრუმენტების გაუმჯობესებული შესაბამისობა ევროპის საბჭოს სტანდარტებსა და საუკეთესო ევროპულ პრაქტიკასთან ამ სფეროში;<br>✓ მარეგულირებელი ორგანოს (კომუნიკაციების კომისია) გაზრდილი ცოდნა და შესაძლებლობები, რათა მაუწყებლობის შესახებ კანონი განახორციელოს ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით და ევროპული სტანდარტების შესაბამისად;<br>✓ მარეგულირებელი ორგანოსა და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების გაძლიერებული მონიტორინგი და ზედამხედველობა მაუწყებლობის შესახებ კანონის განხორციელებაზე;<br>✓ მონაცემთა გაუმჯობესებული შეგროვება ჟურნალისტებთან დაკავშირებულ საქმეებზე;<br>✓ სამართალდამცველ ორგანოთა გაძლიერებული შესაძლებლობები, ცოდნა და მექანიზმები ჟურნალისტებთან დაკავშირებულ დანაშაულთა ეფექტიანად გამოძიებაში; | • სამართლებრივი და პოლიტიკის ინსტრუმენტების შესაბამისობის დონე ევროპის საბჭოს სტანდარტებთან, ჟურნალისტთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;<br>• სამართალდამცველ ორგანოთა მიერ ჟურნალისტებთან დაკავშირებული დანაშაულების გამოძიების შესაბამისობის დონე ევროპის საბჭოს სტანდარტებთან;<br>• პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის შესაბამისობის დონე ევროპის საბჭოს სტანდარტებთან;<br>• რა დონით უწყობს ხელს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია ამბების ეთიკურად გაშუქებას მედიაორგანიზაციებისა და ცალკეული ჟურნალისტების მიერ;<br>• ჟურნალისტთა ცოდნის დონე უსაფრთხოების სტანდარტებსა და ამბების ეთიკურად გაშუქებასთან დაკავშირებით. |

| | |
|---|---|
| ✓ გაძლიერებული თანამშრომლობა და კოორდინაცია სამართალდამცველ უწყებებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის, ჟურნალისტებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეებზე;<br>✓ დაინტერესებულ მხარეთა გაძლიერებული შესაძლებლობები ქვეყანაში SLAPP საკითხების გადასაწყვეტად;<br>✓ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის გაძლიერებული შესაძლებლობები, რათა მხარი დაუჭიროს ამბების ეთიკურად გაშუქებას მედიაორგანიზაციებისა და ცალკეული ჟურნალისტების მიერ;<br>✓ ჟურნალისტთა გაუმჯობესებული ცოდნა უსაფრთხოების სტანდარტებსა და ამბების ეთიკურად გაშუქებაზე;<br>✓ ძირითადი დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის გაზრდილი ცოდნა და შესაძლებლობები შესაბამისი კანონმდებლობის განსახორციელებლად. | |
| **1.2. ადამიანის უფლებებისა და ღირსების ხელშეწყობა** | |
| *გენდერული თანასწორობა, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა*<br><br>✓ გაუმჯობესებული სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩო, GREVIO-ს მიგნებებისა და სტამბოლის კონვენციის დებულებათა შესაბამისად;<br>✓ შესაბამის სახელმწიფო ორგანოთა/უწყებათა და დაინტერესებულ მხარეთა გაძლიერებული შესაძლებლობები ევროპის საბჭოს სტანდარტთა გამოსაყენებლად, რომლებიც შეეხება გენდერულ თანასწორობასა და ქალთა მიმართ ძალადობისგან დაცვას;<br>✓ იურისტთა გაძლიერებული შესაძლებლობები გენდერული თანასწორობის სტანდარტთა გამოსაყენებლად;<br>✓ მართლმსაჯულების გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა ქალებისთვის, განსაკუთრებით, ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის, სტამბოლის კონვენციის დებულებათა შესაბამისად. | • საქართველოს სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩოს შესაბამისობის დონე GREVIO-ს რეკომენდაციებსა და სტამბოლის კონვენციის დებულებებთან;<br>• იურისტთა მიერ გენდერული თანასწორობის სტანდარტების პრაქტიკაში გამოყენების დონე;<br>• ძალადობის მსხვერპლ ქალთა, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის დონე. |

| | |
|---|---|
| *ბავშვთა უფლებები*<br><br>✓ ბავშვთა გაძლიერებულად დაცვა ძალადობისგან, სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან, მათ შორის, ციფრულ გარემოში, ლანსაროტის კონვენციისა და ლანსაროტის კომიტეტის რეკომენდაციათა შესაბამისად;<br>✓ საქართველოს სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩოს გაუმჯობესებული შესაბამისობა ევროპის საბჭოს სტანდარტებთან, რომლებიც მიემართება ბავშვთა დაცვას ძალადობისგან, სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან;<br>✓ მთავარი დაინტერესებული მხარეების (სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, მოსამართლეები, პროკურორები, გამომძიებლები და სამართალდამცველ ორგანოთა თანამშრომლები) გაძლიერებული შესაძლებლობები, რათა შეძლონ ბავშვის მიმართ ძალადობის, სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის (მათ შორის, ონლაინ) პრევენცია, ასევე, მათზე რეაგირება;<br>✓ ბავშვთა და შესაბამის სპეციალისტთა გაზრდილი ინფორმირებულობა ბავშვის მიმართ ძალადობის, სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის (მათ შორის, ონლაინ) პრევენციასა და შესაბამის რეაგირებაზე. | • იმ სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩოს შესაბამისობის დონე, რომლის მიზანია ბავშვის დაცვა ყველა ფორმის ძალადობისგან, სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის ჩათვლით, და მისი პრევენცია;<br>• ბავშვის მიმართ ძალადობის, სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის შემთხვევათა რაოდენობა (მათ შორის, ციფრულ გარემოში), ჩაშლილი სქესის მიხედვით;<br>• სახელმწიფო დაინტერესებულ მხარეთა პრევენციული ღონისძიებებისა და რეაგირების შესაბამისობის დონე ევროპულ სტანდარტებთან, ბავშვის მიმართ ძალადობის, სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის კუთხით (მათ შორის, ციფრულ გარემოში). |

| 1.3. დისკრიმინაციის დაუშვებლობა, მრავალფეროვნება და ინკლუზია | |
|---|---|
| *დისკრიმინაციის დაუშვებლობა და უმცირესობები*<br><br>✓ მართლმსაჯულების სისტემისა და სამართალდამცველი ორგანოების გაძლიერებული შესაძლებლობები სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნაში (მათ შორის, რომლებიც ჩადენილია უმცირესობათა და ლგბტი ადამიანთა მიმართ);<br>✓ სკოლის მანდატურთა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა გაძლიერებული შესაძლებლობები, რათა ეფექტიანად გამოიყენონ საგანმანათლებლო და ცნობიერების ასამაღლებელი ინსტრუმენტები დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.<br>✓ კერძო კომპანიების გაძლიერებული შესაძლებლობები და ძალისხმევა, რათა აღმოფხვრან დისკრიმინაცია ევროპის საბჭოს შესაბამისი სტანდარტების საფუძველზე;<br>✓ გაღრმავებული თანამშრომლობა და კოორდინაცია საქართველოს სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებათა შორის, სიძულვილის ენასთან ბრძოლისათვის. | • სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეთა რაოდენობა სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით (მათ შორის, უმცირესობათა და ლგბტი ადამიანთა მიმართ);<br>• სამართალდამცველ ორგანოთა მიერ სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების (მათ შორის, უმცირესობათა და ლგბტი პირთა მიმართ) გამოძიების შესაბამისობის დონე ევროპის საბჭოს სტანდარტებთან;<br>• სკოლის მანდატურებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ განათლებისა და ცნობიერების ასამაღლებელ ინსტრუმენტთა გამოყენების დონე, დისკრიმინაციასთან ბრძოლისათვის;<br>• საქართველოს სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებათა თანამშრომლობის დონე სიძულვილის ენის აღმოსაფხვრელად. |
| **1.4. სოციალური უფლებების უზრუნველყოფა**<br><br>✓ ევროპის სოციალური ქარტიის სისტემის გაღრმავებული ცოდნა და გაგება პოლიტიკის განმსაზღვრელთა, სოციალურ მუშაკთა, შრომის ინსპექტორთა, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა შორის;<br>✓ სოციალურ და ეკონომიკურ უფლებათა ეროვნული სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩოების გაუმჯობესებული შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან;<br>✓ ეროვნული ანგარიშების გაუმჯობესებული ხარისხი ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელების შესახებ;<br>✓ შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომელთა გაძლიერებული შესაძლებლობები შრომის კანონმდებლობის გამოსაყენებლად. | • სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებთან დაკავშირებული ეროვნული სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩოს შესაბამისობის დონე ევროპულ სტანდარტებთან;<br>• ეროვნული ანგარიშების ხარისხი ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელების შესახებ;<br>• სახელმწიფო და არასახელმწიფო დაინტერესებულ მხარეთა ცოდნის დონე ევროპის სოციალური ქარტიის სისტემის შესახებ. |

| **კანონის უზენაესობა**<br><br>**თემატური შედეგი:** დემოკრატიული უსაფრთხოება გაძლიერებულია არსებული კანონმდებლობისა და ევროპული სტანდარტების გაუმჯობესებული განხორციელებით, დემოკრატიული საზოგადოებისთვის ხელშემწყობი სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს შემუშავებით, მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესებით, ასევე, კორუფციის, კიბერდანაშაულისა და უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლით. | |
|---|---|
| ამ სფეროში განხორციელებული მოქმედებები ხელს შეუწყობს საქართველოს გაეროს მდგრადი განვითარების შემდეგი მიზნების მიღწევაში: მიზანი 3, ამოცანები 5 და 8; მიზანი 16, ამოცანები 1, 2, 3, 4, 5, 6 და 10. | |
| **შედეგები** | **ინდიკატორები** |
| **2.1. კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული ინსტიტუტები**<br>*მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა და ეფექტიანობა*<br>✓ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესწორებული სამუშაო პროცედურები, რომლებიც ზრდის სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას;<br>✓ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესწორებული კოდექსი, რომელიც ითვალისწინებს სათანადო დონის ადმინისტრაციულ სახდელებსა და მათთან დაკავშირებულ პროცედურებს, საერთაშორისო სტანდარტთა შესაბამისად;<br>✓ პროკურატურისა და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გაძლიერებული შესაძლებლობები მათი პასუხისმგებლობების შესასრულებლად სისხლის სამართალწარმოებაში;<br>✓ მოსამართლეებისა და პროკურორების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (კონვენცია) გაზრდილი განხორციელება ეროვნულ დონეზე, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მთლიან პროცესში;<br>✓ სასამართლოთა გაუმჯობესებული მართვა სასამართლოს მართვის თანამედროვე და CEPEJ-ის ინსტრუმენტების გამოყენებით (საპილოტე სასამართლოებში);<br>✓ გაზრდილი მიმართვიანობა მედიაციაზე;<br>✓ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის გაუმჯობესებული ინსტიტუციური ჩარჩო, სტრუქტურა და ოპერაციები, ასევე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და ადვოკატების გაძლიერებული სწრაფვა პროფესიული ეთიკის დასაცავად;<br>✓ გაუმჯობესებული სტანდარტები პროფესიული საქმიანობის დასაწყებად და უწყვეტი იურიდიული განათლების მისაღებად, დანერგილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ; | • სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის დონე, უზრუნველყოფილი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამუშაო პროცედურებით;<br>• სამართალდამცველ ორგანოთა ანგარიშვალდებულების განმტკიცების დონე, სამართლებრივი და ანგარიშგების ჩარჩოს, ორგანიზაციული სტრუქტურის, სტრატეგიისა და პროცედურების საშუალებით;<br>• მოსამართლეთა და პროკურორთა მიერ კონვენციის განხორციელების დონე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მთლიან პროცესში;<br>• სასამართლოთა და სასამართლო მონაცემთა მართვის შესაბამისობის დონე მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) მეთოდოლოგიებსა და ინსტრუმენტებთან;<br>• საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული საქმიანობის დაწყებისა და უწყვეტი იურიდიული განათლების სტანდარტთა შესაბამისობის დონე ევროპულ სტანდარტებთან;<br>• პროფესიული ეთიკის დაცვის განმტკიცების დონე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინსტიტუციური ჩარჩოს საშუალებით; |

| | |
|---|---|
| ✓<br>✓ აღდგენითი მართლმსაჯულების ჩარჩოს გაზრდილი ეფექტიანობა და გაუმჯობესებული შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან;<br>✓ უფასო იურიდიული დახმარების გაძლიერებული საკანონმდებლო და ნორმატიული ჩარჩო, ევროპის საბჭოს სტანდარტთა შესაბამისად;<br>✓ იურიდიული დახმარების სამსახურის გაძლიერებული ინსტიტუციური შესაძლებლობები და იურისტთა და იმ თანამშრომელთა გაძლიერებული შესაძლებლობები, რომლებიც მონიტორინგს უწევენ მიწოდებული მომსახურების ხარისხს.<br>✓ სასამართლოს მონაცემთა გაუმჯობესებული შეგროვება, დამუშავება და ანალიზი, CEPEJ-ის სტანდარტთა და ინსტრუმენტთა შესაბამისად. | • აღდგენითი მართლმსაჯულების სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩოს შესაბამისობის დონე ევროპის საბჭოს სტანდარტებთან;<br>• უფასო იურიდიული დახმარების სამართლებრივი ჩარჩოს შესაბამისობის დონე ევროპის საბჭოს სტანდარტებთან;<br>• უფასო იურიდიული დახმარების იურისტთა მომსახურების დონე, ევროპის საბჭოს სტანდარტთა შესაბამისად. |
| **2.2. დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, მოქალაქეთა უსაფრთხოება და დაცვა** | |
| *ბრძოლა კორუფციის, ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსებისა და კიბერდანაშაულის წინააღმდეგ*<br><br>✓ ეფექტიანი და მოქნილი საკანონმდებლო, ინსტიტუციური და ოპერაციული ჩარჩოები კორუფციასთან, ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის სფეროში;<br>✓ საქართველოს სამართალდამცველ ორგანოთა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ინსტიტუტთა გაძლიერებული შესაძლებლობები კორუფციის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საქმეთა ეფექტიანად გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და გადაწყვეტისათვის;<br>✓ ეროვნულ საზედამხედველო ორგანოთა და ანგარიშვალდებულ სუბიექტთა გაძლიერებული შესაძლებლობები ეროვნული რისკების შესარბილებლად ისეთი კუთხით, როგორიცაა ფულის გათეთრება, ტერორიზმის დაფინანსება და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსება;<br>✓ ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის გაუმჯობესებული საშუალებები გაეროს უშიშროების საბჭოს მიზნობრივი ფინანსური სანქციების დასანერგად;<br>✓ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა გაუმჯობესებული მექანიზმები კორუფციის პრევენციისათვის, ასევე, ეფექტიანი მონიტორინგის გასაწევად ქონებრივი დეკლარაციების სისტემასა და კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებულ ინციდენტებზე; | • კორუფციასთან, ფულის გათეთრებასა და კიბერდანაშაულთან ბრძოლის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოებისა და პრაქტიკის შესაბამისობის დონე ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან;<br>• რამდენად ეფექტიანად იძიებენ, დევნიან და წყვეტენ სასამართლო და სამართალდამცველი ორგანოები კორუფციის, ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსებისა და კიბერდანაშაულის საქმეებს;<br>• უწყებათაშორისი თანამშრომლობის დონე კორუფციის, ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსებისა და კიბერდანაშაულის საქმეებზე. |

| | |
|---|---|
| ✓ გაძლიერებული მარეგულირებელი ჩარჩო და უკანონო შემოსავლის დაყადაღება-ჩამორთმევის მექანიზმის თანმიმდევრული გამოყენება;<br>✓ გაძლიერებული კანონმდებლობა და პოლიტიკის ჩარჩოები კიბერდანაშაულსა და ელექტრონულ მტკიცებულებებთან დაკავშირებით, ასევე, გაუმჯობესებული შესაბამისობა ბუდაპეშტის კონვენციასთან;<br>✓ სასამართლო და სამართალდამცველ ორგანოთა გაძლიერებული შესაძლებლობები და უწყებათაშორისი თანამშრომლობა კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისათვის;<br>✓ გაძლიერებული საერთაშორისო თანამშრომლობა კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. | |
| *სასჯელაღსრულების დაწესებულებები, პრობაცია და პოლიცია*<br><br>✓ ადამიანის უფლებათა დაცვის შესაბამისი მართვის პოლიტიკისა და პრაქტიკის გაძლიერებული გამოყენება მენეჯერების, ასევე, ოპერატიული და სამედიცინო პერსონალის მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და პრობაციის სამსახურებში;<br>✓ მულტიდისციპლინური სარეაბილიტაციო მიდგომების გაძლიერებული გამოყენება სასჯელაღსრულების მიმართ, სასჯელაღსრულების დაწესებულებებისა და პრობაციის სამსახურების მენეჯმენტისა და პერსონალის მიერ;<br>✓ ჯანდაცვის მომსახურების გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა და ხარისხი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში;<br>✓ ტრენინგების სისტემის გაუმჯობესებული მდგრადობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებისა და პრობაციის სამსახურების თანამშრომელთა განვითარებისათვის;<br>✓ გაძლიერებული პროფესიული ზედამხედველობა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემებში;<br>✓ სახალხო დამცველის აპარატისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერებული შესაძლებლობები, რათა მონიტორინგი გაუწიონ მკურნალობის, ჯანდაცვისა და რეაბილიტაციის მომსახურებებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემაში; | • სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და პრობაციის სამსახურებში მენეჯერების, ასევე, ოპერატიული და სამედიცინო პერსონალის მიერ ადამიანის უფლებათა შესაბამისი მართვის პოლიტიკისა და პრაქტიკის გამოყენების დონე, საერთაშორისო სტანდარტთა შესაბამისად;<br>• სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის შესაბამისობის დონე ევროპის საბჭოს სტანდარტებთან;<br>• სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და პრობაციის სამსახურებში მენეჯერებისა და პერსონალის მიერ მულტიდისციპლინური რეაბილიტაციის მიდგომათა გამოყენების დონე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;<br>• პრობაციის სამსახურების სპეციალისტთა მიერ ახალი ინსტრუმენტებისა და სარეაბილიტაციო პროგრამების გამოყენება სექსუალურის ძალადობისა და ალკოჰოლზე დამოკიდებულების შესაფასებლად; |

| | |
|---|---|
| ✓ სამსახურებრივი მოვალეობების უკეთესად შესრულება პოლიციელთა და გამომძიებელთა მიერ, ევროპის საბჭოს სტანდარტების შესაბამისად და გაძლიერებულ მარეგულირებელ, ინსტიტუციურ და სატრენინგო ჩარჩოებზე დაყრდნობით;<br>✓ სახელმწიფოს დამოუკიდებელი სამონიტორინგო და საგამოძიებო ორგანოების, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაუმჯობესებული პრაქტიკა ადამიანის უფლებათა დარღვევებზე პოლიციის ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად და პოლიციის ქმედებათა გამჭვირვალობის ხელშესაწყობად;<br>✓ სავარაუდო დანაშაულის მსხვერპლთა და მოწმეთა უფლებების გაძლიერებული დაცვა;<br>✓ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა გაზრდილი ინფორმირებულობა და მონაწილეობა პოლიციის ზედამხედველობასა და რეფორმებში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერების ფარგლებში. | • პრობაციის სისტემაში ტრენინგებისა და სიმულაციური ტრენინგების ჩატარება არსებული და ახალი სარეაბილიტაციო პროგრამებისთვის;<br>• პრობაციის სისტემაში პროფესიული ზედამხედველობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან;<br>• სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემაში მკურნალობის, ჯანდაცვისა და რეაბილიტაციის მომსახურებებზე სახალხო დამცველის აპარატისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა მონიტორინგის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან;<br>• სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა მონაწილეობის დონე პოლიციის ზედამხედველობაში. |
| *ნარკოტიკები და ნარკოდამოკიდებულება (პომპიდუს ჯგუფი)*<br>✓ იმ მტკიცებულებებზე დაფუძნებული და პრევენციული ინტერვენციების გაძლიერებულად განხორციელება შესაბამის სპეციალისტთა მიერ (ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები, სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, უბნის პოლიციელები, მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრატორები), რომლებიც მიმართულია ბავშვებზე, მოზარდებსა და მათ მშობლებზე;<br>✓ ნარკოტიკებთან დაკავშირებული პოლიტიკის გაძლიერებული ჩარჩო ნარკოტიკების პრევენციის სფეროში მომუშავე სპეციალისტებისთვის (ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები, სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები), ევროპულ სტანდარტთა შესაბამისად;<br>✓ შესაბამის სპეციალისტთა (ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები, სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, უბნის პოლიციელები, მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრატორები) გაძლიერებული შესაძლებლობები, რათა ბავშვებთან, მოზარდებსა და მათ მშობლებთან იმუშაონ ნარკოტიკების პრევენციაზე, ევროპულ სტანდარტთა შესაბამისად. | • ნარკოტიკებთან დაკავშირებული სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩოს შესაბამისობის დონე ევროპის საბჭოს სტანდარტებთან;<br>• შესაბამის სპეციალისტთა (ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები, სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, უბნის პოლიციელები, მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრატორები) მიერ მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრევენციული ინტერვენციების განხორციელების დონე, ევროპის საბჭოს სტანდარტთა შესაბამისად. |

**დემოკრატია**

**თემატური შედეგი:** საზოგადოების დემოკრატიზაციას ხელს უწყობს არჩევნების სამართლიანობა, გაძლიერებული ადგილობრივი დემოკრატია, სამოქალაქო მონაწილეობა დემოკრატიულ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, და განათლება.

ამ სფეროში განხორციელებული მოქმედებები ხელს შეუწყობს საქართველოს გაეროს მდგრადი განვითარების შემდეგი მიზნების მიღწევაში: მიზანი 11, ამოცანა 3.

| **შედეგები** | **ინდიკატორები** |
|---|---|
| **3.1. დემოკრატიული მმართველობა** | |
| *დემოკრატიული მმართველობა*<br><br>✓ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მოქალაქეების გაზრდილი ინფორმირებულობა და ცოდნა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის მექანიზმებსა და ინსტრუმენტებზე;<br>✓ მუნიციპალიტეტებში და ეროვნულ დონეზე შემუშავებული მარეგულირებელი ჩარჩოები, რომლებიც იძლევა საშუალებას, რომ გაძლიერდეს საზოგადოების გავლენა პოლიტიკისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე;<br>✓ ადგილობრივი ხელისუფლების გაძლიერებული შესაძლებლობები მუნიციპალიტეტებში მონაწილეობითი მეთოდების დასანერგად, რაც მოქალაქეებს საზოგადოების ყველა სექტორში მისცემს საშუალებას, ჩაერთონ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში;<br>✓ ახალგაზრდებისა და არასაკმარისად წარმოდგენილი ჯგუფების გაძლიერებული შესაძლებლობები, რათა დაიცვან საკუთარი უფლებები, თანასწორობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა ადგილობრივ დონეზე;<br>✓ ახალგაზრდების გაზრდილი ჩართულობა ადგილობრივ თემებში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში;<br>✓ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისა და მათი გაერთიანებების გაზრდილი ინფორმირებულობა და შესაძლებლობები, რათა ხელი შეუწყონ, პატივი სცენ, დაიცვან და შეასრულონ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მოთხოვნები, ახალგაზრდებსა და არასაკმარისად წარმოდგენილ ჯგუფებთან | • საზოგადოების პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის შესაძლებლობის დონე მუნიციპალურ დონეზე სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩოს მიხედვით.<br>• პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის შესაძლებლობის დონე, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლება უზრუნველყოფს მუნიციპალურ დონეზე (გენდერულად სენსიტიური წესით);<br>• მოქალაქეების, მათ შორის, ახალგაზრდებისა და არასათანადოდ წარმოდგენილი ჯგუფების ინიციატივათა რაოდენობა ადგილობრივ დონეზე, პოლიტიკის შემუშავების კუთხით;<br>• მოქალაქეების, მათ შორის, ახალგაზრდებისა და არასათანადოდ წარმოდგენილი ჯგუფების ჩართულობის დონე პოლიტიკის დოკუმენტებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში;<br>• ადგილობრივი ბიუჯეტის შესაბამისობაში მოყვანილი გეგმების რაოდენობა, რომლებიც ასახავს მოქალაქეთა რეალურ საჭიროებებსა და მისწრაფებებს. |

| | |
|---|---|
| ✓ დიალოგით, მათ შორის, „მწვანე პერსპექტივის“ გათვალისწინებით;<br>✓ გაძლიერებული ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მმართველობა, გაღრმავებული დიალოგით ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებსა და მათ ეროვნულ გაერთიანებებთან; ასევე, ინსტიტუციონალიზებული მრავალდონიანი დიალოგის პლატფორმები;<br>✓ შექმნილი ინსტიტუციური და ციფრული არხები, რომლებიც გააძლიერებს მოქალაქეთა მონაწილეობას, მათ შორის, ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებში;<br>✓ ადგილობრივი ხელისუფლების გაძლიერებული შესაძლებლობები მონაწილეობით პრაქტიკაში, მათ შორის, ბიუჯეტის შედგენისას. | |
| *არჩევნები*<br>✓ ეროვნული საარჩევნო სამართლებრივი ჩარჩოსა და პრაქტიკის გაუმჯობესებული შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან;<br>✓ საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის გაძლიერებული შესაძლებლობები და გამჭვირვალობა ყველა დონეზე, მათ შორის, საარჩევნო სისტემათა განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრში, ასევე, საერთო სასამართლოებში საარჩევნო საჩივრების განხილვისას;<br>✓ საარჩევნო კამპანიის დაფინანსების გაუმჯობესებული მონიტორინგი საქართველოს ანტიკორუფციული ბიუროს პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის მხრიდან;<br>✓ ქალების, ახალგაზრდებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების გაზრდილი მონაწილეობა საარჩევნო პროცესებში;<br>✓ ადგილობრივი დამკვირვებლებისა და მედიის გაძლიერებული შესაძლებლობები არჩევნების პროფესიონალურად, ნეიტრალურად და დაბალანსებულად გაშუქებისათვის;<br>✓ საარჩევნო პროცესებში დანერგილი ციფრული გადაწყვეტილებები (ევროპულ სტანდარტთა შესაბამისად) და საარჩევნო პროცესების სამართლიანობა და გამჭვირვალობა. | • არჩევნების სამართლებრივი ჩარჩოს შესაბამისობის დონე ევროპულ სტანდარტებთან;<br>• საარჩევნო პროცესებისა და კამპანიების წარმართვის გამჭვირვალობის დონე;<br>• საარჩევნო პროცესებში ციფრულ გადაწყვეტილებათა დანერგვის შესაბამისობის დონე ევროპულ სტანდარტებთან. |

| | |
|---|---|
| *საპარლამენტო თანამშრომლობა*<br><br>✓ იმ დემოკრატიული სტანდარტებისა და კარგი პრაქტიკის გაძლიერებული ხელშეწყობა პარლამენტის წევრთა მხრიდან, რომლებიც დადგენილია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა და სხვა ორგანოების მიერ;<br>✓ პარლამენტის წევრთა, აპარატის თანამშრომელთა და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა გაზრდილი ცოდნა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებასა და მონიტორინგზე;<br>✓ გაუმჯობესებული დიალოგი და თანამშრომლობა პარლამენტის წევრებს შორის, საკანონმდებლო რეფორმებთან დაკავშირებით;<br>✓ საზოგადოების გაზრდილი ინფორმირებულობა ევროპის საბჭოს სტანდარტებზე, ასევე, საზოგადოების ჩართულობაზე საკანონმდებლო პროცესებში;<br>✓ საქართველოს კანონმდებლობის გაუმჯობესებული შესაბამისობა ევროპის საბჭოს სტანდარტებთან. | • პარლამენტის წევრებს შორის თანამშრომლობის დონე საკანონმდებლო რეფორმებთან დაკავშირებით;<br>• პარლამენტის წევრთა, აპარატის თანამშრომელთა და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა ცოდნის დონე საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულებისა და მონიტორინგის მიმართულებით;<br>• საკანონმდებლო პროცესებში საზოგადოების ჩართულობის დონე. |
| *ნდობის აღდგენის ღონისძიებები*<br><br>✓ გაძლიერებული თანამშრომლობა გაყოფილი თემების წარმომადგენელთა შორის, საერთო სამუშაოსთვის განსაზღვრულ საკითხებზე;<br>✓ გაზრდილი ურთიერთობა გაყოფილ თემებს შორის. | • ადამიანის უფლებათა საკითხებზე თანამშრომლობის დონე გაყოფილი თემების წარმომადგენელთა შორის;<br>• ინიციატივათა რაოდენობა ნდობის აღდგენის ღონისძიებებთან დაკავშირებით – ერთი არსებული;<br>• საზოგადოების წევრთა, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა ჩართულობის დონე ნდობის აღდგენის ღონისძიებებში, გამყოფი ხაზის ორივე მხრიდან. |
| **3.2. დემოკრატიული მონაწილეობა** | |
| *განათლება დემოკრატიისთვის*<br><br>✓ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მიერ მიღებული პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების გაძლიერებულ სწავლებას და სკოლის მონაწილეობით მმართველობას;<br>✓ განათლების სპეციალისტთა გაძლიერებული შესაძლებლობები ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებისა და დემოკრატიული მონაწილეობის კულტურის ჩასართავად მათ პრაქტიკაში; | • დემოკრატიული მოქალაქეობის, ადამიანის უფლებათა სწავლებისა და სკოლის მონაწილეობითი მმართველობის ინტეგრირების დონე საგანმანათლებლო დაწესებულებათა პოლიტიკაში; |

| | |
|---|---|
| ✓ ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპები და დემოკრატიული მონაწილეობის კულტურა, რომლებიც განათლების პროფესიონალებს ჩართული აქვთ სკოლებსა და სასკოლო თემებში;<br>✓ სკოლის მოსწავლეთა გაძლიერებული კომპეტენციები დემოკრატიული კულტურის თვალსაზრისით და გაზრდილი მონაწილეობა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მათ სკოლებსა და თემებში. | • ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებისა და დემოკრატიული მონაწილეობის კულტურის ინტეგრირების დონე განათლების სპეციალისტთა პრაქტიკაში. |
| *ახალგაზრდები დემოკრატიისთვის*<br>✓ საქართველოს ხელისუფლებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერებული შესაძლებლობები, რათა ხელი შეუწყონ დემოკრატიული მოქალაქეობის, ციფრული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების სწავლებას, ასევე, შეიმუშაონ ხარისხიანი არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობები ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდებთან ერთად;<br>✓ ახალგაზრდების მონაწილეობითი პოლიტიკის გაძლიერებული ჩარჩო, რათა ჩაერთონ სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ასევე, დემოკრატიულ პროცესებში ადგილობრივ დონეზე, შემუშავებული სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა მონაწილეობით;<br>✓ ახალგაზრდული სამუშაოსა და არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობების ხარისხისა და უზრუნველყოფის გაუმჯობესება შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა მიერ;<br>✓ მშვიდობის მშენებლობის ინიციატივათა გაუმჯობესება ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ერთად, საქართველოს კონფლიქტით დაზარალებულ აფხაზეთის რეგიონსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობით. | • როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ დონეზე სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ, პოლიტიკურ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობის დონე, რომელსაც უზრუნველყოფს ეროვნული და ადგილობრივი პოლიტიკა;<br>• ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ინიციატივების რაოდენობა, რომელთა მიზანია დემოკრატიული მოქალაქეობის, ციფრული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლების ხელშეწყობა, ასევე, ხარისხიანი არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობების შემუშავება ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდებთან ერთად;<br>• ახალგაზრდების მონაწილეობის დონე მშვიდობის მშენებლობის ინიციატივებში, საქართველოს კონფლიქტით დაზარალებულ აფხაზეთის რეგიონსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში;<br>• სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობის დონე, რომელსაც უზრუნველყოფს ახალგაზრდული ორგანიზაციების ინიციატივები. |

დანართი II: რისკების რეესტრი

| რისკის დახასიათება | რისკის შესარბილებელი ღონისძიებები |
| --- | --- |
| **რისკები პოლიტიკურ გარემოსთან დაკავშირებით** | |
| • **მთავრობის ცვალებადი პრიორიტეტები, ან ჭეშმარიტი პოლიტიკური ნების არარსებობა რეფორმების გასატარებლად,** რაც იწვევს დაბალ პოლიტიკურ მხარდაჭერას პროექტის განხორციელების მიმართ, მცირე ადამიანური და ფინანსური რესურსების გამოყოფას რეფორმებისთვის, ან რეალობის შელამაზებას, მცირე ცვლილებებით გარკვეული საჯარო სუბიექტების მხრიდან. | უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე კომუნიკაცია იმ ვალდებულებათა შესახებ, რომლებიც სახელმწიფომ იკისრა ევროპის საბჭოში გაწევრიანებისას;<br>დიალოგის ხელშეწყობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის, სტანდარტთა გამოყენების შესახებ;<br>რისკების შერბილების სტრატეგიების განხილვა საერთაშორისო პარტნიორებთან (განსაკუთრებით, ევროკავშირთან) ერთად. |
| • **გაზრდილი პოლარიზაცია საზოგადოებაში,** რაც არახელშემწყობ გარემოს ქმნის რეფორმებისათვის და არაერთგვაროვან აღქმას აყალიბებს საქართველოს მოქალაქეებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში ევროპის საბჭოს როლისა და მანდატის შესახებ. | ცნობიერების ამაღლება სამიზნე ჯგუფებში, რათა გაიაზრონ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციის სტანდარტთა გამოყენებას;<br>ხელისუფლების ორგანოებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის დიალოგის ხელშეწყობა სტანდარტთა გამოყენების შესახებ;<br>ორიენტირება მოწყვლადი ჯგუფების უფლებათა დაცვაზე;<br>რისკების შერბილების სტრატეგიების განხილვა საერთაშორისო პარტნიორებთან (განსაკუთრებით, ევროკავშირთან) ერთად. |
| • **დონორთა ცვალებადი პრიორიტეტები,** რაც იწვევს საქართველოსთვის სასარგებლო ნებაყოფლობითი ფულადი შენატანების შემცირებას. | კომუნიკაციის გაძლიერება დონორებთან უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე. |
| • **მთავარ მენეჯერულ პოზიციებზე ვაკანტური ადგილების ხანგრძლივად არსებობა თბილისის ოფისში,** რასაც მოჰყვება ევროპის საბჭოს ხილვადობის შემცირება საქართველოში, სამოქმედო გეგმის დაბალი დაფინანსება და დაბალი პოლიტიკური მხარდაჭერა პროექტთა განხორციელების მიმართ. | პოზიციებზე დასანიშნ კანდიდატთა წინასწარ მომზადება, რათა მაქსიმალურად შემცირდეს ვაკანტური ადგილების არსებობის დრო;<br>საჭიროებისამებრ, დამატებითი მხარდაჭერის უზრუნველყოფა სათავო ოფისისგან. |

| რისკები პროექტის/პროგრამის დასრულებასთან დაკავშირებით | |
|---|---|
| • **არასაკმარისი დაფინანსება სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი პუნქტების განსახორციელებლად,** რაც რიგ სფეროებში იწვევს თანამშრომლობის შეწყვეტას, ტემპის შენელებას, და გავლენას ახდენს საქართველოში რეფორმების განხორციელების ტემპსა და ეფექტიანობაზე, ასევე, აღქმებზე ევროპის საბჭოს შესაბამისობასთან დაკავშირებით. | რესურსების ეფექტიანი მობილიზაცია სათავო ოფისთან, ევროპის საბჭოს თბილისის ოფისთან, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობასთან კოორდინაციით;<br>ღია საკომუნიკაციო არხების შენარჩუნება ტრადიციულ დონორებთან და დაფინანსების ახალი წყაროების მოძიება, ასევე, დონორთა მნიშვნელოვანი ღონისძიებების ორგანიზება.;<br>რესურსების განაწილების სტრატეგიის შემუშავება, სინერგიების პოტენციალისა და საერთო ეფექტიანობის გათვალისწინებით;<br>რეაგირების გაგრძელება პარტნიორთა და დონორთა უკუკავშირზე, რათა გაუმჯობესდეს პროექტის დაგეგმვა, განხორციელება, შედეგებზე ორიენტირებული მონიტორინგი და ანგარიშგების პრაქტიკა და მოხერხდეს დონორთა მოზიდვა-შენარჩუნება. |
| • **განმახორციელებელ პარტნიორთა ცვალებადი პრიორიტეტები,** რაც განაპირობებს მხარდაჭერის ნაკლებობას, აფერხებს განხორციელებას და ამცირებს ეფექტიანობას. | რეგულარული შეხვედრების გამართვა პროექტის დაინტერესებულ მხარეებთან, პროექტის შედეგებზე ცნობიერების გასაზრდელად.<br>მჭიდრო მონიტორინგი პარტნიორთა ინტერესებზე აქტივობების განხორციელების მიმართ.<br>პარტნიორთა ანგარიშვალდებულების გაზრდა მისაღწევ შედეგებთან მიმართებით და მათი ჩართვა პროგრესზე მონიტორინგის პროცესში (შედეგების მიღწევის კუთხით). |
| • **არაეფექტიანი კოორდინაცია ეროვნულ და საერთაშორისო პარტნიორებთან,** რაც განაპირობებს აქტივობათა ურთიერთგადაფარვას, აფერხებს სინერგიების შექმნას, იწვევს რესურსების ამაოდ ხარჯვასა და რეპუტაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს. | კოორდინაციის გაზრდა ეროვნულ დონეზე;<br>საჭიროებისას, დაინტერესებულ მხარეთა შორის სათანადო კომუნიკაციის დამყარება გეგმებსა და მათ კოორდინირებულ განხორციელებასთან დაკავშირებით;<br>ერთობლივი/კოორდინირებული აქტივობებისა და კომუნიკაციის პრაქტიკის გაზრდა. |

| | |
|---|---|
| • **სამთავრობო და არასამთავრობო უწყებებისა და სხვა ძირითადი პარტნიორების თანამშრომელთა მაღალი დენადობა,** რაც იწვევს ნოუ-ჰაუსა და პროფესიული კონტაქტების კარგვას და აფერხებს სამოქმედო გეგმის განხორციელებას. | მჭიდრო მონიტორინგი პერსონალის ცვლილებებზე და კონტაქტების სწრაფად აღდგენა;<br>გრძელვადიანი ინსტიტუციური მეხსიერების მხარდაჭერა პარტნიორ დაწესებულებათა დონეზე და ცოდნის მართვის მდგრადი პრაქტიკის ხელშეწყობა;<br>ერთობლივი ლიდერობის მიდგომის წახალისება პროექტის განხორციელების მიმართ, რათა გაიზარდოს ბენეფიციართა ცნობიერება და ვალდებულებითი დამოკიდებულება შედეგებთან მიმართებით. |
| • **არაეფექტიანი თანამშრომლობა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან,** რაც განაპირობებს განხორციელებულ პროექტთა დაბალ ცნობადობას ეროვნულ დონეზე, დაბალ მხარდაჭერას საქართველოს მოსახლეობის მხრიდან, პროექტთა დაბალ ეფექტიანობას და რეპუტაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს. | ინკლუზიური მიდგომის დანერგვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართ, როგორც სამოქმედო გეგმის, ისე პროექტის დონეზე, და როგორც დაგეგმვის, ისე განხორციელების ფაზებში;<br>ახალ შესაძლებლობათა აქტიურად მოძიება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობისთვის, ევროპის საბჭოს პროცესებისა და პროცედურების საფუძველზე;<br>სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა პროფესიული კომპეტენციების გაძლიერება შესაძლებლობათა გაზრდის კონკრეტული აქტივობებით და თანამშრომლობით პროექტთა განხორციელებაში. |
| **კომუნიკაციასთან დაკავშირებული რისკები** | |
| • **არასაკმარისი ან არაეფექტიანი კომუნიკაცია,** რაც განაპირობებს ძირითადი საერთაშორისო და ეროვნული პარტნიორების, სამიზნე ჯგუფებისა და ფართო საზოგადოების შეზღუდულ ცოდნას რეფორმების სარგებელზე, ასევე, ევროპის საბჭოს წვლილზე საქართველოში რეფორმების განხორციელებისას. | თითოეული პროექტისთვის მისი კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება, დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებისათვის და ორგანიზაციის საქმიანობისადმი ინტერესის გასაზრდელად საქართველოში;<br>შედეგზე ორიენტირებული კომუნიკაციის დამყარება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან, მკაფიო გზავნილებით ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ევროპის საბჭოს წვლილი საქართველოში რეფორმების განხორციელებაში და მათი გავლენა საქართველოს მოქალაქეთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე;<br>ინფორმაციის ურთიერთგაცვლის დაჩქარება;<br>კომუნიკაციის გაგრძელება როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენებზე, მაქსიმალურად ფართოდ გავრცელებისათვის. |
| • **ჰიბრიდული აქტივობები,** მიმართული საქართველოსა და მისი ევროატლანტიკური მისწრაფებების წინააღმდეგ. | კოორდინირებული კომუნიკაცია საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ევროპის საბჭოს სხვა წევრ ქვეყნებთან. |

დანართი III: ფინანსური ცხრილი

(თანხები მოცემულია ევროში)

| | დარგები | მთლიანი ბიუჯეტი |
|---|---|---|
| 1 | **ადამიანის უფლებები** | **6 033 333** |
| | 1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ეფექტიანად განხორციელება | 2 400 000 |
| | 2. თანასწორობა და ადამიანის ღირსება | 1 733 333 |
| | 3. დისკრიმინაციის დაუშვებლობა, მრავალფეროვნება და ინკლუზია | 900 000 |
| | 4. სოციალური უფლებები | 1 000 000 |
| 2 | **კანონის უზენაესობა** | **6 960 695** |
| | 1. კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული ინსტიტუტები | 3 670 278 |
| | 2. დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, მოქალაქეთა უსაფრთხოება და დაცვა | 3 290 417 |
| 3 | **დემოკრატია** | **5 600 000** |
| | 1. ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი | 1 750 000 |
| | 2. დემოკრატიული მმართველობა | 2 850 000 |
| | 3. დემოკრატიული მონაწილეობა | 1 000 000 |
| | **კოორდინაცია, მართვა და რეზერვები** | **1 352 972** |
| | 1. კოორდინაცია – რეზერვი | 767 917 |
| | 2. მართვის ზოგადი ხარჯები | 558 055 |
| | **სულ** | **19 920 000** |

დანართი IV: წყაროები/შესაბამისი დოკუმენტები

**ევროპის საბჭოს დოკუმენტები**

1. ტექნიკური თანამშრომლობა საქართველოსთან

- *2020-2023 წლების სამოქმედო გეგმა საქართველოსთვის*
- *2020-2023 წლების ანგარიში განხორციელების შესახებ*
- *2016-2019 წლების სამოქმედო გეგმა საქართველოსთვის*
- *2016-2019 წლების საბოლოო ანგარიში*
- *2016-2019 წლების ანგარიში განხორციელების შესახებ*
- *2013-2015 წლების სამოქმედო გეგმა საქართველოსთვის*
- *2013-2015 წლების საბოლოო ანგარიში*
- *2013-2015 წლების ანგარიში განხორციელების შესახებ*

2. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი

- *2023 წლის წლიური ანგარიში – დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის მდგომარეობა*
- *2022 წლის წლიური ანგარიში – წინსვლა*
- *2021 წლის წლიური ანგარიში – დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის მდგომარეობა: დემოკრატიული განახლება ევროპისთვის*
- *2020 წლის წლიური ანგარიში – მრავალმხრივობა*

3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი საქართველოსთან დაკავშირებით
- *ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ფაქტები და ციფრები სახელმწიფოს მიხედვით*
- *გადაწყვეტილებათა აღსრულება, საინფორმაციო ბიულეტენი საქართველოს შესახებ*

4. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი

- *წერილი კანონპროექტზე „უცხოური გავლენების გამჭვირვალობის შესახებ“*
- *2022 წლის ანგარიში საქართველოს შესახებ*
- *განცხადება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დამოუკიდებელი ფუნქციონირების შესახებ*
- *განცხადება სახალხო დამცველის დამოუკიდებელი მანდატის შესახებ*

5. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი

- მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები:
  - *გამოხატვის თავისუფლებაზე ციფრული ტექნოლოგიების გავლენის შესახებ*
  - *მედიისა და კომუნიკაციების მმართველობის პრინციპების შესახებ*
  - *მედიაპლურალიზმისა და მედიის საკუთრების გამჭვირვალობის შესახებ*
  - *ინტერნეტის შესახებ*
  - *სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ*
  - *კულტურათაშორისი ინტეგრაციის შესახებ*
  - *ადვოკატის პროფესიულ მოვალეობათა განხორციელების თავისუფლების შესახებ*

- *ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ*
- *ადამიანის უფლებებისა და ბიზნესის შესახებ*
- *ევროპის საბჭოს ქარტიაზე დემოკრატიული მოქალაქეობისთვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ*
- *ახალგაზრდული სამოქალაქო საზოგადოებისა და ახალგაზრდების დაცვისა და დემოკრატიულ პროცესებში მათი მონაწილეობის მხარდაჭერის შესახებ*

6. ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი

- *ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ*
- *ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის დამატებითი ოქმი ადგილობრივი ხელისუფლების საქმეებში მონაწილეობის უფლების შესახებ*
- *მონიტორინგი ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის გამოყენებაზე საქართველოში – 2018 წელი*

7. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა

- *საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესრულება – 2022 წელი*
- *თანამომხსენებელთა საინფორმაციო ნოტა თბილისში განხორციელებული ფაქტების დამდგენი ვიზიტის შესახებ – 2023 წელი*

8. მონიტორინგისა და ექსპერტთა საკონსულტაციო ორგანოები

- ევროპული კომისია „დემოკრატია სამართლის მეშვეობით“ (ვენეციის კომისია)
  - *საბოლოო დასკვნა დეოლიგარქიზაციის კანონპროექტის შესახებ; მიიღო ვენეციის კომისიამ, 135-ე პლენარულ სესიაზე (ვენეცია, 2023 წლის 9-10 ივნისი)*
  - *დამატებითი დასკვნა წინ ოთხ დასკვნაზე საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონთან დაკავშირებით; მიიღო ვენეციის კომისიამ, 134-ე პლენარულ სესიაზე (ვენეცია, 2023 წლის 10-11 მარტი)*
  - *ვენეციის კომისიისა და OSCE/ODIHR-ის ერთობლივი დასკვნა საარჩევნო კოდექსსა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში ცვლილებათა პროექტზე; დაამტკიცა დემოკრატიული არჩევნების საბჭომ, 75-ე სხდომაზე (ვენეცია, 2022 წლის 15 დეკემბერი) და მიიღო ვენეციის კომისიამ, 133-ე პლენარულ სესიაზე (ვენეცია, 2022 წლის 16-17 დეკემბერი)*
  - *დაჩქარებული დასკვნა კანონპროექტზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა შესახებ, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2022 წლის 7 ივნისს და გამოსცა 2022 წლის 26 აგვისტოს, ვენეციის კომისიის რეგლამენტის 14a მუხლის შესაბამისად. დაამტკიცა ვენეციის კომისიამ, 132-ე პლენარულ სესიაზე (ვენეცია, 2022 წლის 21-22 ოქტომბერი)*
- ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI)
  - *რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) ანგარიში საქართველოს შესახებ (მეექვსე მონიტორინგის ციკლი) – 2023 წლის მარტი*
- სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი
  - *სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის 2022 წლის დასკვნები საქართველოს შესახებ (თემატური ჯგუფი: შრომითი უფლებები)*
  - *სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის 2021 წლის დასკვნები საქართველოს შესახებ (თემატური ჯგუფი: ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაცვა)*
  - *სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის 2020 წლის დასკვნები საქართველოს შესახებ (თემატური ჯგუფი: დასაქმება, ტრენინგი და თანაბარი შესაძლებლობები)*

    - *სოციალური უფლებათა ევროპული კომიტეტის 2019 წლის დასკვნები საქართველოს შესახებ (თემატური ჯგუფი: ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები)*

- წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი
    - *წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის საგანგებო ვიზიტი საქართველოში* – 2021 წლის მაისი

- კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფი (GRECO)
    - *GRECO-ს შეფასების მეოთხე რაუნდი – 2016 წელი*
    - *GRECO-ს შეფასების მეოთხე რაუნდის პირველი ანგარიში შესაბამისობის შესახებ – 2019 წელი*
    - *GRECO-ს შეფასების მეოთხე რაუნდის მეორე ანგარიში შესაბამისობის შესახებ – 2022 წელი*

9. სახელმძღვანელო მითითებები

    - *ევროპის საბჭოს გენდერული მეინსტრიმინგის სახელმძღვანელო თანამშრომლობითი პროექტებისთვის*
    - *გენდერული თანასწორობის სტრატეგია 2018-2023 წლებისათვის*
    - *ბავშვთა უფლებების დაცვის სტრატეგია 2016-2021 წლებისათვის*
    - *სახელმძღვანელო ევროპის საბჭოს თანამშრომლობით ღონისძიებებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა მონაწილეობისათვის*
    - *სახელმძღვანელო პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობისათვის*
    - *ევროპის საბჭოს პროექტთა მართვის მეთოდოლოგია*
    - *ევროპის საბჭოს რისკების მართვის პოლიტიკა*
    - *ევროპის საბჭოს რისკების მართვის სახელმძღვანელო მითითებები*

**ევროკავშირის დოკუმენტები**

- *მოსაზრება საქართველოს განაცხადზე ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ*

**საქართველოს ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტები**[84]

- საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისათვის
- საქართველოს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2024 წლების ეროვნული სტრატეგია
- ფსიქიკური ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის სტრატეგია
- ბავშვის უფლებათა კოდექსი
- ნარკოტიკების ავადმოხმარების პრევენციის ეროვნული სტრატეგია 2021-2026
- დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025
- თვითმმართველობის კოდექსი
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030
- სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი (2014)
- საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია 2020-2030 წლებისთვის

84. გადაიხედა შესაბამისი ეროვნული სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავს პრიორიტეტებს ან/და მოქმედების ძირითად მიმართულებებს, რათა ევროპის საბჭოს მხარდაჭერა შეესაბამებოდეს ქვეყნის საჭიროებებსა და პრიორიტეტებს და სხვა ეროვნულ ინიციატივებს. წინამდებარე სამოქმედო გეგმაში ნებისმიერი მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე, სტრატეგიებზე, პოლიტიკაზე, სამოქმედო გეგმებსა თუ ნებისმიერ სხვა ეროვნულ დოკუმენტზე, არ ნიშნავს, რომ ევროპის საბჭოს იწონებს მათ.

**Council of Europe**
**Directorate of Programme Co-ordination**
Avenue de l'Europe
F-67075 Strasbourg Cedex
E-mail: dpc@coe.int
www.coe.int/programmes

**ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ**
**ᲝᲤᲘᲡᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ**
ჭავჭავაძის გამზირი 64 ბ, მე-14-ე სართული
თბილისი 0179, საქართველო
Tel: +99532 291 38 70/71/72
Fax: +99532 291 38 74
E-mail: informtbilisi@coe.int
www.coe.int/tbilisi

PREMS 154423 – Photo: © Shutterstock

KAT

**www.coe.int**

ევროპის საბჭო ადამიანის უფლებათა წამყვანი ორგანიზაციაა კონტინენტზე. იგი შედგება 46 სახელმწიფოსგან, ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის ჩათვლით. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ხელშეკრულებას, რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში კონვენციის შესრულებას ზედამხედველობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE